მსჯელობენ აჭარაზე, აფიქრებთ ოსეთი A3

საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება! A8

"ხალხის პირისპირ" ანკეტა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 24 ივნისი, 2004 წელი. №148 (697) | ფასი 50 თეთრი

# დონორთა თანხები კონვერტით არ დარიგდება



საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძეს უკვე მომავალი მთავრობის სხდომისათვის მზად ექნება.

ვახო ბესელიას ფოტო

*საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, აგრესიული საპრივატიზაციო პოლიტიკა და დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების სწორად და მიზანმიმართულად განკარგვა - საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ამ სამი პრიორიტეტით იხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გზაზე გადასადგმელი ნაბიჯების განსაზღვრის დროს.*

თამარ ხორბალაძე

ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომლის მთავარი თემაც უკვე კარგად ცნობილი მილიარდის დახარჯვა გახლდათ:

**"მთავრობა არ აპირებს, დონორთა მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები მოსახლეობას კონვერტით დაურიგოს,"** - განმარტა პრემიერმა და დააზუსტა, რომ: **"ამასთან,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## 10 წელი და 300 მილიონი

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

მოსკოვში ორი ქვეყნის სამხედრო ექსპერტთა შეხვედრების დეტალები ამჯერადაც უცნობია. 23 ივნისის დილით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღლივ შენობაში ქართველი და რუსი დიპლომატების შეხვედრის მორიგი რაუნდი გაიმართა, რასაც მერაბ ანთაძის კომენტარით, მხოლოდ გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოსთან სამხედრო პრობლემების მოგვარება საგანგებო დავალებათა ელჩს იგორ სავოლსკის დაავალა. სამინისტროში გამართულ კონსულტაციებს რუსი სამხედროებიც ესწრებოდნენ. სამხედრო ექსპერტთა აზრით, ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო-რუტინა, რომლის დეტალები საჯაროობას თუნდაც იმიტომაა მოკლებული, რომ "დროზე ადრე არ მოხდეს არსებული ინფორმაციის დამახინჯება". რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ კავკასიაში მიმდინარე ომის პირობებში საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანის საკითხი არაორგანულად ეწერება ორი ქვეყნის ურთიერთობების კონტექსტში. რუსი ექსპერტები შეგვახსენებენ, რომ თუკი სამხედრო პუნქტები საბოლოოდ არ ჩამოყალიბდა, ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმება კვლავ გაურკვეველი ვადით გადაიწევს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## აშშ-ის დელეგაციის გამოსვლა საქართველოს დონორთა შეხვედრაზე

ბელგია, ბრიუსელი
2004 წ. 15-17 ივნისი

მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიო ბანკსა და ევროპის კომისიას, დონორთა ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის. მსგავსი შეკრებები საშუალებას გვაძლევს, ერთად შევიმუშაოთ საერთაშორისო დახმარების სტრატეგია საქართველოსთვის.

ვიმედოვნებთ, რომ გავაგრძელებთ ურთიერთობას პრეზიდენტ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ჟვანიასთან და საქართველოს მთავრობასთან. გვინდა ვისარგებლოთ უპრეცედენტო შესაძლებლობით და ხელი შევუწყოთ იმ ძირითადი პრობლემების მოგვარებას, რომლებმაც ხელი შეუშალეს ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყანა არასტაბილურ სოციალურ მდგომარეობამდე მიიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ "ვარდების რევოლუციიდან" დიდი ხანი არ არის გასული, ინსტიტუციონალური ცვლილებები რეალურად განხორციელდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

### *პოლიტიკა*

#### ოპოზიციონერ კობა დავითაშვილს თავადაც გამოუჩნდა ოპოზიცია

"მათი დღევანდელი ბრალდებები ყველა იმ ადამიანის დაკვეთაა, ვისაც ჩემი აჭარაში ყოფნა და ავტონომიაზე მუშაობა არ მოსწონს," - აცხადებს გლდანის მაჟორიტარი.

A2

### *ეკონომიკა*

#### სემეკ-ის მკაცრი ვერდიქტი



1 ივლისს "მცირე ლიცენზიანტები" არსებობას შეწყვეტენ.

A4

### *უცხოეთი*

#### ექვსმხრივი მოლაპარაკებების იმედისმომცემი დასაწყისი



ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ფხენიანი მზადაა, უარი თქვას ბირთვულ პროგრამაზე.

A5

### *საზოგადოება*

#### კანალიზაციით გაშვებული თბილისს მწვანილად უბრუნდება



ფონიჭალის დასახლების მოსახლეობას გაჰყავს იმპროვიზებული სარწყავი არხები და ბოსტნებს კოლექტორში გამავალი ფეკალური მასით რწყავს.

A6

### *ნომრის სტუმარი*

#### შედეგები გვინდა აქ და ახლავე



გარღვევა თავიდანვე უფრო ადვილად იყო შესაძლებელი. რევოლუციის შემდგომი პერიოდი დადებითი ეფექტებისთვის უცბად მისაღწევად საუკეთესო დრო იყო.

B1

### *ამინდი*

| | 24/6 | 25/6 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 37 |
| ქუთაისი | 36 | 35 |
| ბათუმი | 34 | 31 |
| სოხუმი | 30 | 28 |
| ფოთი | 34 | 32 |
| თელავი | 33 | 36 |
| ზუგდიდი | 36 | 33 |
| გორი | 32 | 33 |

### *უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3349 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4963 |
| რუბლი | 0.0662 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ს 26467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## პირველად - მოძრავი ელჩები


სალომე ზურაბიშვილი დიპკორპუსს ახლებს.

საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, "ელჩებმა თავის გამოჩენა სხვადასხვა დარგში და განხრით უნდა შეძლონ. როგორც მასმედიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ასევე "ეკონომიკური აქტიურობის მხრივ". საგარეო უწყების ხელმძღვანელობა ყურადღებით მიადევნებს თვალს მომავალი თუ ამჟამინდელი ელჩების მუშაობას და იმის გარკვევას შეეცდება, თუ რა აქტიურობით ეწვევა ესა თუ ის დელეგაცია საქართველოს, რა კონკრეტულ შედეგებს მივიღებთ ამ ვიზიტებისგან და საზღვარგარეთ ჩვენი წარმომადგენლობის მუშაობიდან. სალომე ზურაბიშვილს სურს, რომ ჩვენს დიპლომატიურ კორპუსში სუსტი სქესის წარმომადგენლებიც იხილოს.

უკვე ცნობილია ელჩების სია, რომელიც უახლოეს მომავალში პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინება. საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთში საქართველოს ელჩი დავით ზანკალიანი იქნება, თურქმენეთსა და ავღანეთში - იოსებ ჩახვაშვილი, ყაზახეთში - ზურაბ შურღაია, თურქეთში - გიგა მგალობლიშვილი, ირანში - ლევან ასათიანი, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში - დავით აფციაური, საფრანგეთსა და იუნესკოში - ნათია ჯაფარიძე, რუმინეთსა და მოლდოვაში - ზურაბ ბერიძე, ვატიკანში - ქეთევან ბაგრატიონი.

მომავალ კვირას თუ არა, ივლისის დასაწყისში მაინც საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ, ელჩების მეორე ნაწილს დაასახელებს. წლის ბოლოსთვის კი ჩვენი დიპლომატიური კორპუსი უკვე საბოლოოდ უნდა დაკომპლექტდეს. ჩვენი წარმომადგენლობების ოცდარვიდან ოცდათოთხმეტამდე გაზრდის შედეგად, რამდენიმე ქვეყანაში "მოძრავი ელჩებიც" გვეყოლება. ანუ რამდენიმე ქვეყანაში საქართველოს წარმომადგენელს რეზიდენცია საქართველოში ექნება, მათთვის "ჩაბარებულ" ქვეყნებში კი ისინი წელიწადში სამ-ოთხჯერ, 2-3 კვირით ჩავლენ. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, დიპლომატიური კორპუსის რეორგანიზაცია, ჯერჯერობით, დამატებითი თანხების გამოყოფასთან არ არის დაკავშირებული. სხვადასხვა საელჩოებში ჩვენი საგარეო უწყება შტატების შემცირებას გეგმავს. გარდა ამისა, ზურაბიშვილის აზრით, დიდი პომპეზურობით არც ჩვენი წარმომადგენლობის შენობა უნდა გამოირჩეოდეს, **"რადგან ჩვენ მაინც ღარიბი ქვეყანა ვართ"**. ჩვენი დიპლომატიური კორპუსის ძირითადი პრობლემა კი სწორედ ის იყო, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენი რეზიდენციის შენობები და დახარჯული თანხები ღარიბი ქვეყნის იმიჯსა და ჯიბეს ნამდვილად არ შეესაბამებოდა.

*ლელა მჭედლიძე*

## პანკისში დაძაბულობაა

პანკისი, ერთი შეხედვით, მშვიდი და სტაბილური, მაგრამ დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობს. ხეობა პანიკამ მას შემდეგ მოიცვა, რაც აქ რუსეთის დელეგაციის ვიზიტები გახშირდა. მოსახლეობაში შიშმა კი მას მერე დაისადგურა, რაც პუტინის ხელისუფლებამ საქართველოში ბოევიკების შემოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა. ეს ინფორმაცია ქისტებსა და ლტოლვილებს მხოლოდ ყურმოკვრით აქვთ გაგონილი, რადგან ხეობა, უკვე მეორე კვირაა, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. აქაური მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი.

**"ფაქტობრივად, სოფელი ინფორმაციულ ვაკუუმშია,"** - აცხადებენ ჩეჩენი ლტოლვილები. ბრალდებას იმის შესახებ, რომ ხეობაში ენერგოკრიზისი ხელისუფლებამ წინასწარ დაგეგმა, კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ, როგორც სხვა რაიონებს, ახმეტასაც შუქი შეზღუდვით მიეწოდება. **"ამ დროისთვის ენერგოენერგიით მხოლოდ თელავი მარაგდება. რაც შეეხება ხეობას, მასში შემავალი სოფლები გადახდისუუნარონი არიან, თუმცა მე ამაში ხალხს არ ვადანაშაულებ, რადგან მათი იქ ყოფნის საარსებო პირობებიც კი გაუსაძლისია,"** - აცხადებს ცისკარიშვილი.

ჩეჩენი ლტოლვილები ყველაზე მტკივნეულად მათი უფლებების დარღვევას მიიჩნევენ. ისინი საკუთარი უფლებების აღსადგენად 1951 წელს დადებულ კონვენციას იშველიებენ. **"ამ კონვენციის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენი უფლებები უნდა დაიცვას, მაგრამ ფაქტი სახეზეა - საქართველოს ხელისუფლება ჩვენ აღარ გვიფრთხილდება,"** - ამბობენ ლტოლვილები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ხეობის ბლოკ-პოსტებს უშიშროების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფი აკონტროლებს. ჩეჩენი ლტოლვილები აცხადებენ, რომ **"საქართველოს საზღვრებზე ბოევიკების შესაძლო გადმოსვლა პოლიტიკური ბლეფია."** თუმცა ხეობიდან ინგუშეთში დაბრუნებული ჩეჩენი ლტოლვილების კვლავ დაბრუნებას არ გამორიცხავენ, რადგან იქ რუსების მხრიდან მათი დევნა დაიწყო. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ დროისთვის ხეობაში შამილ ბასაევის ერთ-ერთი თანამებრძოლია შემოსული. მისი მტკიცებით, ბოევიკების გადმოსვლა საქართველო-ინგუშეთის საზღვარზე შეუძლებელია, რადგან, როგორც იგი ამბობს, **"ისინი საშობლოში სიკვდილზე არიან წასულები"**.

მართალია, ამ დროისთვის ხეობაში დაძაბულობაა, ჩეჩენ ლტოლვილებთან ჰუმანიტარული მისიით საქველმოქმედო ორგანიზაციები მაინც ჩადიან. გუშინ, ლტოლვილების დასახმარებლად არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანებული კავშირის წევრებმა ბურღულეული და ბავშვების ტანსაცმელი ჩაიტანეს.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

## ტერი დევისმა საქართველოდან მილოცვა მიიღო

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტერი დევისს ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა. "ქართველი ხალხი ყოველთვის აფასებდა თქვენს მეგობრულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ და ისტორიულ როლს ჩვენი ქვეყნის ევროსაბჭოში გაწევრიანების საქმეში", - ნათქვამია წერილში. საქართველოს პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოსა და ევროსაბჭოს თანამშრომლობა ტერი დევისის ევროსაბჭოს გენერალურ მდივნად არჩევის შემდეგ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდება.

*მედია-ნიუსი*

## საქართველო სამხედრო ძალის გამოყენებას არ აპირებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარება პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით უნდა გადაწყდეს. გია ბარამიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ე.წ. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად სამხედრო ძალის გამოყენებას არ აპირებს. თუმცა, როგორც ბარამიძე აცხადებს, ყველა ზომა იქნება მიღებული იმისათვის, რომ აღნიშნულ რეგიონში შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა და სიტუაცია კიდევ უფრო აღარ დაიძაბოს. როგორც ბარამიძე აცხადებს, ამჟამად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში სიტუაციას სრულად აკონტროლებს და იმედი აქვს, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

*ინტერ-პრესი*

## სად არის პროკურატურის ადგილი

გუშინ საქართველოს პარლამენტმა მუხლობრივად განიხილა პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის პროექტი.

პროექტი, როგორც ცნობილია, პროკურატურის სპეცსტრუქტურულ რეორგანიზაციას ითვალისწინებს. გაუქმდება სამხედრო, სასჯელაღსრულებითი და სატრანსპორტო სპეციალიზებული პროკურატურები, რომელთა ფუნქციებსაც საქალაქო, რაიონული და საოლქო პროკურატურები შეითავსებენ. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კანონპროექტის მიხედვით, გენერალურ პროკურორს კვლავ რჩება უფლებამოსილება, კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით სპეციალიზებული პროკურატურა შექმნას, მაგალითად, შესაძლოა, ეკოლოგიურ საკითხებზე შეიქმნას პროკურატურა.

პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონპროექტში შედის პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხებიც.

**"ადრე ეს ორი კანონი დამოუკიდებელი კანონპროექტის სახით არსებობდა, დღეს კი მათ ვაერთიანებთ და პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონპროექტში პროკურატურისა და პროკურატურის მუშაკთა სოციალური გარანტიების საკითხებიც შევა",** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა გია მეფარიშვილმა.

მისივე განცხადებით, პროკურატურის შესახებ ორგანული კანონპროექტით არ არის განსაზღვრული პროკურატურის ადგილი სახელისუფლებო სისტემაში.

**"პროკურატურა დღეს არც სასამართლო, არც საკანონმდებლო და არც სხვა სახელისუფლო სისტემაში არ არის გაერთიანებული",** - აღნიშნა მეფარიშვილმა.

მისი განცხადებით, დიდი ხანია მიმდინარეობს დავა, თუ სად უნდა იყოს პროკურატურა, აღმასრულებელ თუ სასამართლო ხელისუფლებაში, თუმცა საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არ არის.

მეფარიშვილის აზრით, პროკურატურა სასამართლო სისტემაში უნდა დარჩენილიყო და მისი სასამართლო სისტემიდან გამოსვლის გადაწყვეტილება დიდი შეცდომა იყო, რადგან, სადაც სასამართლოა, იქვეა პროკურორი - მბრალდებელი და დაცვაც.

**"როცა პროკურატურა არც ერთ სახელისუფლო სისტემაში არ შედის, ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპი ირღვევა",** - მიიჩნევს მეფარიშვილი.

*ინტერ-პრესი*

## ნაპერწკლიდან ავარდნილი ალი


მეხანძრეებმა მხოლოდ ცისტერნის გაცივება შეძლეს.

გუშინ, 23 ივნისს, დაახლოებით, დღის ორ საათზე ვაჟა ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი გაუჩნდა "მეტრომშენის" ცემენტის ქარხნის შესასვლელთან არსებულ ბუნებრივი გაზის სტაციონარულ სადგურს, სადაც ხდება ბალონების დატენვა.

შემთხვევის ადგილას დროულად მივიდნენ ქალაქის სახანძრო სამსახურის მეხანძრეები, მაგრამ ხანძრის ჩაქრობა დიდხანს ვერ მოხერხდა. თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველოს უფროსის თემურ გიორგაძის თქმით, ალმოდებულ 3-ტონიან რეზერვუარზე ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი იყო, ვიდრე მასში არსებული გაზი თავისით, სრულიად არ დაიწვებოდა; იყო ძლიერი აფეთქების საშიშროება, რომელსაც შეეძლო, სერიოზულად დაეზიანებინა იქვე მდებარე რვასართულიანი კორპუსი. აფეთქების თავიდან ასაცილებლად მეხანძრეები რამდენიმე საათის განმავლობაში სპეციალური ქაფის ნაკადით აგრილებდნენ ალმოდებულ და გავარვარებულ რეზერვუარს.

ხანძრის შედეგად დამწვრობა მიიღო სტაციონარული სადგურის ორმა თანამშრომელმა. ერთი მათგანი რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა ვაკე-საბურთალოს პროკურორმა ბორის მჭედლიძემ განმარტა: **"დაიწყება გამოძიება; დადგინდება ხანძრის გაჩენის მიზეზები და, შესაბამისად, დამნაშავე პირი პასუხს აგებს. ხანძარი, შეიძლება, გამოწვეული იყოს გაუფრთხილებლობითა და უსაფრთხოების ნორმების დარღვევით ან სამსახურებრივი გულგრილობით".** შს მინისტრის მოადგილემ ირაკლი კლდიაშვილმა, რომელიც, ასევე, მივიდა შემთხვევის ადგილზე, არ გამორიცხა, რომ ხანძარი, შესაძლოა, სტაციონარული სადგურის მფლობელთან დაპირისპირებულ რომელიმე პირს განზრახ გაეჩინა. მოგვიანებით "24 საათმა" ერთ-ერთი მეხანძრისგან შეიტყო ხანძრის გაჩენის მიზეზი: თურმე, სტაციონარის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ვერ შეძლო რეზერვუარის მოშლილი ონკანის ბოლომდე დაკეტვა და ჩაქუჩი მოიშველია. სახელურზე ჩაქუჩის დარტყმისას გაჩენილმა ნაპერწკალმა კი ონკანიდან გაპარული გაზის აალება და ხანძარი გამოიწვია.

*ნანა ყაველაშვილი*

## ირანმა ბრიტანელი სამხედროები გაათავისუფლა

გუშინ ბრიტანეთის საპატრულო ნავების ეკიპაჟის 8 წევრი, რომლებიც ირანელებმა ორშაბათს დააკავეს, გაათავისუფლეს. ირანის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ალი რეზა აფშარმა განაცხადა, რომ "დაკავებულების გათავისუფლების ბრძანება მას შემდეგ გაიცა", რაც დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა აღიარეს, რომ მათ შეცდომა დაუშვეს. ბრიტანელები ორშაბათს მდინარე შატ ალ-არაბზე დაიჭირეს. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ისინი შეცდომით ერაყის ტერიტორიული წყლებიდან ირანის ტერიტორიულ წყლებში გადავიდნენ. ირან-ერაყის საზღვრის მნიშვნელოვანი მონაკვეთი სწორედ შატ ალ-არაბზე გადის.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანელი სამხედროების დაკავება ლონდონსა და თეირანს შორის ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვას დაემთხვა. ცოტა ხნის წინ, ბრიტანეთის საელჩოსთან თეირანში დიდი მიტინგი გაიმართა და მომიტინგეებმა ერაყში ლონდონის პოლიტიკა დაგმეს. იმავე პერიოდში, დიდმა ბრიტანეთმა ატომური ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციაში აქტიურად დაუჭირა მხარი ირანის შესახებ ძალზე მკაცრი რეზოლუციის პროექტს. პროექტის თანახმად, ირანს ბირთვული იარაღის უკანონო შექმნაში ედება ბრალი. სავარაუდოდ, ბრიტანელი სამხედროების დაკავება თეირანსა და ლონდონს შორის არსებული დიპლომატიური დაპირისპირების ნაწილია.

## ქუთაისის პროკურორი გადადგა

ქუთაისის მთავარმა პროკურორმა გელა გოგლიჩიძემ, რომელიც ამ პოსტზე "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაინიშნა, პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. სარწმუნო წყაროს ცნობით, გოგლიჩიძის გათავისუფლება ქუთაისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის დავით ბენიძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს და საკრებულოს შენობიდან მის დღემდე ბურუსით მოცულ გაქცევას უკავშირდება. ქუთაისის პროკურორის მოვალეობას ამჟამად გოგლიჩიძის მოადგილე შალვა ფხაკაძე ასრულებს. ის უარყოფს გოგლიჩიძის სამსახურიდან გათავისუფლების არაოფიციალურ ვერსიას და მას მონაჭორს უწოდებს. ახალი პროკურორის ვინაობა, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

*ინტერ-პრესი*

## "თუ პრეზიდენტი მეტროში ჩასასვლელად იცლის, ვალდებულია, ჩვენც შეგვხვდეს..."

### აფხაზეთის ეროვნული სახალხო თანხმობის დარბაზი სააკაშვილისგან დახმარებას ითხოვს


ლტოლვილები სტრუქტურების შენარჩუნებას ითხოვენ.

აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა, სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების - აფხაზეთის ეროვნული სახალხო თანხმობის დარბაზის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების რეორგანიზაციას კულუარებში გეგმავს: **"ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება, იგნორირებას გვიკეთებენ... ცოტა ხნის წინ მიხეილ სააკაშვილმა ეროვნული თანხმობის დეკლარაციას რომ მოაწერა ხელი, იმედი მოგვეცა. ახლა პირიქით, შეშფოთებულები ვართ..."** დარბაზის წევრები მოსალოდნელ ფართომასშტაბიან შემცირებებს აპროტესტებენ და დახმარებისთვის საქართველოს პრეზიდენტს მიმართავენ.

**"აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის დაშლას უპირებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ 1600 კაციდან მხოლოდ 120 ადამიანს დატოვებენ. დაგეგმილია საგადასახადო სამსახურის გაუქმებაც",** - გუშინ სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილმა ადამიანებმა ასევე უარყოფითად შეაფასეს ცენტრალური ხელისუფლების იდეა, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების დასავლეთ საქართველოში გადატანის თაობაზე. აფხაზეთის ეროვნული თანხმობის დარბაზი მოითხოვს, ჰყავდეს თავისი დეპუტაცია პარლამენტში, **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი გასაჭირი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნამდე ვერ მიაღწევს."**

**"საქმის კურსში უნდა გვაყენებდნენ, არ უნდა მოხდეს ჩვენი გარიყვა და იგნორირება. ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ ბევრი სტრუქტურა რეორგანიზაციას საჭიროებს, მაგრამ ყველაფრზე ხელაღებით უარის თქმა არ შეიძლება,** - განუცხადა "24 საათს" აფხაზეთის დეპუტაციის ყოფილმა წარმომადგენელმა გია გვაზავამ, - **აფხაზეთის ოფიციალურ სტრუქტურებში დღეს დასაქმებულია 5500-მდე კაცი, ამ ხალხის 10-15 პროცენტით შემცირება შეიძლება. არსებობს მეორე გზა, ეს არის ჩვენი სტრუქტურების ოპტიმიზაცია: იმდენი სამინისტრო დაგვიტოვონ, რამდენიც ცენტრალურ ხელისუფლებაში არსებობს. შეიძლება რამდენიმე სამინისტროს გაერთიანებაც..."**

აფხაზეთის ეროვნული სახალხო თანხმობის დარბაზი უახლოეს მომავალში აპირებს, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების რეორგანიზაციის მისეული ვარიანტი შეიმუშაოს და იგი პრეზიდენტ სააკაშვილს წარუდგინოს: **"თუ პრეზიდენტი მეტროში ჩასასვლელად იცლის, ვალდებულია ჩვენც შეგვხვდეს, აფხაზეთის საკითხზე ჩვენთან ერთად იმსჯელოს".**

*ვერიკო თევზაძე*

## სახელმწიფო არქივებზე მთავრობა იზრუნებს


იუსტიციის მინისტრი სახელმწიფო არქივში.

*იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში რამდენიმე თვის წინათ გადაცემულ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტს ეწვია და მისი სისტემის პრობლემებს ადგილზე გაეცნო. დეპარტამენტი სამინისტროს საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობით გადაეცა. ექსპერტების შეფასებით, სახელმწიფო არქივების დღევანდელი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ერის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ქვეყნის სამეცნიერო და საინფორმაციო რესურსების შენახვასა და განვითარებას.*

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის რამდენიმე განყოფილება მოინახულა. პირველ რიგში იგი ძველი საისტორიო არქივის საცავით დაინტერესდა და ამავე დარბაზში დაცულ, მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებამდე ნაწარმოებ პარიზი-ლევილის დოკუმენტაციის ისტორიასაც გაეცნო. გიორგი პაპუაშვილმა აღტაცება ვერ დამალა: **"მე კმაყოფილი და აღფრთოვანებული ვარ არქივის ნახვით. მინდა მადლობა ვუთხრა არქივის ყველა თანამშრომელს, მართლა ამ ხალხის ენთუზიაზმმა და საქმის სიყვარულმა მოიტანა დღემდე საქართველოსათვის უნიკალური საცავი. ამიერიდან საჭიროა, მასზე მთავრობამ იზრუნოს. უპირველეს ყოვლისა, გაძლიერდება არქივის დაცვა, უზრუნველყოფილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება, აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება. აგრეთვე, ჩვენი პრიორიტეტია, თანამშრომლობისათვის მოიწვიოს ქართველი მეცენატები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები."**

დღეისათვის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემის 81 სახელმწიფო არქივიდან ნახევარზე მეტი განთავსებულია შენობებში, რომლებიც დოკუმენტების შენახვის ნორმატივების დაცვას მინიმალურად ვერ უზრუნველყოფენ. თბილისში მდებარე 16-სართულიან მაღლივ კოშკში, სადაც განლაგებულია ოთხი ცენტრალური სახელმწიფო არქივის საცავები, კედლები დაბზარულია, არ ფუნქციონირებს ჰაერის გასუფთავებისა და კონდიცირების სისტემა, რის გამოც ირღვევა დოკუმენტების შენახვისათვის დადგენილი ტემპერატურისა და ტენიანობის პარამეტრები. სამი თვის განმავლობაში დეპარტამენტს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ამ და სხვა გადაუჭრელ პრობლემებზე საარქივო დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ მახარაძემ ისაუბრა:

**"არქივის თანამშრომლებს 1998-2003 წლებში, 11 თვის მანძილზე არ მიუღიათ კუთვნილი ჯამაგირი, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია. თქვენმა მოსვლამ იმედი ჩაგვისახა, რომ ყველაფერი გამოსწორდება. ამ შენობაში აქამდე არც ერთ მაღალჩინოსანს ფეხიც კი არ შემოუდგამს, ხოლო, როდესაც დახმარებას ვითხოვდით, პასუხი ასეთი იყო: "რა დროს არქივის გადარჩენაა."**

იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, დეპარტამენტთან მუდმივი კავშირი ექნება მის მოადგილეს კოტე ვარძელაშვილს, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი მათთვის დახმარების აღმოჩენა იქნება.

*ნინო ბერელიძე*

## ოპოზიციონერ კობა დავითაშვილს თავადაც გამოუჩნდა ოპოზიცია

სახელისუფლებო უმრავლესობას მოწყვეტილ კობა დავითაშვილს, თბილისის საკრებულოსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია "საუბნო-სათემო ასოციაცია - გლდანის" სახით, მოწინააღმდეგეები თავადაც გამოუჩნდა.

მაშინ, როდესაც გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აჭარაში იმყოფება და ავტონომიის საკითხზე პლებისციტის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს, არასამთავრობო ორგანიზაცია მისგან თბილისში დაბრუნებას და რაიონის პრობლემების მოგვარებას კატეგორიულად მოითხოვს.

**"გლდანის მოსახლეობამ კობა დავითაშვილს საპარლამენტო არჩევნებში მხარი დაუჭირა, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მისი პრინციპული და მებრძოლი ხასიათი გლდანელებს უამრავი პრობლემის მოგვარებაში დაეხმარებოდა, თუმცა მაჟორიტარი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახლეობის ინტერესებს არ წარმოადგენს, მისი განცხადება კი, რომ ხელმოწერების შეგროვების საბაბით დედაქალაქში ჩამოსვლას ორი თვის განმავლობაში არ აპირებს, ვითარებას კიდევ უფრო ართულებს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში "საუბნო-სათემო ასოციაცია - გლდანის" ხელმძღვანელმა თამარ აგიაშვილი.

რაც შეეხება თავად კობა დავითაშვილს, იგი აქამდე მისთვის აბსოლუტურად უცნობ ორგანიზაციას გარკვეული ეჭვით უყურებს და მათ "ხმაურს" დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია "ნაცმოძრაობის" წევრ ნანული ქაჩიბაიას უკავშირებს, რომელიც, პარლამენტარის თქმით, თავის დროზე ფრაქციიდან მისი ინიციატივით იყო გარიცხული კორუფციის ფაქტთან დაკავშირებით.

**"ამ არასამთავრობო ორგანიზაციას აქამდე არასოდეს ამოუღია ხმა, მათი დღევანდელი ბრალდებები კი ყველა იმ ადამიანის დაკვეთაა, ვისაც ჩემი აჭარაში ყოფნა და ავტონომიაზე მუშაობა არ მოსწონს. ეს, შესაძლოა, ზურაბ ჟვანიაც იყოს,"** - აცხადებს "24 საათთან" ინტერვიუში გლდანის მაჟორიტარი.

თავად არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორც მოსალოდნელია, ამ ბრალდებას უარყოფს. აცხადებს, რომ იგი არც ერთი პოლიტიკური პარტიის მიერ მოსყიდული არ არის და კობა დავითაშვილს შეახსენებს, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს რაიონში - გლდანში სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენა მისი რჩეულისაგან სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტას მოითხოვს. **"გლდანელებს დღემდე შეწყვეტილი აქვთ გაზმომარაგება, არის პრობლემები ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში, ამას ემატება რაიონში არსებული მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობა, მაჟორიტარ დეპუტატთან კი არ არსებობს მოსახლობის მიღების ინსტიტუტი,"** - აცხადებს თამარ აგიაშვილი.

პარლამენტარი ამ ბრალდებასაც პასუხობს და ირწმუნება, რომ ყოველ ორ კვირაში ერთხელ მასთან შეხვედრებს მართავენ გლდანის პრობლემებით დაინტერესებული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და თვითონ მოსახლეობა.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: პარლამენტარი გლდანის მაცხოვრებლების მხარდაჭერაში დარწმუნებულია და "საუბნო-სათემო ასოციაცია - გლდანს" სთავაზობს, შეაგროვოს იმ ათი ათასი მოსახლის ხელმოწერა, რომლებიც დავითაშვილის გადადგომის მომხრეა და მაჟოროტარი პირობას დებს, რომ საკუთარი ნებით დატოვებს პარლამენტს.

**"თუ რამის გამკეთებლები არიან და გლდანის რაიონის მოსახლეობის მხარდაჭერა აქვთ, ჩემ წინააღმდეგ ხელმოწერები შეაგროვონ, რადგან მე მათ ჭკუაზე სიარულს არ ვაპირებ,"** - კატეგორიული ტონით აცხადებს დავითაშვილი.

*ნინო გომართელი*

## თბილისში რუსეთის სამთავრობო დელეგაცია ჩამოდის

კონფლიქტების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას განცხადებით, დღეს საქართველოში რუსეთის სამთავრობო დელეგაცია ჩამოვა, რომელსაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხებში პრეზიდენტ პუტინის პირადი წარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი უხელმძღვანელებს. როგორც ხაინდრავა აცხადებს, ლოშჩინინის ჩამოსვლის ძირითადი მიზანია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციაში უკეთ გარკვევა. ხაინდრავას თქმით, ლოშჩინინი შეხვდება როგორც ქართულ, ასევე ოსურ მხარეებს და იგი იმედს გამოთქვამს, რომ სიტუაციაში ადგილზე გარკვევის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ადეკვატური იქნება იმ მანდატისა, რომელიც რუსეთს, როგორც ერთ-ერთ მშვიდობისმყოფელ ქვეყანას, მინიჭებული აქვს.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** აფხაზეთის თვითალიარებული რესპუბლიკის ექსპრემიერ-მინისტრი, არძინბასთან დაპირისპირებული ანრი ჯერგენია აფხაზეთში შემოდგომისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს და ამჟამად პრეზიდენტობის ყველა სავარაუდო კანდიდატების შანსებს, ჯერჯერობით, თანაბრად აფასებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. გუშინ, სახელმწიფო კანცელარიის წინ იგორ გიორგაძის მომხრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის ორგანიზატორები ტერორიზმში ბრალდებული იგორ გიორგაძისათვის ყველა ბრალდების მოხსნას და საქართველოში დაბრუნების უფლების მიცემას ითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ, პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში დავით მუმლაძემ სამუშაო კაბინეტის ორივე კარები ჩამოხსნა და განაცხადა, რომ ამიერიდან მხარის პირველი ხელმძღვანელის ოთახი ყველასთვის ღია იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი როი რივი იმედოვნებს, რომ მომავალი კვირის სამშაბათს, ეუთო ვენაში მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე მონიტორინგის მისიის წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აჭარის ყოფილი ლიდერის ქალიშვილზე დიანა აბაშიძეზე განხორციელებულ ზეწოლას გმობს და მოითხოვს, მის მიმართ "ამაზრზენი ძალადობა" შეწყდეს. შალვა ნათელაშვილის განცხადებით, კაცობრიობამ დიდი ხანია გაითავისა, რომ შვილი მშობლის მაგივრად პასუხს არ აგებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ნინო ბურჯანაძის კატეგორიული მოთხოვნით, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი პარლამენტის რეგლამენტს ამკაცრებს და საჯარიმო სანქციებს ზრდის. სულ რამდენიმე თვის წინ შემუშავებულ ახალ რეგლამენტში ცვლილებათა პროექტი საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ხათუნა გოგორიშვილმა მოამზადა. რეგლამენტში, ცვლილებათა პროექტის მიხედვით, ყოველ დეპუტატს ერთი პლენარული სხდომის გაცდენისათვის ხელფასის 10 პროცენტი დაექვითება. პლენარული სხდომის გაცდენა დეპუტატს ჩაეთვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი დილის 11.00 საათზე სხდომის დაწყებისას და საღამოს სხდომაზე კენჭისყრის წინ რეგისტრაციას არ გაივლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამშაბათს ვენაში პრესის თავისუფლების საკითხში ეუთო-ს წარმომადგენლების წინაშე საქართველოში ეუთო-ს მისია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ცხინვალის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლად გადაადგილების საკითხს დასვამს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი როი რივი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია ფეთქებადია. როგორც როი რივმა განაცხადა, ეუთო-ს მისია ყველანაირად ეცდება, რომ მხარეები რაც შეიძლება მალე, ნებისმიერ ადგილას, მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდნენ, კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დონორთა თანხები კონვერტით არ დარიგდება



საქართველოს მთავრობა, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული რეგიონებისათვის 3,5 მლნ. ლარს გამოყოფს.

ვახო ბესელიას ფოტო

პირველი გვერდიდან

**გარკვეული თანხები გამოიყოფა მთავრობის ოპტიმიზაციისათვის. აუცილებელია, რომ მთავრობა უფრო იაფი შესანახი იყოს."**

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის თანხები, რომელსაც დონორი ორგანიზაციები საქართველოსთვის გამოყოფენ, მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ დაიხარჯება.

უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ცალკეულ პრიორიტეტებზე იმუშავებენ, - განაცხადა მან ოთხშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე.

პრემიერ-მინისტრმა სახელმწიფო მინისტრ თამარ ბერუჩაშვილს დაავალა, რომ მისი კოორდინირებით შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც ორი კვირის ვადაში წარმოადგენს, როგორ უნდა მოხდეს ამ თანხების ათვისება.

**"მინდა, კახა ბენდუქიძის სიტყვები მოვიშველიო: ჩვენ აღარ უნდა ვიყოთ დამოკიდებული უცხოელების დახმარებაზე. თუ ამ თანხებს რაციონალურად და პრობლემების გადასაწყვეტად გამოვიყენებთ, შედეგს მართლაც მივაღწევთ",** — აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

პრემიერი, "იაფ მთავრობასთან" ერთად, დაინტერესებულ საზოგადოებას საპრივატიზაციო ნუსხის სასწრაფოდ წარმოდგენასაც ჰპირდება. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, **"საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძეს უკვე მომავალი მთავრობის სხდომისათვის მზად ექნება".**

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამან ეკონომიკური პროცესების მკვეთრი გააქტიურება უნდა გამოიწვიოს. ამჟამად მთავრობა ყველანაირი ზედმეტი ლიცენზიების, სერტიფიკატებისა და ნებართვების გაუქმებაზე მუშაობს, რათა ქვეყანაში ბიზნესის განვითარება დაუბრკოლებლად მოხდეს.

ზურაბ ჟვანია საგადასახადო კანონმდებლობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული საგადასახადო კანონმდებლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოში ყველაზე უფრო ლიბერალურია. მან იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ კანონპროექტს საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს. საგულისხმოა, რომ საპრივატიზაციო ნუსხაზე და ზოგ სხვა საკითხზეც საქართველოს მთავრობამ გუშინ დახურულ კარებს მიღმა ისუბრა, ასე რომ, განხილვის დეტალები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა. თავად სხდომა კი, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, იმასთან დაკავშირებით დაიწყო, რომ მლეთა-გუდაურის ჩამოწოლილი მეწყერის გამო, საქართველოში რუსეთიდან მომავალი ტვირთების შემოდინება, ფაქტობრივად, შეჩერებულია. მისი თქმით, არსებული ინფორმაციით, იქ საკმაოდ დიდი რაოდენობის ტვირთებია დაგროვილი - როგორც მალფუჭებადი პროდუქტები, ასევე სხვადასხვა დანიშნულების სპეციალური ტვირთი, რის გამოც ტვირთის მეპატრონეებმა შესაძლოა ძალზედ დიდი ზარალი განიცადონ.

პრემიერ-მინისტრმა "არ გამორიცხა", რომ საქართველომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე როკის გვირაბით ისარგებლოს.

პრემიერ-მინისტრს სხდომაზე არ დაუკონკრეტებია, როკის გვირაბის გამოყენება სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან შეთანხმებული იქნება თუ არა. თუმცა, როგორც დღის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, "შეთანხმებული" ნამდვილად არ იყო.

რაც შეეხება მთავრობის დანარჩენ გადაწყვეტილებებს - გუშინ ცნობილი გახდა, რომ ამიერიდან ის პენსიონერები, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს რამდენიმეთვიანი დავალიანება დაუგროვდა, დამატებით ორ ლარს მიიღებენ.

ამ დამატებებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მცხოვრები პენსიონერები მიიღებენ.

დღესვე გახდა ცნობილი, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული რეგიონებისათვის 3,5 მლნ. ლარი გამოყოს. კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის, სვანეთის, სამეგრელოსა და კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის გამოიყოფა 3,5 მლნ. ლარი, რომელიც, ძირითადად, საგზაო ინფრასტრუქტურის აღსადგენად დაიხარჯება.

სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ მეწყრის შედეგად დაზარალებული საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-თიანეთის მონაკვეთი მოინახულა.

# გაზეთს "12-მდე" საზაფხულო არდადეგები აქვს



უკვე მოგენატრათ, არა? მხიარული, ფერადი, სახალისო და საინტერესო საკითხავებით დახუნძლული საბავშვო გაზეთი "12-მდე" წელიწადზე ცოტა მეტია, გამოდის და უკვე პატარა მკითხველთა მრავალრიცხოვანი არმია შეიძინა.

ჩვენ არსად წავსულვართ, ისევ თქვენთან ვართ!

ბავშვების ერთგულ მეგობარს, ბრძენ მასწავლებელსა და, უბრალოდ, საინტერესო მოსაუბრეს - გაზეთს "12-მდე" თავისი პატარა მკითხველის მსგავსად საზაფხულო არდადაგები აქვს.

სექტემბერში, როდესაც მზით გარუჯული და დასვენებული პატარები სასკოლო მერხებს მიუსხდებიან, გაზეთი "12-მდე" სრულიად განახლებული სახით გამოვა და ყველაზე ერთგულებს უამრავ სიურპრიზს ჰპირდება.

როგორც გაზეთის მთავარი რედაქტორი ვალერი ჯინჭარაძე ამბობს, განახლებულ გაზეთს პატარები კიდევ უფრო შეიყვარებენ.

გათამაშების ერთი ციკლი, რომელიც გაზეთმა "12-მდე" მოაწყო, დასრულდა.

გაზეთის ორი გამარჯვებული მკითხველი პარიზის დისნეი ლენდში დაუვიწყარ არდადეგებს გაატარებს. სექტემბრიდან "12-მდე" გათამაშების ახალ, გრანდიოზულ ციკლს იწყებს... ასე რომ, პატარებო, ცხვირი არ ჩამოუშვათ, თქვენი "12-მდე" კვლავ თქვენთან იქნება! აბა, სექტემბრამდე!

**P. S.** სხვათა შორის, ახლა გამომავალ საბავშვო გაზეთს "12+" არაფერი აქვს საერთო პოპულარულ გაზეთთან "12-მდე". გავრცელებული ხმები, თითქოს გაზეთი "12-მდე" "24 საათიდან" გადავიდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სახელწოდება "12-მდე" და "12+", ისევე როგორც საბავშვო გაზეთის ლოგო, "24 საათის" მიერ საქპატენტშია დარეგისტრირებული, ამდენად ამ სახელწოდებებისა და ლოგოების გამოყენების უფლება სხვას არავის აქვს.

*24 საათი*

# 10 წელი და 300 მილიონი

პირველი გვერდიდან

რუსი ექსპერტები კი ამტკიცებენ , რომ რუსეთი საბოლოოდ მაინც შეასრულებს დანაპირებს ბაზების გატანაზე, მაგრამ კონკრეტულ ვადებზე საუბარი მათთვის ძველებურად არასასიამოვნო თემად რჩება.

გენერალი ლეონიდ ივაშოვი აცხადებს, რომ რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არაპატრიოტული და საკუთარი სამშობლოს გამყიდველური პოზიცია უკავია. იგი სინანულით აღნიშნავს იმასაც, რომ პრეზიდენტი პუტინი ვაშინგტონის კარნახით თმობს რუსეთის პოზიციებს საქართველოში.

**"შედეგი იქნება ის, რომ რუსეთი დატოვებს საქართველოს, რაც საშიში სიმპტომია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. მე თავად ვარ სტამბოლის სამიტის მონაწილე და რუსეთის სამხედრო ბაზების გატანაზე საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებაც ჩემს თვალწინ მოხდა. მაშინ მე კარგად ვხედავი, როგორ არბოდა ბატონი რევაზ ადამია მეოთხე სართულზე და ყოველ წინადადებას თუ პუნქტს ამერიკელ კოლეგებს უთანხმებდა. მაშინ უკვე ცხადი იყო, რომ რუსეთის საერთაშორისო ინტერესების მიწასთან გასწორება ხდებოდა.**

**ახლა ეს ხელშეკრულება ლამისაა რუსეთ-აშშ-ს სამხედრო დაპირისპირების ობიექტად იქცეს. რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მრავლადაა ამიერკავკასიაში პოზიციების დათმობის მოსურნე. მათი ზეწოლით მოხდება ის, რომ რუსეთი საბოლოოდ გაიტანს ამ ბაზებს, თუმცა დღეს ეს სულაც არ შედის საქართველოს ინტრესებში."** - ამბობს ივაშოვი.

ის რუსი პოლიტიკოსებიც კი, რომლებიც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანისათვის მზადყოფნას აცხადებენ, ამტკიცებენ, რომ მოსკოვის მოთხოვნას რუსი სამხედროების ღირსეულად გაყვანაზე ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ მოსკოვი ქართული მხარის მიერ მოთხოვნილ ვადებს არარეალურად აფასებს და რეალურ ვაჭირობას იწყებს რეალური სასტარტო ფასებით. მინიმუმ სამასი მილიონი დოლარი და მინიმუმ 10 წელი - ასეთია მოსკოვის დღევანდელი წინადადება.

# პუტინის მტკიცე ხელმა, შესაძლოა, რუსეთის აღმასვლა შეაფერხოს

ჯორჯ სოროსი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სამოქალაქო საზოგადოებას ხელთათმანი ესროლა. გასულ თვეში, ერისადმი ყოველწლიურ მიმართვაში მან ნათლად განაცხადა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება უზენაესია. მისი სიტყვიდან კარგად ჩანს, როგორ შეიცვალა რუსეთის პოლიტიკური ლანდშაფტი.

პოსტსაბჭოურ პერიოდში რუსეთში ღია საზოგადოება ყალიბდებოდა. ახლა რუსები, შესაძლოა, იმ ერას დაუბრუნდნენ, რომელიც, მათი აზრით, უკვე უკან მოიტოვეს.

2000 წელს, როდესაც პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა, მის მიერ დაწყებულმა აღმშენებლობის პროცესმა მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით - ელცინის პერიოდში არსებული ანარქიის ფონზე. პუტინმა დაიწყო აშენება სუსტი და დაქუცმაცებული სახელმწიფოსი, რომელიც გადასახადებს ვერ კრეფდა, კანონის უზენაესობას ვერ უზრუნველყოფდა და საკუთარი ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე კონტროლი ჰქონდა დაკარგული.

ახლა, სახელმწიფო კაპიტალიზმის ნიშნები სახეზეა. სახელმწიფო ხაზინა სავსეა და რუსეთს თავისი ისტორიის განმავლობაში ყველაზე დიდი სავალუტო რეზერვი აქვს. 13-პროცენტიანმა გადასახადმა დამფრთხალი ინვესტორები დაამშვიდა. ნავთობის მაღალმა ფასმაც თავისი როლი შეასრულა.

თუმცა, ლიბერალიზებული ეკონომიკა სულაც არ ნიშნავს დემოკრატიის არსებობას. პუტინი, როგორც ჩანს, ავგუსტო პინოჩეტისდროინდელ ჩილესა და სინგაპურს ბაძავს, სადაც ეკონომიკა და სტაბილურობა მთავარი პრიორიტეტებია. რუსეთისთვის უმჯობესი იქნებოდა, ევროკავშირის ახალი წევრებისთვის შეეხედა, რომლებმაც ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზმის დამკვიდრება წარმატებით მოახერხეს.

პუტინმა რუსებს ის მისცა, რასაც ისინი ყველაზე მეტად აფასებენ - სტაბილურობა. ახლახან ჩატარებული გამოკითხვა მის უზომო პოპულარობას ცხადყოფს: პრეზიდენტს მოსახლეობის, დაახლოებით, 80 პროცენტი უჭერს მხარს.

მარტში პუტინის ხელახლა არჩევამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი მანდატი. ახლა ის დუმის ორ მესამედს აკონტროლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას კონსტიტუციის საკუთარი შეხედულებებისამებრ შეცვლა შეუძლია. ორი ლიბერალური პარტია პარლამენტს გარეთ დარჩა, რადგან მათ 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს.

პუტინის დროს დამოუკიდებელი ტელეკომპანიები, ფაქტობრივად, გაქრა. რამდენიმე დამოუკიდებელი გაზეთი კი რუსეთის 146-მილიონიანი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილამდე აღწევს.

მისმა ერისადმი მიმართვამ ეჭვი აღძრა, რომ ახლა ადამიანის უფლებების დამცველებს ამოიღებენ მიზანში. ამ თვეში ყაზანის ადამიანის უფლებების ცენტრის ოფისს ნიღბიანი პიროვნებები დაესხნენ თავს და დაარბიეს. წინა კვირას, შინაგან საქმეთა მინისტრმა "ბრიტანეთის საბჭოს" საფინანსო დოკუმენტების ჩვენება მოსთხოვა, მათ ისიც კი იკითხეს, საერთოდ რატომ მუშაობს ეს ორგანიზაცია რუსეთში.

პუტინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩეჩნეთი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მიღმა დაეტოვებინა, ოღონდ - არა კონფლიქტის მოგვარების წყალობით, არამედ დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის ჩახშობის ხარჯზე. ანა პოლიტკოვსკაია, რომელიც ჩეჩნეთზე სტატიებს წერდა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე არ გაუშვეს, სადაც მას საჯარო დისკუსიაში უნდა მიეღო მონაწილეობა. რეალური შედეგი კი ის არის, რომ ომი ჩეჩნეთში გამწვავდა. "ჰიუმან რაითს ვოთჩმა" განაცხადა, რომ შარშან ადამიანების გაქრობის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ჩეჩნეთის მეორე ომი დაიწყო. უამრავი მსხვერპლის მიუხედავად, პუტინი რეგიონის დასამორჩილებლად კვლავ ძალის გამოყენებას ემხრობა.

დაახლოებით ერთი წლის წინ მე გადავწყვიტე, ჩემი ფონდი დამეხურა რუსეთში, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ სახელმწიფო ახლა თავად განახორციელებდა მასშტაბურ პროექტებს, ძირითადად, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, რომელსაც მე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ვაფინანსებდი. მე ერთი მილიარდი ამერიკული დოლარი დავხარჯე რუსეთში. გამიხარდა, რომ ბიზნესმენებმა, როგორიც, მაგალითად, მიხეილ ხოდორკოვსკია, სამოქალაქო საზოგადოებისა და ინტერნეტის განვითარებაზე გააგრძელეს მუშაობა, რომელსაც მანამდე მე მხარს ვუჭერდი.

ხოდორკოვსკის დაპატიმრებამ ბიზნესსაზოგადოებას დაანახა, რომ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

პუტინმა უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთი ვერ გახდება ჯანსაღი ქვეყანა, თუ ის სამოქალაქო საზოგადოებაზე ზეწოლას განახორციელებს. რუსეთის ბიუროკრატია, რომელიც ზემოდან მითითებებს ელოდება, დაბნეულია. პუტინის მცდელობა, რომ რუსეთის მოდერნიზება განახორციელოს, წარუმატებლობისთვის არის განწირული, თუ კრიტიკული აზროვნების უფლება უზრუნველყოფილი არ იქნება. თუ იგი ამას ვერ შეძლებს, მაშინ პუტინი იმას გამოუთხრის ძირს, რაც მას ყველაზე მეტად სურს - ძლიერ სახელმწიფოს. ეკონომიკური განვითარება, რომელიც მას ასე ძალიან უნდა, ვერ მოხდება.

*"ინთერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი"*

# აშშ-ის დელეგაციის გამოსვლა საქართველოს დონორთა შეხვედრაზე

პირველი გვერდიდან

ახალი მთავრობა არ ერიდება რისკს ნებისმიერ დონეზე და ბრძოლას უცხადებს მათ, ვინც არაკანონიერად მიითვისა ძალაუფლება და სიმდიდრე. ახალ მთავრობას ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. მთავრობის მზადყოფნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ფარგლებში გადაჭრას ფისკალური და მაკროეკონომიკის საკითხები, იმედის მომცემია და ხელს შეუწყოს მთავრობის კიდევ ერთი პრიორიტეტის განმტკიცებას - გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო საქართველოში.

აშშ გეგმავს 2004 წელს საქართველოს გამოუყოს დაახლოებით 160 მილიონი ა.შ.შ დოლარი, საიდანაც 53 მილიონი უსაფრთხოების სფეროს დახმარებისთვის იქნება განკუთვნილი. ვეცდებით კონგრესისგან მივიღოთ წლიური 100 მილიონი აშშ დოლარი განვითარების პროგრამების დაფინანსებისათვის 2005-2006 ფისკალური წლებში.

2004 წელს ჩვენ დავაბალანსეთ გარდამავალი პერიოდის გადაუდებელი მოთხოვნილება ეკონომიკური ზრდის ტენდენციებთან. ბიუჯეტის დასახმარებლად, შეერთებული შტატები მობილიზაციას უკეთებს დაახლოებით 22 მილიონ აშშ დოლარს, საიდანაც ნაწილი უშუალოდ ხელფასებისა და პენსიების გასასტუმრებლად იქნა გახარჯული. ჩვენ განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით სიღარიბის დონის შემცირებაზე (37 მილიონი აშშ დოლარი), მმართველობის გაუმჯობესებასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების ჩამოყალიებებაზე (31 მილიონი აშშ დოლარი). დანარჩენ დონორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, საქართველოს ახალი ენერგოსტრატეგიის ფარგლებში, გავაგრძელებთ ენერგო სექტორის ტექნიკურ დახმარებას (11 მილიონი აშშ დოლარი), რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება. ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს მიწის პასპორტიზაციისა და საქართველოს აგრარული ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის პროგრამებს (4.8 მილიონი აშშ დოლარი).

მთავრობის მიერ წამოწყებული პრინციპული რეფორმების აღიარების ნიშნად, საქართველოს უფლება მიეცა წარედგინა თავისი განაცხადი ახლად შექმნილ "მილენიუმ ჩელენჯ ქორპორეიშენში". აღნიშნული პროგრამა შეიქმნა პრეზიდენტ ბუშის ინიციატივით და მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს შეზღუდული რაოდენობის სახელმწიფოებს, რომელთაც დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების კარგი მაჩვენებლები წარმოადგინეს. უახლოეს თვეებში საქართველო წარმოადგენს თავის განაცხადს დახმარებისთვის და შემდეგ ჩვენ მივიღებთ გადაწვეტილებას დაფინანსების თაობაზე.

გარდამავალ პერიოდში დონორთა დახმარებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, დონორებს მხოლოდ დახმარების გაწევა შეგვიძლია. წარმატება დამოკიდებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკასა და გარემოზე, რომელსაც იგი კერძო ინვესტიციებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის შექმნის.

საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, შეინარჩუნოს აბსოლუტური გამჭვირვალება ანტიკორუფციული ზომების გატარებისას. კანონის დამრღვევთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გატარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს ყველაფერი მისაღებია მხოლოდ კანონის ფარგლებში და შესაბამისი პროცედურების დაცვით.

სამუშაო ადგილების შექმნა მთავრობამ პრიორიტეტად აღიარა - მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოთ ამ საკითხს. ეკონომიკური კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის დასაქმებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ მზად ვართ მხარი დავუჭიროთ საქართველოს მცდელობას დახვეწოს საკანონმდებლო ბაზა, გააუმჯობესოს საგადასახადო სისტემა და კერძო სესხებისათვის ხელსაყრელი კლიმატი სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ძალისხმევას ენერგორეფორმასთან დაკავშირებით. ელექტროენერგიის სექტორში ფინანსური სტაბილურობის მიღწევა უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. შეერთებული შტატები გააგრძელებს ელექტროენერგიის სადისტრიბუციო სისტემის დახმარებას, ამასთან ერთად, საქართველომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ელექტროენერგიის სექტორში საგადასახადო შემოსავლების გადანაწილებამ ზიანი არ მიაყენოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის (UDC) ფინანსურ სტაბილურობას.

ჩვენ მივესალმებით საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას, დონორთა დახმარების ნაწილი მიმართოს სამოქალაქო სექტორისაკენ. ეს ბრძნული გადაწყვეტილებაა და მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს მთავრობა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობას. აშშ დახმარებიდან 15 მილიონი აშშ დოლარი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაზე დაიხარჯება.

საქართველოს მიეცა შესაძლებლობა დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორები არიან ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი. ევროპის გამოცდილება ფასდაუდებელია საქართველოსთვის. თუ ჩვენ, დონორები, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად ვიმოქმედებთ, შევძლებთ საქართველოს მომავლის შეცვლას.

# მსჯელობენ აჭარაზე, აფიქრებთ ოსეთი

გიორგი ასანიშვილი

დღეს მუშაობას იწყებს პარლამენტის რიგგარეშე სესია, რომლის დღის წესრიგში აჭარის სტატუსის განხილვაც არის გათვალისწინებული. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ეს პროცედურა გარკვეული დროით გადაიდოს. ყოველ შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ კონსტიტუციური კანონპროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის" შესახებ დღევანდელ სხდომაზე გამოტანილი არ იქნება. სპიკერის თქმით, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე ის კონსულტაციებს მართავს პრეზიდენტ სააკაშვილთან და აღნიშნული საკითხის გარშემო საჯარო დებატები თავის პიკს, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში მიაღწევს.

საპარლამენტო უმრავლესობის გუშინდელ დახურულ სხდომაზე ძირითად სამსჯელო თემას აჭარის პრობლემატიკა წარმოადგენდა, ოღონდ, იგი გასცდა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის საკითხს და სხვა სფეროებიც მოიცვა. კერძოდ, საუბარი შეეხებოდა დიანა აბაშიძის პერსონით სამართალდამცავი სტრუქტურების დაინტერესებას.

ნინო ბურჯანაძე, გენერალური პროკურორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის (უმრავლესობის გუშინდელ სხდომას ზურაბ ადეიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილიც ესწრებოდნენ) განცხადებებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ **"ასლან აბაშიძის ქალიშვილის გადაადგილება აჭარის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ შეზღუდული არ არის, ოღონდ, სამართალდამცავების ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემა მას აუცილებლად მოუწევს".**

თავად გენერალური პროკურორის პოზიცია კი ასეთია: **"დიანა აბაშიძის კუთვნილ კომპანიებს სახელმწიფოსთვის რამდენიმე ათეული მილიონი ლარი აქვთ გადასახდელი და ამ საკითხზე მას პროკურატურა დაკითხავს. თუ ასლან აბაშიძის ქალიშვილის კომპანიები ვალს გადაიხდიან, ყველანაირი პრობლემა მოიხსნება,"** - აღნიშნავს ზურაბ ადეიშვილი.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრს, ამჟამად ის, აჭარაზე მეტად, ოსეთში მიმდინარე მოვლენებით უფრო არის დაკავებული. ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, ოსური მხარის პროვოკაციულ ქმედებებზე თვალის დახუჭვას არ აპირებს და მზად არის, მათ საკადრისი პასუხი გასცეს.

# სემეკ-ის მკაცრი ვერდიქტი

## 1 ივლისს "მცირე ლიცენზიანტები" არსებობას შეწყვეტენ

*სემეკ-ის გუშინდელი სხდომა იმაზე ხმაურიანი არ ყოფილა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. არადა, გუშინ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებლებმა მნიშვნელოვანი და, სხვათა შორის, ერთობ ხისტი გადაწყვეტილება მიიღეს. კომისიამ დარგის სახელისუფლებო სტრატეგიას სექტორის მცირე კომპანიების ინტერესები შესწირა და ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია ჩამოართვა 21 "მცირე ლიცენზიანტს", რომელთა მოქმედების არეალიც "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის", "კახეთის ენერგოსადისტრიბუციო კომპანიისა" და "თელასის" სამოქმედო ზონებში იყო მიმოფანტული. სემეკ-ის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. მეტიც, საქართველოს ენერგოსექტორის უმაღლესი ეშელონებიდან ის წინასწარ არაერთხელ გახმოვანდა.*

მაია ურუშაძე

"მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ ბრძოლა "საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ) ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. ამ კამპანიას სემეკ-ის ძველი შემადგენლობა "შეეწირა" - უშუალოდ იმ სხდომის წინ, რომელზეც "მცირე ლიცენზიანტების" საკითხი უნდა განეხილათ, სემეკ-ის წევრებმა პაატა ცინცაძემ და დემურ ჩომახიძემ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთეს. ისინი ამ თანამდებობებზე "აჭარის ენერგოკომპანიის" ექსდირექტორმა გია თავაძემ და გსეკ-ის მმართველი "პი-ეი კონსალტინგის" ექსთანამშრომელმა ირმა ქავთარაძემ შეცვალეს.

მთავარი არგუმენტი, რის გამოც საქართველოს რეგიონების უმსხვილესი ენერგოოპერატორი მცირე დისტრიბუტორების წინააღმდეგ გამოდიოდა, აღრიცხვიანობის პრობლემას უკავშირდებოდა. კერძოდ, გსეკ-ის ამერიკელი მენეჯერები სისტემატურად აცხადებდნენ, რომ მცირე გამანაწილებელი კომპანიების არსებობა მათ სამოქმედო არეალში "ამოუქოლავ "შავ ხვრელებს" ქმნის, საიდანაც ელექტროენერგეტიკის კუთვნილი მილიონობით ლარი გაედინება."

თავად მცირე ლიცენზიანტები კი ამ დანაკარგებში გსეკ-ს ადანაშაულებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ "ელექტროენერგეტიკული სექტორის კუთვნილი თანხების აორთქლებაში თავად გსეკ-ის ის თანამშრომლები არიან დამნაშავენი, რომლებიც სხვადასხვა მცირე კომპანიებთან გარიგებაში შედიან."

გსეკ-ის პრეტენზიები, ძირითადად,



*გია თავაძე "მცირე ლიცენზიანტების" არსებობის გაუმართლებლობას ასაბუთებს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

იმით იყო განპირობებული, რომ "მცირე ლიცენზიანტთა" უმეტესობა "კარგ გადამხდელ" მომხმარებლებს - მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებსა და საწარმოებს ემსახურებოდა. შედეგად, გსეკ-ის წილად საქართველოს ძნელად მისადგომი რეგიონებიდან დენის საფასურის ამოღება შედიოდა, რაც, ბუნებრივია, ჭირდა და კომპანიის მიერ დენის საფასურის ამოღების მაჩვენებელიც ძალიან ნელი ტემპით იზრდებოდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კომპანიათაგან ზოგიერთი ადგილობრივ თვითმმართველობასთანაც "ზედმეტად თბილ ურთიერთობებში" შენიშნეს.

თუმცა, მცირე ლიცენზიანტებს შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც, ძირითადად, მოსახლეობის ელექტრომომარაგება ჰქონდა ნაკისრი და, ამასთან, მომხმარებლამდე ელექტროხაზები საკუთარი ხარჯებით გაიყვანა.

ერთი სიტყვით, როცა აშკარა გახდა, რომ მათთან მხოლოდ აღრიცხვიანობის მაკონტროლებელთა საშუალებით ბრძოლა გამორიცხული იყო, სექტორის ხელმძღვანელებმა "მცირე ლიცენზიანტების" "თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება" ლიცენზირების პირობების გამკაცრებით განიზრახეს. თუმცა, დიდი დრო აღარ რჩებოდა: ენერგეტიკის დარგის განვითარებისთვის დონორების მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა უკვე მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს, ამ თანხების ერთ-ერთი ძირითადი "მომპოვებელი", გსეკ-ის მმართველი "პი-ეი კონსალტინგი" კი თავის არეალში მოქცეული სადისტრიბუციო ბაზრის სასწრაფოდ გამთლიანებას დაჟინებით ითხოვდა.

შედეგად, ხელისუფლებამ კერძო ბიზნესისათვის ენერგეტიკული ბაზრის ჩაკეტვა სემეკ-ის საშუალებით გადაწყვიტა, რაც, კომისიის გუშინდელ სხდომაზე განხორციელდა კიდეც. სემეკ-ის თავმჯდომარემ გია თავაძემ მცირე დისტრიბუტორები დენის განაწილების ლიცენზიის პირობების დარღვევასა და ტექნიკურად გაუმართავი ქსელით მუშაობაში დაადანაშაულა, ლიცენზიები ჩამოართვა და მათი სამოქმედო არეალის გადანაწილება გსეკ-სა და "კახეთის ენერგოდისტრიბუციას" დაავალა.

მცირე ლიცენზიანტები მიიჩნევენ, რომ მთავრობა მათ "ხელებს უგრეხს" და აიძულებს, საკუთარი ქონება გსეკ-ს იჯარით მიაქირაოს. "ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, კომისიას თითოეულ ლიცენზიანტზე ცალ-ცალკე უნდა ემსჯელა, მაგრამ ეს არ გააკეთა, რადგან სურს, გსეკ-ს დენის განაწილებაზე მონოპოლია დაუკანონოს. არ არის გამორიცხული, ჩვენმა გაუქმებამ დენის ტარიფის ზრდაც გამოიწვიოს," - აცხადებდა გუშინ მცირე ლიცენზიანტ "იგოეთჰესის" გენერალური დირექტორი გელა გურასპაშვილი.

ახლა ყოფილი მცირე გამანაწილებელი კომპანიები სემეკ-ის გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში აპირებენ, მაგრამ ძნელი სათქმელია, მიაღწევენ რამეს თუ არა. სემეკ-ში დაუფარავად საუბრობენ, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, მათი საქმიანობის "გამადიდებელი შუშით" შესწავლა პროკურატურას ეთხოვოს. აქამდე ასეთ "მკაცრ ზომებს" "მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ დაძრული სახელისუფლებო მანქანა აშკარად ერიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის კომენტირებისას ენერგეტიკული კომპლექსის მაღალჩინოსნები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ამ კომპანიებს შორის არც ერთი "სუფთა არ არის".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ დილით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მაკავშირებელ 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" ავარია მოხდა, რომელმაც "ენგურჰესის" აგრეგატების გამორთვაც გამოიწვია. "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" ხაზის აღდგენა ავარიიდან ერთ საათში - 13 საათის 30 წუთისთვის მოახერხა, მოგვიანებით მოხერხდა ავარიის შედეგების სრული ლიკვიდაცია. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ გამოყოფილი 40 ტონა ჰუმანიტარული სასუქი ოთხშაბათს, შემოვლითი გზით დიდი ლიახვის სოფლების მოსახლეობას მიეწოდა. უახლოეს მომავალში ანალოგიური ჰუმანიტარული აქცია ფრონეს ხეობაშიც დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე "საქნავთობის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობას არ აპირებს. მან გადაწყვიტა, რომ სატენდერო კომისიაში განაცხადი არ შეიტანოს. "ტენდერში მონაწილეობა ბევრმა მთხოვა, მაგრამ მიმაჩნია, რომ "საქნავთობის" გენერალური დირექტორის თანამდებობა - ეს არის საგზური ციხეში," - განაცხადა თვალჭრელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ივლისის დასაწყისში "სახელმწიფო ელექტროსისტემას" 1500 თანამშრომელი დატოვებს. თანამშრომელთა შემცირებას კომპანიის რეორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს, რომელიც ირლანდიელმა მმართველებმა მოამზადეს. ივნისის ბოლოს იწურება კანონით განსაზღვრული ორთვიანი ვადა და, შესაბამისად, კომპანიის ყველა თანამშრომელს სამსახურის შესაძლო დატოვების შესახებ გაფრთხილება 2 თვის წინ მიუვიდა. გათავისუფლებული ენერგეტიკოსები სახელფასო დავალიანებას სრულად მიიღებენ. ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული ენერგეტიკის სუბსიდიიდან 7,2 მლნ ლარი გამოიყოფა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**პარიზი.** საფრანგეთის უმსხვილესი საერთაშორისო მედია-ჯგუფის "ვივენდი-უნივერსალის" ყოფილ ხელმძღვანელს ჟან მარი მესიეს საგამოძიებო უწყებებმა ოფიციალური ბრალდება წაუყენეს. მას ბრალად ედება "საბირჟო კურსებით მანიპულირება, ყალბი ინფორმაციის გადაცემა და საზოგადოებრივი ფონდების ბოროტად გამოყენება". მესიეს ეს ბრალდება გამოძიებამ ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ წაუყენა. **მედია-ნიუსი**


## ს.ს. თელასი აცხადებს ტენდერს სპილენძის საკონტროლო კაბელების მოწოდებაზე

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 30 ივნისი.

## ს.ს. თელასი აცხადებს ტენდერს ძალოვანი კაბელების მოწოდებაზე

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს "თელასის" კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 9 ივლისი.

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**25 ივნისს, 13.00-დან 16.00-სთ-მდე:**
გლდანი ა, II, III, IIIა, IV, V და VI მიკრორაიონის, გლდანის ხევის და ხევძმარის დასახლების, ილორის, იპოლიტოვ-ივანოვის, ხევძმარის, მორეტის, ქერჩის, სარაჯიშვილის, თიანეთის გზატკეცილის, ვართაგავას, ზარზმის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**25 ივნისს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:**
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ზუბალაშვილების(ნაწილობრივ), ბარნოვის(ნაწილობრივ), ბესიკის, ბორბალოს, ჩაბანოს, ცხემის, ეკატერინე გაბაშვილის, გურიის, კაკაბაძეების, ოძელაშვილის, რიწის, ვანო სარაჯიშვილის, ტარიელის, ვეძინის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ზალდასტანიშვილის, ქუჩების მაცხოვრებლებს.

**25 ივნისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
სოფლების: კოჯორის, კიკეთის, ბეთანიის და დიდების მაცხოვრებლებს.


# მძიმე მემკვიდრეობა და გადაჭარბებული ხმები

*სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი მჟავანაძე გუშინ ჟურნალისტებს პირველად შეხვდა - აქვე დაიჩივლა, რომ "არასახარბიელო მემკვიდრეობა" ერგო, თუმცა ისიც თქვა, რომ "ხმები ადმინისტრაციის უმოქმედობაზე ცოტა გადაჭარბებულია".*

სოფიკო ოხანაშვილი

უახლოეს მომავალში სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია სარჩელს შეიტანს იმ კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც წლების განმავლობაში არ იხდიდნენ რეგულირების საფასურს, რამაც სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის მიმართ სოლიდური დავალიანება წარმოქმნა. ეს კი, პირველ რიგში, სახელფასო ფონდზე აისახა. სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი მჟავანაძის განცხადებით, ცხრა თვეა, სამოქალაქო ავიაციის თანამშრომლებს ხელფასი არ მიუღიათ (9 თვეში მიუღებელი სახელფასო დავალიანება 2 მილიონ ლარზე მეტია). მისივე თქმით, ადმინისტრაციის მიმართ დაგროვილი 1 მილიონი ლარის დავალიანებიდან დიდი ნაწილი "აირზენა-საქართველოს ავიახაზებზე" და "საქაერონავიგაციაზე" მოდის. მჟავანაძე თითქმის დარწმუნებულია, რომ სასამართლო სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სარჩელს დაუყოვნებლივ დააკმაყოფილებს. მჟავანაძის განწყობას არ იზიარებენ "აირზენაში", სადაც აცხადებენ, რომ ადმინისტრაციული სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. არ არის გამორიცხული, რომ "აირზენამ" შესაგებებელი სარჩელი შეიტანოს იმ ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ორი წლის წინ გააუქმა.

შეგახსენებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ "აირზენას" სარჩელი დააკმაყოფილა და 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით "რეგულირების საფასური" არაკონსტიტუციურად ცნო. ამის საფუძველზე კი ავიაკომპანია რეგულირების საფასურის გადასახადიდან გათავისუფლდა. ეს თანხა ერთ მგზავრზე, საშუალოდ, 5 აშშ დოლარს შეადგენდა.

მჟავანაძის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს რეგულირების შესახებ", რომელშიც "რეგულირების საფასურის" საკითხიც არის განსაზღვრული. პარლამენტმა ეს კანონპროექტი პირველ მოსმენაზე მიიღო, მეორე მოსმენის დროს კი კვორუმი არ შედგა. მჟავანაძე ვარაუდობს, რომ ცვლილებათა პაკეტს საკანონმდებლო ორგანო უკვე მიმდინარე კვირას დაამტკიცებს. მისი განცხადებით, კანონპროექტის დამტკიცებაზეა დამოკიდებული ავიაციის ადმინისტრაციის 85-კაციანი კოლექტივის ბედი.

პროექტის თანახმად, რეგულირების საფასურის ზედა ზღვარი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტით განისაზღვრება. მჟავანაძის განმარტებით, რეგულირების საფასური დიფერენცირებული იქნება. იგი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ხდება არა რეგულირების საფასურის შემოღება, არამედ მისი ლეგალიზება. მისი განმარტებით, რეგულირების საფასური ტარიფში რამდენიმე წლის წინ ჩაიდო, ასე რომ, ახლა მისი ლეგალიზება ტარიფს ვერ გააძვირებს.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ რამდენიმე ავიაკომპანიას ე.წ. გამოუყენებელი ლიცენზიები გააუქმა. 2004 წლის 28 მაისიდან ყველაზე მეტი - ხუთი ლიცენზია ავიაკომპანია "აირზენას" გაუუქმდა. მას ჩამოართვეს თბილისი-ათენი-ლარნაკას, თბილისი-მიუნხენის, თბილისი-დუბაის, თბილისი-ბარსელონა-თბილისი და თბილისი-მილანი-თბილისი რეისების ლიცენზიები. "აირზენა საქართველოს ავიახაზებს" მოსდევს "კავკასიის ავიახაზები", რომელსაც ადმინისტრაციამ ლიცენზიები სამი მიმართულებით გაუუქმა. ლიცენზიები გაუუქმდათ "ეარ ბისეკსა" და "საქავიასერვისსაც". "აირზენას" სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ თბილისი-პეტერბურგი და თბილისი-სტამბულის მიმართულებებზე გაცემული ლიცენზიები 1 ივლისამდე შეუჩერა.

მჟავანაძის განმარტებით, ადმინისტრაციული ზომები იმ კომპანიების მიმართ იქნა გატარებული, რომლებმაც ამა თუ იმ მიმართულებაზე ლიცენზიის აღების შემდეგ ორი თვის განმავლობაში რეისების შესრულება არ დაიწყეს. ამასთანავე, მჟავანაძის თქმით, რამდენიმე კომპანიას, მათ შორის "აირზენასაც", ჩამორთმეული სიხშირეებიდან ნებისმიერ ლიცენზიას ადმინისტრაცია დაუბრუნებს, როცა ავიაკომპანია ფრენის განაცხადს და შესასრულებელი რეისების გრაფიკს წარადგენს.

ლიცენზიების გაუქმების გარდა, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ ამა წლის 15 აპრილიდან 15 ივნისამდე რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის 24 ლიცენზია გასცა. აქედან 12 ლიცენზია უცხოურ კომპანიებზეა გაცემული, 12 კი - ეროვნულ ავიაგადამზიდავებზე.

გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას აჭარის რეგიონში საჰაერო მიმოსვლის გააქტიურება, რეისების გაზრდა და ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქცია აქვს დაგეგმილი. გიორგი მჟავანაძის განცხადებით, ბათუმის აეროპორტი მძიმე თანამედროვე ტიპის თვითმფრინავების მისაღებად ტექნიკურად გაუმართავია, ამიტომ პირველი, რაც ამ აეროპორტში მგზავრთნაკადის გაზრდისთვის უნდა გაკეთდეს, ეს ასაფრენი ზოლის რეკონსტრუქციაა. მჟავანაძე კმაყოფილია, რომ რამდენიმე ხნის წინ ბათუმი-მოსკოვის რეისი აღდგა. მისივე თქმით, რამდენიმე დღეში ბათუმი-ხარკოვის მიმართულებითაც აღდგება საჰაერო მიმოსვლა. რაც შეეხება ქუთაისის აეროპორტს, მჟავანაძის განცხადებით, აქ ტექნიკური პორბლემები არ არსებობს, თუმცა მგზავრთნაკადის გაზრდის საკითხი სერიოზულად მისახედია.

საქართველო, შესაძლოა, შემოდგომიდან ევროპის სამოქალაქო ავიაციის კონფერენციის (ECAC) წევრი ქვეყანაც გახდეს. გაწევრიანების საკითხი წლის ბოლომდე გადაწყდება. მჟავანაძის თქმით, ბოლო დრომდე საქართველოსთვის ამ ორგანიზაციაში შესვლა შეუძლებელი იყო, რადგან გერმანია და დიდი ბრიტანეთი ამ პროცესს წინააღმდეგობას უწევდნენ. ამჟამად დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან სამოქალაქო ავიაციის სფეროში არსებული პრობლემები უკვე მოგვარებულია. ასე რომ, ECAC-ში გაწევრიანებისას სერიოზული პრობლემები უკვე არ შეიქმნება.

ცნობისათვის, ფინანსური კრიზისის გამო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (იკაო) საწევრო წლების მანძილზე არ გადაუხდია. მართალია, საქართველოსათვის ორგანიზაციის წევრობა არ ჩამოურთმევიათ, მაგრამ ჩამოგვართვეს ხმის უფლება.

# შექმნის თუ არა საგადასახადო ცვლილებები პრობლემებს?

*ქვეყანა რადიკალური ცვლილებების ტალღამ მოიცვა. სახელმწიფომ საგადასახადო კოდექსის მკაცრი ცვლილებები დაგეგმა. არის თუ არა ეს ყველაფერი მართებული, რა ეშველება სოციალური გადასახადების შემცირების გამო გამოცარიელებულ ე.წ. სოც-ფონდს და რამ უნდა უბიძგოს ქართველ მეწარმეებს თეთრი ბიზნესის წარმოებისაკენ?*

ოთარ ქირია

მე ვაწარმოებ პროდუქციას ან გავწევ მომსახურებას, ამაში მე ვიგებ თანხას, საიდანაც სახელმწიფოს უნდა გადავუხადო გადასახადების მთელი კასკადი, რაც არ გულისხმობს კანონგარეშე, მაგრამ სავალდებულო "საქრთამო ანარიცხებს".

მოკლედ, შავი თვლით, მეწარმე ყველაფრიანად იხდიდა მოგების 112 პროცენტს. ეს სტანდარტი იყო და არავისაც არ უკვირდა, თუკი მეწარმე აცხადებდა ერთს და აკეთებდა მეორეს. საშემოსავლო გადასახადი ერთ-ერთი სოლიდური სეგმენტია. აქ მეწარმეები ასეთი პრინციპით მუშაობენ - დაქირავებულის ხელფასად აფორმებენ 100 ლარს, მაგრამ სინამდვილეში იხდიან 300 ლარს. ამით მხოლოდ ქვეყნის ბიუჯეტი ზარალობდა.

დღეს სხვა დროა. პირველი საგადასახადო ცვლილებები, სავარაუდოდ, უნდა მოასწავებდეს იმ გარემოებას, როცა ქვეყნის ყველა მოქალაქე ავსებს დეკლარაციას, როცა ყველა მიღებული თუ გახარჯული თეთრი აღრიცხულია, როცა დაქირავებული კატეგორიულად მოითხოვს დამქირავებლისგან ხელფასის სრულად ლეგალიზებას, როცა ყველა ნაბიჯი კონტროლდება - ანუ ქვეყანა აწყობილია. იქნება კი ასე? რუსეთმა ასეთი სახის ცვლილებებით მალევე მიიღო დადებითი შედეგი. რა იქნება ჩვენს შემთხვევაში? სოციალური გადასახადის შემცირება რაღაც პერიოდით აუცილებლად გამოაცარიელებს ე.წ. სოც-ფონდს, ანუ, პენსიებს, საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასებს და სოციალურ შემწეობებს შეამცირებს. ეს უკვე სოციალური აფეთქების საფრთხეზე მიუთითებს. რა თქმა უნდა, იგულისხმება ის მცირედი პერიოდი, როცა პენსიების და ხელფასების დარიგება გაჭირდება.

ამ საფრთხის პარალელურად, ბიზნესმენთა ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ საგადასახადო ცვლილებები არ არის "გარღვევის" მომასწავებელი ქართულ ეკონომიკაში. ალბათ, ეს ის ხალხია, ვინც გადასახადებს მალავდა, თორემ ბევრს მიაჩნია, რომ ყველაფერი რიგზეა.

შპს "თბილავიამშენის" გასული წლის ბრუნვა 114 მილიონი ლარი იყო. ამ საწარმოში 2350 ადამიანია დასაქმებული და მათი საშუალო თვიური ხელფასი 308 ლარს შეადგენს.

**"ნამდვილად ბევრია ისეთი, ვისაც ეს ცვლილებები ხელს არ აძლევს. ეს ის მეწარმეებია, ვინც წერენ 50 ლარს და ხელფასს 200 ლარის ოდენობით იხდიან, ან სულ სხვა პროპორციით, თუმცა მაინც მალავენ. "თბილავიამშენისთვის" ეს უზარმაზარი შეღავათია. სახელფასო ფონდი წლიურად 9 მილიონ ლარს შეადგენს. აქამდე ვიხდიდით 3 მილიონს, მომავალში 1.8 მილიონ ლარს გადავიხდით. მეორეს მხრივ, ეს სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთ დღეში ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ ჯერ პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას, შემდეგ - მეორე. შეიძლება, ვიღაცისთვის ძნელი წარმოსადგენი იყოს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ცვლილება გაზრდის სახელფასო მინიმუმსაც. დღემდე ოფიციალურ დოკუმენტაციაში ყველა ამცირებდა ხელფასს, ხვალ, როცა მთელი ეს რგოლი გამჭვირვალე და ლეგალური გახდება, აუცილებლად დადგება იმის აუცილებლობა, რომ მინიმალურ ხელფასად დაფიქსირდეს არა 20, არამედ 115 ლარი და ა.შ. "** - აცხადებს შ.პ.ს. "თბილავიამშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა თორდია.

**"ცვლილებებს მივესალმები. ჩვენი კომპანიების შემთხვევაში შეღავათი მილიონობით ლარს შეადგენს. "თი-ბი-სი ბანკი" ქვეყნის საბანკო სექტორის 27 პროცენტს იკავებს, "მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" წლიური ბრუნვა 45 მილიონი აშშ დოლარია. სახელფასო ფონდი მარტო ბანკში 10 მილიონ ლარს აჭარბებს. 33-ისა ნაცვლად 20 პროცენტის გადახდა, დაახლოებით, ორ მილიონ ლარს გამოათავისუფლებს, რაც ახალ ინვესტიციებს და ახალი სამუშაო ადგილების შემქნას მოხმარდება. გარდა ამისა, დადგება დრო, როცა დაქირავებული კატეგორიულად მოსთხოვს დამქირავებელს სრული ხელფასის ლეგალიზებას, იმიტომ, რომ აუცილებლად გაიზრდება კერძო საპენსიო ფონდების რაოდენობა და ადამიანი იზრუნებს არა 14-ლარიანი პენსიის მიღებაზე, არამედ 200-ლარიანის და ა.შ. რა თქმა უნდა, ერთ დღეში ყველაფერი ვერ მოგვარდება, მაგრამ სჯობს ახლა გავიჭირვოთ და ხვალ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ყველა, ბიზნესმენებიც და პენსიონრებიც. გარდა ამისა, წახალისდება კერძო საპენსიო ფონდების ბაზარი, გაჩნდება გრძელვადიანი რესურსები, გამოცოცხლდება საფონდო ბირჟა და ა.შ."** - აცხადებს ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე.

ოპოზიციის აზრი საგადასახადო ცვლილებებთან დაკავშირებით ორად იყოფა. სოციალური გადასახადების თვალსაზრისით, ისინი მიესალმებიან ცვლილებებს, თუმცა არამართებულად მიიჩნევენ იმას, რომ ტვირთი აწვება ადგილობრივ ბიუჯეტებს და ამასთან, დამატებული ღირებულების გადასახადი მხოლოდ 2 პროცენტით შემცირდა.

**ირაკლი იაშვილი, "ახალი მემარჯვენეები":**

**- სოც-ფონდის გამოცარიელება პრობლემებს არ შექნის?**

- მე ასე არ ვფიქრობ. ბენდუქიძის განცხადება ყველაფრის გაყიდვის შესახებ, რა თქმა უნდა, იცით. ის თანხა, რომელიც ფონდს სოციალური გადასახადების შემცირებით მოაკლდება, ალბათ, შეივსება პრივატიზების თანხებით. როგორც ჩანს, მთავრობა სიცარიელის ამოვსებას ამ თანხით აპირებს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ პროცესი დადებით შედეგებს მალე მოგვცემს. გაიზრდება დასაბეგრი ბაზა...

**- გასაგებია, მაგრამ ბიზნესმენს დღესაც შეუძლია დამალოს ხელფასის რეალური ოდენობა...**

- ასე არ არის, უნდა მოხდეს საყოველთაო შეთანხმება. სახელმწიფოს ნაბიჯებს შემხვედრი გადაწყვეტილებით უნდა უპასუხოს კერძო სექტორმაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად გაგვიჭირდება ის პერიოდი, როცა საყოველთაო დეკლარაციების სისტემაზე გადავალთ.

**- ეს მალე მოხდება?**

- მთელი მსოფლიო ასე მუშაობს და ამას ჰქვია ნორმალური მართვა, ნორმალური ქვეყანა. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ საქმე ცუდად იქნება.

**- სახელმწიფოს რა ბერკეტი გააჩნია კონტროლირებისთვის?**

- ბერკეტი არის ის, რაც ხდება დასავლეთში. ყველა ადამიანი შეავსებს დეკლარაციას და გააკეთებს წლიურ ანგარიშს - რა შემოსავალი მიიღო და რამდენი დახარჯა. ამიტომაც არის, რომ მთელი მსოფლიო ყავის ქვითარსაც კი ითხოვს. ეს მაინც მოხდება, თავად დაქირავებული, ნებისმიერი მოქალაქე მოითხოვს ხელფასის ლეგალიზებას. რა თქმა უნდა, დღეს არსებობს საშიშროება იმისა, რომ დადებითი შედეგი ბევრად უფრო გვიან მივიღოთ, ვიდრე, მაგალითად, რუსებმა მიიღეს, მაგრამ გამოსავალი აქედანაც არის. ოღონდ, მე ის მიკვირს, რაც მთავრობამ დღგ-ს და სხვა გადასახადების შემთხვევაში გადაწყვიტა.

**- რას გულისხმობთ?**

- გასულ წელს მოვხსენით ეკონომიკურ საქმიანობაზე გადასახადი, მერე ნოღაიდელმა აღადგინა. ახლა ისევ მოვხსენით. ანუ, ეს მხოლოდ სათქმელად მოიხსნა და არა საქმისთვის. გარდა ამისა, ყველა ამოღებული გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტს ავსებდა. გამოდის, ადგილობრივი ბიუჯეტის ტვირთი ისევ ფედერალურ ბიუჯეტს დააწვება, რაც უსერიოზულეს სირთულეებს შექნის. გარდა ამისა, ვერ გავიგე, რა აზრი ჰქონდა დღგ-ს 2 პროცენტით შემცირებას. ვერ გვეუბნებიან, ეს გადაწყვეტილება რას ეყრდნობა, რატომ არ არის ან მეტი ან ნაკლები.

**- ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ აგვიხსნათ?**

- პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენ ადგილობრივ მმართველობებს მდგომარეობა უკვე შევუზღუდეთ, ახლა კიდევ - საგადასახადო თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობას სერიოზულად ვართულებთ.

# ექვსმხრივი მოლაპარაკებების იმედისმომცემი დასაწყისი

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ფხენიანი მზადაა, უარი თქვას ბირთვულ პროგრამაზე იმ შემთხვევაში, თუ აშშ კომუნისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ "მტრულ პოლიტიკას" შეწყვეტს. ასეთი განცხადებით დაიწყო გუშინ პეკინში მიმდინარე ექვსმხრივი მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი, რომელშიც სამხრეთ კორეის, აშშ-ს, ჩინეთის, იაპონიისა და რუსეთის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ჩრდილოეთ კორეამ, ატომური პროგრამის შეწყვეტის სანაცვლოდ, აშშ-საგან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვა. "ჩვენ ატომური იარაღის შექმნაზე მხოლოდ იმიტომ ვმუშაობთ, რომ აშშ-ს მხრიდან თავდაუსხმელობის გარანტია გვქონდეს," - ამბობს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

მსგავსი განცხადებები პირველად არ გაკეთდა. უფრო ადრე აშშ-მ ჩრდილოეთ კორეასთან თავდაუსხმელობის შეთანხმების ხელმოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა და ასეთი მოთხოვნის წამოყენებას შანტაჟის მცდელობა უწოდა. თუმცა, დათმობებისადმი მზადყოფნის ნიშნები ამჯერად აშშ-ს მხრიდანაც ისმის. მოლაპარაკებათა დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ამერიკული მხარე იუწყებოდა, რომ თეთრი სახლი მზადაა, ჩრდილოეთ კორეისთვის უსაფრთხოების გარანტიის ზოგიერთი ფორმა განიხილოს, მაგრამ მხოლოდ რეგიონის სხვა ქვეყნების მონაწილეობის პირობით. "ჩვენ მზად ვართ სერიოზული საუბრისათვის და ამასთან დაკავშირებით წინადადებებიც გვაქვს," - აცხადებდა მოლაპარაკებების პროცესში აშშ-ს მხარის წარმომადგენელი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს კელი. თუმცა, ამერიკელმა დიპლომატმა არ დააკონკრეტა, რა წინადადებები ჰქონდა მხედველობაში. მოლაპარაკებების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, აშშ-ს სავარაუდო კომპრომისებზე ალაპარაკდა "ნიუ-იორკ ტაიმსი". გაზეთის ინფორმაციით, ამერიკა მზადაა, კომუნისტურ კორეას უსაფრთხოების დროებითი გარანტია მისცეს და, ინვესტიციების სახით, კორეულ ეკონომიკაში სერიოზული ინექციაც მოახდინოს იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ პროგრამაზე საბოლოოდ იტყვის უარს.



*ექვსი ქვეყნის წარმომადგენლების მესამე შეხვედრას იმედისმომცემი დასაწყისი აქვს.*

კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული კრიზისის დარეგულირებისაკენ მიმართული ექვსმხრივი მოლაპარაკებები უკვე მესამედ იმართება. აღსანიშნავია, რომ წინა ორ რაუნდზე რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიღებული ვერ იქნა. ამჟამინდელი მოლაპარაკებების წინაც ბევრი სკეპტიკოსი ეჭვის თვალით უყურებდა ექვსი ქვეყნის, პირველ რიგში კი, მთავარი მედიატორის - ჩინეთის მცდელობას, გადაეჭრათ ეს საკითხი. თუმცა, გუშინ გაკეთებული განცხადებების შემდეგ ნათელი გახდა, რომ, თუ სურვილი იქნება, დაძაბულობის შესანელებლად კომპრომისის გამოძებნა მხარეებს არ გაუჭირდებათ. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებები შაბათამდე გასტანს და კორეელებს ნახევარკუნძულის ორივე ნაწილში იმედი აქვთ, რომ პროგრესი აუცილებლად იქნება მიღწეული.

# ინგუშეთი - პუტინის კიდევ ერთი მარცხი

ჩეჩნეთიდან გადმოსული სეპარატისტების ინგუშეთში შეჭრა, სავარაუდოდ, ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდს შემთხვევით არ დაემთხვა. ეს ერთმნიშვნელოვნად იმ ძალადობრივი პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელიც აქამდე ჩეჩნეთის საზღვრებს მნიშვნელოვნად არ სცდებოდა. მსხვერპლი შთამბეჭდავია და თუ ჩეჩნურ წყაროებს დავეყრდნობით, ეს ინციდენტი მხოლოდ 22 ივნისის ოპერაციით არ დასრულდება. იერიში 8 ობიექტზე იქნა მიტანილი, მათ შორის იყო ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა, მილიციის განყოფილება ნაზრანში, სასაზღვრო საგუშაგოები ნაზრანში, კარაბულაკსა და სლეპტოვსკაიაში.

მომხდართან დაკავშირებით ვერსიები და შეფასებები მრავალია. მოსკოვის სტრატეგიული შეფასებების ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ანატოლი კონოვალოვის აზრით, ეს "რუსეთის ხელისუფლებისა და მასთან თანამშრომლობის მსურველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იყო".

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ალუ ალხანოვი კი მომხდარში ასლან მასხადოვსა და შამილ ბასაევს ადანაშაულებს, მით უფრო, რომ თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე ბასაევმა გააფრთხილა რუსეთის ხელისუფლება, ხოლო მასხადოვმა "რადიო თავისუფლებასთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩეჩენი ხალხი ტაქტიკას ცვლის და აქტიურ საომარ მოქმედებებზე გადადის.

მთავარი ვერსიის თანახმად, შეიარაღებული დაჯგუფება ჩეჩნეთიდან გადმოვიდა და ისინი ჩეჩნები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან იერიში "ალაჰ აქბარის" შეძახილებით მიიტანეს. თუმცა, თვითმხილველების განცხადებებით, შეიარაღებული რაზმი მხოლოდ ჩეჩნებისგან არ შედგებოდა, არამედ უმრავლესობას ინგუში მოჯაჰედები შეადგენდნენ. ერთ-ერთი არაბული ტელეკომპანიის მიერ გადაცემულ ვიდეოკადრებზე კი კარგად ჩანდა, ინგუშეთის ადგილობრივი მოსახლეობა რა სიხარულით ხვდებოდა ამბოხებულებს. როგორც ინგუში მოჯაჰედების შტაბის წარმომადგენელმა ამირა ასადულამ სააგენტო "კავკაზ ცენტრთან" სატელეფონო საუბრისას განაცხადა, "მოჯაჰედების სამხედრო ამოცანები ამით არ ამოიწურება".

გარდა ამისა, გამოითქვა ვარაუდი, რომ 22 ივნისს ასეთი დარტყმის მიყენება წინასწარ განზრახვით მოხდა და ერთგვარი რევანში იყო 63 წლის წინ რუსული პოლიტიკური მანქანის მოქმედებაზე, როდესაც სტალინმა ჩეჩნები და ინგუშები ყაზახეთში მასობრივად გადაასახლა, რადგან ისინი ვერმახტთან საიდუმლო კავშირში იქნენ ბრალდებულნი.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ილია ჭავჭავაძე

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
ვაკანტურ თანამდებობებზე

**1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი**

**2. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე
მასმედიისა და სოციოლოგიური კვლევის დარგში**

**3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე
რეგიონალურ საკითხებში**

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის განხორციელებაში დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი ქვეკომპონენტია საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი (ქვეკომპონენტი C2). საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს განათლების სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელებას დაინტერესებული მხარეებისათვის რეფორმის შესახებ ობიექტური და თანამიმდევრული ინფორმაციის მიწოდების, დადებითი და მხარდამჭერი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების გზით. საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვეკომპონენტს ესაჭიროება საკონსულტაციო მომსახურება.

**1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი**

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- საზოგადოებასთან ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განათლების რეფორმის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაზე, განხორციელებასა და რეგულარულ განახლებაზე, რაც ითვალისწინებს შემდეგს:
- ძირითადი მესიჯების განსაზღვრა და მისი გავრცელება;
- იმ დაინტერესებული ჯგუფების განსაზღვრა, რომელთაც უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია;
- ინფორმაციის გადაცემისა და მიღების საშუალებების განსაზღვრა და ყველა გამოვლენილი დაინტერესებული ჯგუფისგან საპასუხო ინფორმაციის მიღება;
- მეთოდების შემუშავება ურთიერთობების ეფექტის მონიტორინგისა და სტრატეგიის შემდგომი განხორციელების საპასუხო ინფორმაციის ჩათვლით;
- მსოფლიო ბანკის კრედიტით საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქვეკომპონენტისადმი გამოყოფილი ბიუჯეტის და სხვა რესურსების სტრატეგიული დაგეგმვა და მეთვალყურეობა;

**ასევე დაევალება:**

- საზოგადოებისა და მთავარი დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის გავრცელებაზე, განსაკუთრებით განათლების პროექტის აქტივობების შესახებ;
- სამინისტროს საშუამავლო ერთეულის ფუნქციების შესრულება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან აქტიური ურთიერთობების საწარმოებლად;
- სამინისტროს პრეს სამსახურის ჩამოყალიბებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ინტეგრირებული მუშაობა მასთან;
- სამინისტროსადმი და პროექტის საკოორდინაციო ცენტრისადმი დახმარების აღმოჩენა კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, თათბირების, პრეს-კონფერენციების, ინტერვიუების და ინფორმაციის გავრცელების სხვა ღონისძიებების მომზადებასა და მოწყობაში;
- სტატიებისა და მოხსენებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- სამინისტროსადმი ან პროექტთან დაკავშირებული თანამშრომლებისათვის რჩევების უზრუნველყოფა ურთიერთობების ეფექტურ საშუალებებზე და მოსახლეობისადმი ინფორმაცის დროულად მიწოდების უზრუნველყოფა;
- რამოდენიმე ამოცანის კოორდინაციისა და ერთდროულად გადაჭრის უნარი.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (განათლება, ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, სოციოლოგია და სხვა);
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (როგორც სასაუბრო ასევე წერილობითი);
- კომუნიკაციის კარგი უნარი;
- მინიმუმ სამი წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში (განათლება, ჟურნალისტიკაში, კომუნიკაციები, სოციოლოგია და ა. შ.);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- გამოცდილება საგამომცემლო საქმესა და რეკლამირებაში;
- კარგი ორგანიზაციული უნარი და გამოცდილება კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების დაგეგმვაში;
- საქართველოს განათლების სისტემის სიღრმისეული ცოდნა;
- კომპიუტერის ფლობა (MIcrosoft Office, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint, Photoshop).

**ანგარიშვალდებულება**

საზოგადოებრივი ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებული იქნება განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის წინაშე. ყოველთვიური ანგარიშები განხორციელებულ საქმიანობის შესახებ ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა წარუდგინოს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს.

**2. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე
მასმედიისა და სოციოლოგიური კვლევის დარგში**

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

- საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე მასმედიისა და სოციოლოგიური კვლევის დარგში პასუხისმგებელი იქნება შემდგ აქტივობებზე:
- დააკვირდება და გააანალიზებს განათლების რეფორმის არსისა და სტრატეგიის მიმართ პრესასა და მასმედიით გამოთქმულ ალტერნატიულ მოსაზრებებს;
- ჯგუფის ხელმძღვანელს დახმარებას გაუწევს: ა) ინფორმაციის გადაცემისა და მიღების საშუალებების განსაზღვრასა და ყველა გამოვლენილი დაინტერესებული ჯგუფისგან საპასუხო ინფორმაციის მიღებაში; ბ) კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, სემინარების, თათბირების, პრეს-კონფერენციების, ინტერვიუების და ინფორმაციის გავრცელების სხვა ღონისძიებების მომზადებასა და მოწყობაში; გ) განათლების რეფორმის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებასა, განხორციელებასა და რეგულარულ განახლებაში;
- მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის გათვალისწინებით მოამზადებს რეკომენდაციებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებისათვის;
- ჩაატარებს შეხვედრებს დაინტერესებულ ჯგუფებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან მათი პოზიციების განსასაზღვრად და მიღებული ინფორმაციის შესაბამისად გაატარებს სათანადო ღონისძიებებს;
- ითანამშრომლებს სოციოლოგიურ სამსახურთან როგორც კვლევის, ასევე შედეგების პოპულარიზაციის მიზნით და უზრუნველყოფს მომდევნო კვლევებში იმ მენტალური ხასიათის ცვლილებების გათვალისწინებას, რომლებიც გამოვლინდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (განათლება, ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, სოციოლოგია და სხვა);
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (როგორც სასაუბრო ასევე წერილობითი);
- კომუნიკაციის კარგი უნარი;
- მინიმუმ სამი წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში (განათლება, ჟურნალისტიკაში, კომუნიკაციები, სოციოლოგია და ა. შ.);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- კარგი ორგანიზაციული უნარი და გამოცდილება კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების დაგეგმვაში;
- საქართველოს განათლების სისტემის სიღრმისეული ცოდნა;
- კომპიუტერის ფლობა (MIcrosoft Office, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint, Photoshop).

**ანგარიშვალდებულება**

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

ყოველთვიური ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის შესახებ უნდა წარედგინოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს.

**3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე
რეგიონალურ საკითხებში**

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- რეგიონული სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, კოორდინირება ადგილიობრივ პასუხისმგებელ პირებთან;
- რეგიონული გასვლების ორგანიზაციის მიზნით სამინისტროსა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა;
- რეგიონებში ჟურნალისტთა სემინარებისათვის განრიგის მომზადება, ღონისძიების ორგანიზება, ჟურნალისტებთან დაკავშირება;
- სამუშაო შეხვედრებისა და სემინარებისათვის მოწვეულ პირთა სიის შემუშავება და მათთან დაკავშირება რეგიონებში;
- პრეს-კონფერენციების ორგანიზება და პრეს-რელიზების მომზადება;
- კონფერენციებიდან, სემინარებიდან და სამუშაო შეხვედრებიდან მიღებული გამოხმაურების ანალიზი;
- ფართის, ტრანსპორტირების, ტექნიკური საშუალებების უზრუნველყოფა სამუშაო შეხვედრების, სემინარებისა და ტრეინინგებისათვის.

**მოთხოვნები და კვალიფიკაცია:**

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში (მაგ. ჟურნალისტიკა, სოციოლოგია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა);
- ქართული, რუსული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი);
- კარგი ორგანიზაციული უნარი და გამოცდილება კონფერენციების, სემინარების, შეხვედრების დაგეგმვაში, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში;
- რეგიონული პირობების ცოდნა;
- კომუნიკაბელობა;
- მინიმუმ სამი წლის გამოცდილება შესაბამის დარგებში (მაგ. განათლება, ჟურნალისტიკა, კომუნიკაციები, სოციოლოგია და სხვა.);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება (სასურველია);
- საქართველოს განათლების სისტემის კარგი ცოდნა;
- კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (MIcrosoft Office, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint, Photoshop).

**ანგარიშვალდებულება**

კონსულტანტი ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

ყოველთვიური ანგარიშები განხორციელებული საქმიანობის შესახებ უნდა წარედგინოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს.

**დასაქმების ხანგრძლივობა**

თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

**აღნიშნული თანამდებობები სრულგანაკვეთიანია.**

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა ეზუგბაია**

წარსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები შეგიძლიათ მიიღოთ ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 8 ივლისი.**

**შენიშვნა:**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

## კანალიზაციით გაშვებული თბილისს მწვანილად უბრუნდება



*ზაფხულის ცხელი დღეების დადგომისთანავე ფონიჭალის დასახლების მოსახლეობა "საირიგაციო" სამუშაოებს იწყებს. ისინი ყოველწლიურად აზიანებენ თბილისის მთავარ საკანალიზაციო კოლექტორს, რომელიც დედაქალაქის საკანალიზაციო სისტემას გარდაბნის გამწმენდ ნაგებობასთან აერთიანებს. გაყავთ იმპროვიზებული სარწყავი არხები და ბოსტნებს კოლექტორში გამავალი ფეკალური მასით რწყავენ. ამ ბოსტნებში მოყვანილი ხახვსა და ქორფა მწვანილი გასაყიდად დედაქალაქში ჩამოაქვთ და ჩვენს სუფრაზე ხვდება.*

ნანა ყაველაშვილი

მთავარი საკანალიზაციო კოლექტორის სიგრძე 15-20 კმ-ია. დედაქალაქის საკანალიზაციო სისტემიდან ფეკალური მასა, ამ კოლექტორის საშუალებით, გარდაბნის გამწმენდ ნაგებობაში მიედინება, იქ იწმინდება, შემდეგ კი მტკვარში ჩაედინება. იაფ სასუქ საშუალებას დახარბებული მოსახლეობა კოლექტორს ადგილ-ადგილ აზიანებს; ცალ მხარეს უქოლავენ, რომ ფეკალური მასა დაგუბდეს, შემდეგ ავტონომიური სარწყევი არხებით ბოსტნებში შეაქვთ.

აღნიშნული კოლექტორი "თბილწყანალის" კუთვნილებაა. როგორც კი კოლექტორის დაზიანების შესახებ "თბილწყალკანალში" ან თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურში ატყობინებენ, ორივე უწყების თანამშრომლები, ეკოპოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, შემთხვევის ადგილზე გადიან. გასვლით კი გადიან, მაგრამ... "თბილწყალკანალის" სარემონტო ბრიგადა დაზიანებულ ადგილებს წმენდს, აღადგენს; სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის თანამშრომლები ადგილობრივ მოსახლეობას მორიგ აგიტაციას უტარებენ საკვებ პროდუქტებზე ფეკალური მასების მავნე ზემოქმედების შესახებ, მკაცრად აფრთხილებენ; პოლიციის მუშაკები სატუმბი საშუალებების კონფისკაციას ახდენენ (მაგრამ, როგორც ამბობენ, ჩამორთმეული "ტექნიკა! ძველ მფლობელებს მალევე უბრუნდებათ, მეორე დღესვე კი ახალ ადგილს აზიანებენ, ახალი არხები გაყავთ... წლების მანძილზე გრძელდება ასე...

გია წულაძე, თბილისის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის აპარატის უფროსი: - "სამწუხაროდ, მსგავს შემთხვევაში, ერთადერთი, რაც ჩვენს უწყებას შეუძლია, ისაა, რომ "თბილწყალკანალს" ვატყობინებთ კოლექტორის ამა თუ იმ მონაკვეთის დაზიანების შესახებ და ვთხოვთ აღდგენას. ჩვენს სამსახურს დამნაშავეთა გამოვლენა და სადამსჯელო-აღმკვეთი ღონისძიებების ჩატარება არ ევალება; ეს უფრო სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. მაგრამ მათაც უჭირთ კონკრეტული დამნაშავის გამოვლენა და დაკავება. კოლექტორის დაზიანების ფაქტზე შეუძლებელია დამნაშავის ადგილზე დაკავება, რადგან მოსახლეობა ფრთხილობს. თანაც, ძალზე შეუპოვარი ხალხია. არც მუქარა აჩერებთ, არც იმის შეგნება, რომ სხვა ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან. ვარაუდით კი ვიცით ხოლმე დამნაშავეების ვინაობა (ხომ ვნახულობთ, ვის ბოსტანშიც მიედინება ფეკალური მასა), მაგრამ თუ დანაშაულზე არ წაასწარი, ხომ ვერ დაიჭერ? ისინი კი კოლექტორის დაზიანებით სახელმწიფო ქონების განზრახ ხელყოფას ახდენენ, რაც დასჯადი ქმედებაა. პოლიციას ისღა რჩება, მომხდარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ უბრალოდ აქტი შეადგინოს.

ფეკალური მასით მორწყული ბოსტნეული ჯანმრთელობისათვის სერიოზულად საშიშია. მას შეუძლია მომხმარებლის ორგანიზმში გამოიწვიოს ყველა ის დაავადება, რომლებსაც სხვადასხვა ნაწლავური ჩხირები და ინფექციები იწვევს. ამ დაავადებათა სია საგანგაშოდ ვრცელია".

გოჩა ჯელია, "თბილწყალკანალის" საინფორმაციო სამსახურის უფროსი: - "კოლექტორს ყოველწლიურად აზიანებენ, მაგრამ 15-20-კილომეტრიანი მონაკვეთის ყოველდღიური გაკონტროლება ჩვენს ძალებს აღემატება. მაშინ ყოველ ათ მეტრში დარაჯები უნდა დავაყენოთ. ფონიჭალას თავის დროზე თავისი სარწყავი სისტემა ჰქონდა, რომელიც წლების განმავლობაში უპატრონობისა და განუკითხაობის გამო მოიშალა და პარალიზებულია. იქვე ჩამოდის მდინარე მტკვარი. ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია მტკვრის წყლით ისარგებლოს, მაგრამ მათ იაფი სასუქით გაჯერებული ფეკალური მასა უფრო აწყობთ. კიდევ კარგი, თბილისში დღეისათვის სამრეწველო საწარმოები არ ფუნქციობს, თორემ საკანალიზაციო სისტემაში მოხვედრილი სამრეწველო, ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძალზე საშიში ნარჩენები, კოლექტორიდან გაყვანილი არხების საშუალებით ჯერ ბოსტნეულში, შემდეგ კი ჩვენს ორგანიზმში მოხვდებოდა. ეს ნარჩენები თავის მავნებლობით ნაწლავურ ჩხირებსა და ინფექციებსაც აღემატება. "თბილწყალკანალს" არ შეუძლია მსგავსი შემთხვევების აღკვეთა. შეტყობისთანავე ვატარებთ სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს, მეორე-მესამე დღეს კი იგივე ხდება".

ფონიჭალის მოსახლეობა ერთადერთი არაა, ვინც თბილისის საკანალიზაციო სისტემას საკუთარი ბაღბოსტნების სარწყავად იყენებს. შარშან თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ლტოლვილმა მოსახლეობამაც დააზიანა კანალიზაციის მილები. ფერდობზე გაშენებული ბოსტნების ფეკალური მასით რწყვისას ამ მასის ნაწილი ნიადაგში ჩადის, ნაწილი კი ზღვაში ჩაედინება. ზღვის წყალს კი დანარჩენი მოსახლეობა სვამს.

თბილისის ეკოპოლიციის ინსპექტორი რამაზ ტოგონიძე: "ათი წელია ერთი და იგივე ხდება. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, სანატორიუმ "ოქროს საწმისის" მახლობლად მცხოვრები ლტოლვილი მოსახლეობა ყოველწლიურად აზიანებს საკანალიზაციო მილებსა და ჭებს. დაახლოებით, ორი კვირის წინათაც იყო მსგავსო ფაქტი. დახმარებისთვის მოგვმართა კანალიზაციის სამსახურმა. ეკოპოლიციის პირდაპირი ფუნქცია ნამდვილად არ არის მილების დამზიანებელთა დასჯა. ეს უფრო უბნის რწმუნებულის მოვალეობაა. დანაშაული ისჯება ჯარიმით 20-25 ლარი, მაგრამ დამნაშავის პოვნა ძნელია. მილების აღდგენითი სამუშაოების დროს მოსახლეობის მხრიდან ხშირია მუშების მიმართ აგრესიის გამოვლენა. კანალიზაციის წყლით ისინი ბაღ-ბოსტნებს რწყავენ, ამიტომ ვერ ხერხდება მათი მოქმედების აღკვეთა."

ძნელი დასაჯერებელია, რომ მწვანილსა და ბოსტნეულს წარმოშობის სერტიფიკატი ან მწარმოებლის საიდენტიფიკაციო ნიშნები გაუჩნდეს უახლოეს მომავალში. ისიც საეჭვოა, რომ ეს პროდუქტები ბაზრებში გულდასმით მოწმდება. დროა, შესაბამისმა სამსახურებმა გამონახონ ზემოხსენებული ფაქტების აღკვეთის საშუალებები და თუ ეს არ მოხდა, თბილისი კვლავაც დაიბრუნებს მწვანილის სახით იმას, რასაც კანალიზაციით უშვებს.


### ქალაქ თბილისის მერის ინიციატივა
### საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი

**იწვევს მოხალისეებს**
სამეზობლო ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობისათვის.

თქვენი დახმარებით და სახელმწიფო რესურსების მინიმალური გამოყენებით, მნიშვნელოვან ადგილობრივ პრობლემებს გადავჭრით.

ჩვენი მიზანია:

საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა თბილისის მერიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში;
მოსახლეობისა და ქალაქის ადმინისტრაციის თანამშრომლობის განმტკიცება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას;
მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილებების მიღებაში;
სამეზობლო ამხანაგობების განვითაების ხელშეწყობა;

**გახდი თბილისის კორპუსის მოხალისე!**
**შექმენი ამხანაგობა, მიხედე შენს უბანს შენ თვითონ!**
დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 93-36-32
ელ-ფოსტა: tbilisi-corps@hotmail.com


# საკრებულომ კარი გააღო

ნანა ქადაგიშვილი

*რამდენიმე დღის წინათ შეტანილმა თბილისის ბიუჯეტის პროექტმა საკრებულო ძალზე გამოაცოცხლა. ფრაქციები განსაკუთრებით მას შემდეგ ახმაურდნენ, რაც გუშინწინ პრემიერმა ზიძინა ბრეგაძემ ბიუჯეტის პრიორიტეტები წარმოადგინა. "ლეიბორისტებმა", "დემოკრატებმა" და "მემარჯვენეებმა" პრესკონფერენციები მეორე დღესვე მოაწყვეს. "ლეიბორისტები" ბიუჯეტის ჩაგდებით დაიმუქრნენ, "მემარჯვენეებმა" პრეტენზიები წამოაყენეს, "დემოკრატებმა" კი ბიუჯეტის განხილვის პროცესით დაინტერესებულ მოქალაქეებს საკრებულოს კარი გაუღეს.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"მემარჯვენეები" მიუსაფარ ბავშვთა სახლის პილოტური პროექტის დაფინანსებას ითხოვენ.*

2004 წლის ბიუჯეტის დანამატი 70 მილიონი, ძირითადად, ქალაქის ავარიული ქუჩების, სახლების აღდგენასა და საპატრულო პოლიციის შესაქმნელად გადანაწილდა. ყველაზე მეტი თანხა, 25 მილიონი ლარი, ქალაქის ქუჩების რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა (ამას დაემატება მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის დახმარება - 10 მილიონი ლარი). 20 მილიონი ჩაიდება საპატრულო პოლიციისთვის. მერია მსოფლიო სტანდარტებით მომუშავე და მოაზროვნე პოლიციის ჩამოყალიბებას გეგმავს. 15 მილიონი ლარი კი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებისთვის არის გათვალისწინებული. ეს თანხა, უპირველესად, მესამე კატეგორიის ავარიული სახლების აღდგენას მოხმარდება. აღნიშნულის გარდა, ბიუჯეტში თანხები ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის მოსაწესრიგებლადაც არის ჩადებული - ანუ განახლებულ ქუჩებზე 150 ახალი ავტობუსი ივლის და ულტრათანამედროვე შუქნიშნები დაიდგმება. როგორც პრემიერმა განაცხადა, ეს შუქნიშნები ხუთჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს და 15-20 წელი ძლებს. ჩამოთვლილის გარდა, წელს განახლდება ლიფტებისა და სახურავების შეკეთების პროგრამა; გაკეთდება ახალი სპორტული მოედნები და სკვერები; სასექტემბროდ კი პირველკლასელებს სახელმძღვანელოები დაურიგდებათ.

რაც შეეხება სოციალურ და ჯანდაცვით პროგრამებს, უკეთესობა, თითქმის, არ იგრძნობა. სოციალური პროგრამების დაფინანსება, შარშანდელთან შედარებით, 421 ათასი ლარით არის გაზრდილი, ჯანდაცვით პროგრამებს კი არაფერი შეჰმატებია. მოსახლეობისა და ოპოზიციური ფრაქციების უკმაყოფილება სწორედ ამან გამოიწვია. დაფინანსების გარეშე დარჩენილმა "თბილტრანსის" მძღოლებმა მერიის წინ საპროტესტო აქციაც მოაწყვეს. **"20 წელია, ხელისუფლება ტყუილი დაპირებებით გვავსებს. ჩვენ დაკმაყოფილებას მთლიანად 8 375 ათასი ლარი სჭირდება. შარშანდელი ბიუჯეტიდან 776 ათასი ლარი იყო გამოყოფილი, წელს ამ თანხის გაორმაგებას ვითხოვდით, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში ჯერ 735 ათასი ლარი ჩასვეს, შემდეგ კი ესეც ამოიღეს და ხახამშრალი დაგვტოვეს. არადა, პრეზიდენტიდან დაწყებული, მერით დამთავრებული, დახმარებას ყველა შეგვპირდა, მაგრამ - რა"?!** - ჩიოდა მერიის შენობის წინ შეკრებილი ხალხი, რომელსაც მერიასთან დგომით რომ არაფერი გამოუვიდა, გუშინ კანცელარიის შენობისკენ გადაინაცვლა. მძღოლების ბედი ეწიათ კოოპერატიული ბინათმშენებლობების მეპატრონეებს. დაუმთავრებელი კოოპერატიული კორპუსების მშენებლობისთვის წლევანდელი ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში 700 ათასი ლარი იდო, მაგრამ ესეც ამოიღეს.

"ლეიბორიტებს", ბუნებრივია, ეს ამბავი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. **"არ შეიძლება, დადებითად შეფასდეს ბიუჯეტი, რომელიც ჩინოვნიკების ჯიბეებზეა ორიენტირებული და დედაქალაქის პრობლემების მოგვარებას არ ითვალისწინებს",** - განაცხადა ფრაქცია "ლეიბორისტის" ლიდერმა გიორგი გუგავამ და ბიუჯეტის ჩაგდებით დაიმუქრა.

"მემარჯვენეებმა" ჯერ შარშანდელი ბიუჯეტის "ცოდვები" გაიხსენეს და შემდეგ ახალ ბიუჯეტში ახალი პროექტის ჩასმაც მოითხოვეს. **"ჩვენს მიერ შემუშავებული ორი პროექტი - თბილისის სკოლების კომპიუტერიზაცია და დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმების ჩვენება, 2003 წლის ბიუჯეტში კი ჩასვეს, მაგრამ არ განხორციელებულა. წელს კი მიუსაფარ ბავშვთა სახლის პილოტური პროექტის დაფინანსებას ვითხოვთ",** - განაცხადა ფრაქციის თავმჯდომარემ თემურ ბილიხოძემ.

**"ოპოზიციური პარტიები ხალხის დაშინებას დაიწყებენ, ბიუჯეტს ურჩხულად მოაჩვენებენ და არ დაუჯეროთ. წლევანდელ ბიუჯეტში, 70 მილიონის გარდა, 5 მილიონის დამატების შანსიც არის - ადგილობრივი მოსაკრებელებისა და ქონების გადასახადის ხარჯზე. ეს 5 მილიონი მთლიანად სოციალურ პროგრამებს მოხმარდება",** - დაგვამშვიდა ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა და მოქალაქეებს ბიუჯეტის განხილვის პროცესზე დასწრებას შეჰპირდა.

"დემოკრატებმა" ცხალი ხაზიც გახსნეს (ტელეფონებია: 99.66.98 93.38.50) და ვინც საკრებულოში მისვლას ვერ ახერხებს, შეუძლია, საკუთარი პრობლემები ტელეფონით გადასცეს.

# ვინ უნდა კვებოს ბაღის აღსაზრდელები?

*თბილისის მერიის განათლების მეურნეობის სამსახურის ახალი უფროსი ირაკლი თოდუა ქალაქის ხელმძღვანელობისგან საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო თანხების გაზრდასა და თანადაფინანსებაში მშობელთა წილის გაუქმებას ითხოვს. საინტერესოა, საბიუჯეტო სახსრების გაზრდა ბაღებში კორუფციის მოსპობას რამდენად შეუწყობს ხელს.*

ნანა ქადაგიშვილი

შარშანდელი ბიუჯეტიდან ერთი ბავშვის კვებაზე დღეში 65 თეთრი იყო გამოყოფილი, მშობელს კი, ოფიციალურად, მხოლოდ 5,40 ლარი უნდა გადაეხადა (დევნილი, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახები თანადაფინანსებისგან თავისუფლდებიან). ორივე ერთად დღეში 90 თეთრი გამოდიოდა. მერიის განათლების მეურნეობის სამსამხურის პროექტის მიხედვით, მშობელთა მიერ გადასახდელი საფასური უნდა გაუქმდეს და ქალაქის ბიუჯეტიდან ბავშვის კვებაზე დღეში 90 თეთრი გამოიყოს. განათლების სამსახურმა აღნიშნული პროექტი საკრებულოს უკვე წარუდგინა. საკრებულოში ქალაქის ბიუჯეტის განხილვა ახლახან დაიწყეს, ამიტომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ხელმძღვანელი ჯერ ვერ აკონკრეტებს, განათლების მეურნეობის სამსახურის მოთხოვნას გაითვალისწინებენ თუ არა.

განათლების სამსახურის პროექტის განხორციელება საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მშობლებისთვის შეღავათი იქნება. თუმცა, საბიუჯეტო თანხების გაზრდა მათ მხოლოდ ოფიციალური საფასურისგან გაათავისუფლებს. რაც შეეხება, ვითომდა, ნებაყოფლობით შემოწირულობას, რომელიც ბაღის ხელმძღვანელებმა, კარგა ხანია, გადასახადად აქციეს, ამ პრობლემაზე განათლების სამინისტრომ თუ არ იზრუნა, მშობელს სახელმწიფო საბავშვო ბაღში საფასურის გადახდა კვლავ მოუწევს. სხვათა შორის, რაც ახალმა განათლების მინისტრმა ნორიოს სკოლის კორუფციაში დადანაშაულებული დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა, საბავშვო ბაღებში ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა.

განათლების სამინისტრომ ბაღების გამგეებს მშობლების შემოწირულობათა ფონდების შექმნის უფლება ოფიცილური გადასახადის სიმცირის გამო მისცა. თუმცა, დროთა განმავლობაში ნებაყოფლობითი შემოწირულობა სავალდებულო გადასახადად იქცა; თანაც, რადგან მშობლის მიერ 5,40 ლარის ზევით გადახდილი თანხა, ოფიციალურად, შემოწირულობად მიიჩნეოდა, ბაღის გამგეებმა "შემოწირულობის" ოდენობა სხვადასხვა რაიონში საკუთარი სურვილის მიხედვით დააწესეს. "24საათი" უკვე წერდა, მშობელთა მიერ გადახდილი ვითომდა ნებაყოფლობითი შემოწირულობა რაში იხარჯებოდა და განათლების სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელობა ამ ყველაფერს როგორც აკონტროლებდა.

მერიის განათლების მეურნეობის სამსახურში ამბობენ, რომ ნორიოში მომხდარი, ზემოთ აღნიშნული ფაქტის შემდეგ მშობლებმა გადასახადად ქცეული საფასურის გადახდა შეწყვიტეს. როგორც თვითონაც დავრწმუნდით, ბაღის დირექტორებიც ძალზე ფრთხილობენ. მაგალითად, 137 ბაგა-ბაღში ორი-სამი თვის წინათ კვების საფასურად 30 ლარი უყოყმანოდ დაგვისახელეს, ახლა კი ბაღის დირექტორმა განგვიცხადა, რომ შემოწირულობა ნებაყოფლობითია და ოფიციალური გადასახადი მხოლოდ 5,40 ლარია. №1 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელმა კი განგვიმარტა, - ასეთ საკითხებზე ტელეფონით არ საუბრობენ, მობრძანდით და ყველაფერს აგიხსნითო.

თუკი ერთი დირექტორის გათავისუფლებამ ასეთი შედეგი გამოიღო, განათლების სამინისტროს აქტიური ჩარევით, შეიძლება, ნებაყოფლობით შემოწირულობას თავდაპირველი დანიშნულებაც კი დაუბრუნდეს.

# აისბერგის წვერი

*96 000 - ასეთი გახლავთ რიცხვი, რომლითაც საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები ფსიქიკური პრობლემების მქონეთა რიცხვს აღნიშნავენ. მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი განმარტება მასაც ისევე ახლავს, როგორც ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დაფიქსირებულ ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემს - ეს მხოლოდ აისბერგის წვერია, სინამდვილეში ვითარება გაცილებით რთულია; რამდენად რთული, შეგვიძლია, ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ დავით ზურაბაშვილის სიტყვებით ვიმსჯელოთ: "ყოველწლიურად სულ უფრო მეტი პაციენტი დგება ჩვენთან აღრიცხვაზე. განსაკუთრებით, ყურადსაღებია ფსიქიკური დარღვევები ბავშვებში. წლიდან წლამდე 200 ბავშვით იზრდება ინსტიტუტის კარტოთეკა. ყოველ მესამე ბავშვს საქართველოში ნევროზული რეგისტრის აშლილობა აღენიშნება. ამას ახლავე უნდა მივხედოთ, თორემ შემდეგ, როცა ისინი გაიზრდებიან, ბევრი რამ გვიანი იქნება. ფაქტია, საქართველო დღეს ძალზე სერიოზული პრობლემის წინაშე დგას".*

მაკა ჭაიანი

მშობლის ან ახლობლის დაკარგვა, სტრესული სიტუაციების ეპიცენტრში აღმოჩენა, ჩაგვრა სკოლაში მასწავლებლების თუ თანაკლასელების მხრიდან, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა, უგულებელყოფა ახლობლების მიერ - ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ მიზეზებისა, რომელიც ბავშვში ფსიქიკურ პრობლემებს იწვევს. მათი შედეგებიც მრავალმხრივია - ერთი შეხედვით, უცოდველი გაღიზიანებით დაწყებული, დანაშაულებრივი აგრესიით და თვითმკვლელობით დამთავრებული. საქართველოსნაირი ქვეყნისთვის, რომელმაც ბოლო 12 წლის განმავლობაში ერთიმეორის მიყოლებით გამოიარა სამი სამოქალაქო ომი, ყოველგვარი შემზადების გარეშე გააკეთა ნახტომი ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორესკენ, დანიშნულების ადგილამდე ჯერ არ მიუღწევია და ხანგრძლივ სოციალურ-ეკონომიკურ სტაგნაციაში იმყოფება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტიმულატორი რეალობაა, შესაბამისად, პრობლემა - სისხლხორცეული.

მოსახლეობის ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისთვის საქართველოს სახელმწიფო მხოლოდ 3,5-მილიონიან პროგრამას ამოქმედებს. როგორც პროფესიონალები ამბობენ, ეს თანხა მხოლოდ იმას ჰყოფნის, რომ სტაციონარებში მყოფი ფსიქიკურად დაავადებულები არ მოკვდნენ. ხუთი ლარი დღეში კვებისთვის, წამლებისა და მოვლა-პატრონობისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მცირე თანხაა. ბავშვებს რაც შეხებათ, ამ მიმართულებით, მათი მკურნალობაც მთლიანად სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, თუმცა თანხები ამ შემთხვევაშიც წარმოუდგენლად მცირეა. საქართველოში ბავშვთა პრობლემებზე 25-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი იმ ხარვეზებს უნდა ავსებდნენ, რაც მწირი სახელმწიფო დაფინანასების პირობებში იქმნება. როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრ "ნდობა"-ს მიერ გუშინ სასტუმრო "პრიმავერაში" ორგანიზებულ ფორუმზე გამოჩნდა, არასამთავრობოები კოორდინირებულადაც კი არ მუშაობენ.

ამის გათვალისწინებით, გუშინდელი შეხვედრა განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ. არასამთავრობოებისგან დონორები სულ უფრო მკაცრად მოითხოვენ სახელმწიფოს მონაწილეობას მათი პროექტების დაფინანსებაში. თუკი სახელმწიფოს, მუნიციპალურ დონეზე იქნება ეს თუ ფედერალურზე, არ უნდა ის მნიშვნელოვანი სამუშაოც შეუსრულებელი დარჩეს, რომელსაც დღეს ეს ორგანიზაციები ასრულებენ, ამ მოთხოვნას უნდა დაჰყვეს. თავის მხრივ, არასამთავრობოებმა უნდა გადახედონ საკუთარ და ერთმანეთის მიერ გაწეულ სამუშაოს და გადაწყვიტონ, ვინ რა მიმართულების განხორციელებას აიღებს თავზე და რა დოზით. გუშინდელ შეხვედრაზე მისული არასამთავრობოები სწორედ ამ და არსებული სახელმწიფო პროგრამების დახვეწის საკითხებზე მსჯელობდნენ თბილისის საკრებულოს, მერიის წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან ერთად. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარე გამოკვეთილად საქმიანი იყო.

# ბრალდებულთა ქონებაზე პროკურატურამ ვერდიქტი გამოიტანა

რას იტყვის მართლმსაჯულება?

თამარ კაციტაძე

*დღეს, თანამდებობის პირების დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით, გენერალური პროკურატურა და თბილისის პროკურატურა მართლმსაჯულებას ერთდროულად მიმართავს. კომუნისტური წყობილების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამართალდამცველები პიროვნებას უკანონო გზით შეძენილ ქონებას ედავებიან. თავის დროზე საბჭოთა კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური მუხლი, რომელიც სწორედ აღნიშნულ დანაშაულზე რეაგირებას ითვალისწინებდა, დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლებმა საერთოდ გააუქმეს, მაგრამ, მოგვიანებით, ხელისუფლებამ მისი აუცილებლობა კვლავ იგრძნო და მიმდინარე წლის თებერვალში სისხლის სამართლის კოდექსში "ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ" სპეციალური ცვლილებაც შევიდა. დღეს აღნიშნული მუხლის, პრაქტიკულად, ამოქმედება დაიწყო.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თანამდებობის პირების დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით, გენერალური პროკურატურა და თბილისის პროკურატურა მართლმსაჯულებას ერთდროულად მიმართავს.*

საკუთარი ქონების წარმომავლობის კანონიერების მტკიცება მართლმსაჯულების წინაშე პირველად ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს ლევან მამალაძეს (თუ საქართველოში ჩამოსვლას გაბედავს), უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს ლევან კენჭაძესა და აჭარის უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილეს გოგი კუპრეიშვილის მოუწევთ.

დასახელებული თანამდებობის პირების ბრალეულობას პროკურატურა თვეების განმავლობაში სწავლობს. მათი მტკიცებითვე, ბრალდებულთა ქონების კანონიერების შესწავლასაც ანალოგიური პერიოდი დასჭირდა და, საბოლოოდ, სამართალდამცველები ერთ დასკვნამდე მივიდნენ: **"არ შეიძლება, თანამდებობის პირებს ოფიციალური ანაზღაურებით ის ქონება დაეგროვებინათ, რომელიც მათ დღეს გააჩნიათ"** (სხვათა შორის, პროკურატურის მიერ მოძიებულ დოკუმენტებში მამალაძის, კენჭაძის და კუპრეიშვილის ქონება, ძირითადად, მათი ახლობლების - ცოლების, დედების და სიდედრების სახელზეა გაფორმებული).

გუშინ გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე გენპროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას, აპარატის ახლად დანიშნული უფროსის მოადგილის ლევან სამხარაულის (გაუგებარია, რა კავშირშია აღნიშნული პიროვნება დაუსაბუთებელ ქონებასთან, რადგან ამ საქმეებს გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილი იძიებს) და ქალაქის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დასახელებული ბრალდებულების ქონება ასე გამოიყურება:

**ლევან მამალაძე:** ექვსოთახიანი აგარაკი გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში, რომელიც დედამისის, ვერა პაიჭაძის სახელზეა გაფორმებული; მეუღლის სახელზეა გაფორმებული სახლი თბილისში, ატენის ქუჩა №6-8-ში; მიწის ნაკვეთები გარდაბნის რაიონის სოფლებში - შინდისსა და წავკისში. აგრეთვე, 30 500 ლარისა და 21 ათასი დოლარის ფულადი ანაბრები, რომლებიც ლევან მამალაძეს და მის მეუღლეს ეკუთვნის.

**"პროკურატურას გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ ლევან მამალაძის და მისი ოჯახის წევრების ქონება, შეუძლებელია, კანონიერი შემოსავლებით იყოს მოპოვებული, იქიდან გამომდინარე, რომ ლევან მამალაძე 1994 წლიდან 2003 წლის ნოემბრამდე იყო ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული და ამ ხნის განმავლობაში მას, ხელფასის სახით, 16 754 ლარი აქვს მიღებული"**, - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა.

სხვათა შორის, გრიგალაშვილმა ჩვენთან საუბარში ისიც აღნიშნა, რომ მამალაძის მიმართ აღძრული საქმე უახლოეს მომავალში დასრულდება და იგი სასამართლოში წარიმართება. ახალი კანონმდებლობა კი საშუალებას იძლევა, მოსამართლემ განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანოს.

**ლევან კენჭაძის ქონება ასეთია:** საცხოვრებელი სახლი თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე რამდენიმე ასეულ ათას ლარად შეფასებული სახლი, რომელიც კენჭაძის დედის სახელზეა გაფორმებული; ასევე, მიწის ნაკვეთი საგურამოში და თბილისში ბროსეს ქუჩაზე მდებარე სასტუმრო, რომლის მეწილეც კენჭაძეა.

**"არადა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ კენჭაძე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეორე კატეგორიის ინსტრუქტორად და სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობდა. ოფიციალური შემოსავლით იგი დასახელებულ ქონებას ნამდვილად ვერ შეიძენდა,"** - განაცხადეს სამართალდამცველებმა.

**გოგი კუპრეიშვილი:** აბაშის რაიონის სოფელ წყემში მდებარე სახლი და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კომპლექსი, რომლის საბაზრო ღირებულებაც, ბრალდებულის შეფასებით, 140 ათასი ლარია; ქალაქ ბათუმში 18 ათასად შეფასებული ბინა და 320 ათასად შეფასებული ორსართულიანი სახლი; ამასთან, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი სოფელ წყემში. პროკურატურის მიერ გავრცელებულ ცნობაში საუბარია კუპრეიშვილის კუთვნილ, 40 ათასი დოლარის ფულად ანაბრებზეც.

**"აღსანიშნავია, რომ კუპრეიშვილს ქონებრივ დეკლარაციაში დაფიქსირებული არ ჰქონდა ბათუმში მდებარე ორი ბინა და ავტომობილი "ნივა", რომლებიც გაყიდა. ჩვენი მოსაზრებით, აღნიშნული სახლებიც დაუსაბუთებელ ქონებას განეკუთნებოდა და მათი გასხვისებით მიღებული შემოსავალიც სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს"**, - ასეთია პროკურატურის ვერდიქტი.

თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც მართლმსაჯულებას ეკუთვნის. საკუთარი ქონების კანონიერების მტკიცების "სიმძიმე" კი თავად ბრალდებულებს მოუწევთ. ვნახოთ, ვის სიმართლეს გაიზიარებს სასამართლო.

პროკურატურა კი დაუსაბუთებელ ქონებაზე მუშაობას კვლავ აგრძელებს და წინასწარ იმ გვარებსაც ასახელებს, ვისი ქონების კანონიერებაზეც სასამართლოს მიმართავს.

გუშინდელ ბრიფინგზე გაიჟღერა საავტომობილო გზების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბორის სარალიძის გვარმაც, რომლის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ფინანსურ დანაშაულზეა აღძრული. გენერალური პროკურორის მოადგილის, გიორგი ჯანაშიას განცხადებით, ბორის სარალიძე საგამოძიებო ორგანოებში ჯერ არ გამოცხადებულა, ამიტომ, ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს სარალიძის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობა ბრალდებულის დაუსწრებლად მოუწევს.

გუშინვე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შემდეგ პრეტენდენტად ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე დაასახელა. სხვათა შორის, ზემოთ დასახელებული პირების დაუსაბუთებელ ქონებაზე მუშაობა სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორობის პერიოდში დაიწყო.

ერთი სიტყვით, დაუსაბუთებელ ქონებაზე დავა უახლოეს მომავალში მართლმსაჯულებაში გადაინაცვლებს. ეს კი ქართული სასამართლოსთვის პრეცედენტი იქნება და ბევრი სიძნელეც იჩენს თავს, რადგან საქმეში ჩახედულთა თქმით, ახლად მიღებულ კანონში ბევრი ხარვეზი არსებობს, რაზეც თავის დროზე ევროსაბჭომაც მიუთითა.

# სასუქის შეტანას აფხაზები სადამსჯელო ოპერაციით პასუხობენ

*გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი სასუქის შეტანას აფხაზური მილიციის ნაწილების შესვლა მოჰყვა.*

გუშინ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონში მოქალაქეთა გადაადგილებაზე კონტროლის გასამკაცრებლად, გალის რაიონის ქვედა ზონაში დამატებით 200 მილიციელი შეიყვანა.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, გალის რაიონის ქვედა ზონაში მილიციელთა 200-კაციანი რაზმის შეყვანა გუშინ განხორციელდა.

სანდო წყაროს ცნობით, აფხაზი პოლიციელები ადგილობრივ მცხოვრებლებს კატეგორიულად აფრთხილებენ, არ დაუშვან პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მათთვის გამოყოფილი სასუქის გალის რაიონის ტერიტორიაზე შეტანა. ადგილობრივთა მტკიცებით, აფხაზი პოლიციელები, იარაღის ძებნის მიზეზით, ყოველგვარი საბაბის გარეშე ჩხრეკენ დაბრუნებულ დევნილთა სახლებს და აპატიმრებენ საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ეჭვმიტანილ პირებს.

უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, გალის რაიონის ქვედა ზონაში დამატებით შეყვანილმა მილიციელებმა სრულად გადაკეტეს ენგურსგალმა მდინარე ხურჩასთან გალის რაიონის სხვა სოფლებიდან მისასვლელი გზები, რომლითაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით შერვაშიძისა და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ლონდერ ცაავას მიერ მათთვის შეტანილი სასუქი ადგილობრივ მოსახლეობას თავ-თავიანთ სოფლებში გადაჰქონდა.

მეტიც, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს გალის განყოფილების უფროსის ბადრი დგებუაძის განცხადებით, გალის რაიონში შეყვანილმა აფხაზურმა დამატებითმა ძალებმა უკვე სადამსჯელო ოპერაციები დაიწყეს.

დგებუაძის განცხადებით, უკვე აყვანილია 8 მშვიდობიანი ქართველი მცხოვრები, დადგენილია 3 მათგანის ვინაობა, ისინი არიან ძმები გიგლა და დაზმირ გერგედავები და ვინმე ობოლი კიუტი. მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია, ჯერჯერობით, არ არსებობს. დგებუაძისვე განცხადებით, მილიციის თანამშრომლები გალის რაიონში, ძირითადად, "უაზის" მარკის ავტომანქანებით შევიდნენ, ისინი შეიარაღებულნი არიან ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით. რაც შეეხება მძიმე ტექნიკასა და არტილერიას, დგებუაძის განცხადებით, დამსჯელი რაზმის შეიარაღებაში ამგვარი რამ არ არის.

მისივე თქმით, ქართულმა მხარემ როგორც რუსეთის სამშვიდობო ძალები, ასევე გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა ხელმძღვანელობა უკვე ჩააყენა საქმის კურსში და ამის შესახებ უფრო ფართომასშტაბიანი მსჯელობა დღეს, ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე გაიმართება.

*"ინტერ-პრესის" მიხედვით*

# "შარლერუელ მონსტრს" სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

ბელგიელ მარკ დიუტრუს, რომელსაც ჟურნალისტებმა "შარლერუელი მონსტრი" შეარქვეს, მოზარდი გოგონების მკვლელობისა და გაუპატიურებისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

გასულ კვირას ბელგიის ქალაქ არლონის სასამართლომ მარკ დიუტრუ დამნაშავედ სცნო დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებაში, ექვსი მოზარდი გოგონას მოტაცებასა და გაუპატიურებაში (რის შემდეგაც ოთხი მათგანი მოკლეს) და, აგრეთვე, თანამზრახველის, ბერნარ ვაინშტაინის მკვლელობაში.

როგორც ცნობილია, სასამართლო პროცესის მონაწილე პროკურორები დიუტრუსთვის სამუდამო პატიმრობის მისჯას თავიდანვე ითხოვდნენ. პროკურორის მიშელ ბურლეს თქმით, დიუტრუს მიერ ჩადენილი დანაშაულები "ყველაზე მკაცრ სასჯელს იმსახურებს".

**"ის ნამდვილი ფსიქოპათია, საკუთარ თავში შეყვარებული მანიპულატორი, რომლისთვისაც უცნობია მონანიების გრძნობა,"** - განაცხადა საბრალდებო სიტყვაში ბურლემ.

დიუტრუ სასამართლოს წინაშე სამ თანამზრახველთან - ყოფილ ცოლთან მიშელ მარტენთან, ნარკომან მიშელ ლელიევრთან და ბიზნესმენ მიშელ ნიულთან ერთად წარდგა.

სასამართლომ მარტენს 30 წლით, ლილიევრს კი 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ნიულს კი ციხეში სულ ხუთი წლის გატარება მოუწევს.

პროკურატურას 8 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ დიუტრუს საქმე სასამართლოსთვის გადაეცა. თავად დიუტრუ გოგონების გატაცებასა და გაუპატიურებას აღიარებდა, თუმცა, მათ სიკვდილში თავს დამნაშავედ არ სცნობდა.

მარკ დიუტრუს დანაშაულები მართლაც გამოირჩეოდა თავისი შემზარაობით. მისი ორი მსხვერპლის - 8 წლის მელისა რუსოსა და ჟული ლეჟენის გვამები 1996 წელს დიუტრუს ბაღში აღმოაჩინეს. მოგვიანებით, განსასჯელის მეორე სახლში მიაკვლიეს კიდევ ორი გოგონას - ან მარშალისა და ეფიე ლამბრეკსის გვამებს. ყველა გოგონა გაუპატიურებული და მხეცურად მოკლული იყო.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ასობით ჩვენება მოისმინეს, მათ შორის დიუტრუს ორი მსხვერპლის - საბინა დარდენისა და ლეტიცია დელეზის.

დარდენი დიუტრუმ 12 წლის ასაკში მოიტაცა და გოგონამ მისი სახლის სარდაფში 80 დღე დაჰყო. იგი 1996 წელს მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც დაპატიმრებულმა დიუტრუმ სამართალდამცველებს ის ადგილი გაუმხილა, სადაც იგი და ლეტიცია დელეზი ჰყავდა ჩაკეტილი.

# დიანა აბაშიძე გამოძიებას პასუხს სცემს და ბრალდებებს უარყოფს

*ბათუმში გუშინ განვითარებული ხმაურიანი მოვლენები გაგრძელება იყო იმ პროცესებისა, რომლებიც აჭარის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის ოჯახის წევრის ბათუმში გამოჩენას მოჰყვა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"ეს ყველაფერი ჩემი ოჯახისკენ მიმართული აგრესია და ჩემი ოჯახის პოლიტიკური დევნაა, ამ უსამართლობას მე ბოლომდე შევეწინააღმდეგები"**, - ასე აფასებს აჭარის ყოფილი მეთაურის ქალიშვილი დიანა აბაშიძე მისი გამოჩენისთანავე დაწყებულ დაპატიმრებებსა და სამართალდამცველების მხრიდან მისი ოჯახის შემოსავლებით დაინტერესებას. სამართალდამცველები ოფიციალურად არ აცხადებენ, რომ დიანა აბაშიძე შინა პატიმრობაშია, თუმცა, ფაქტია, ავტონომიის ყოფილი მეთაურის შვილს ბათუმის დატოვების უფლება, ჯერჯერობით, არ აქვს. შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, დიანა აბაშიძეს არანაირი პრობლემა არ ექნება, დატოვოს საქართველოს საზღვრები, თუკი ის გამოძიებისთვის საინტერესო და სადავო ყველა კითხვას პასუხს გასცემს. დიანა აბაშიძე კი სამართალდამცველების მხრიდან მისი მისამართით დასმულ კითხვებს აბსურდულს და უსაფუძვლოს უწოდებს. გენერალური პროკურატურა დიანა აბაშიძეს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ურჩევს. გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას განცხადებით, თუკი სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება და ის თანხა დაბრუნდება, რაც წლების განმავლობაში იქნა მიტაცებული, გამოძიება ამ გარემოებას დიანა აბაშიძის სასარგებლოდ გაითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმე ფინანსურ პოლიციაში ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვის ფაქტზეა აღძრული. დიანა აბაშიძე აჭარაში რამდენიმე მსხვილი კომპანიის მფლობელია და სახელმწიფო მას მილიონობით ლარის ოდენობის გადასახადების დამალვაში ადანაშაულებს. საქმე ეხება ბათუმის კორტებს, რომლის პრეზიდენტიც დიანა აბაშიძე იყო. ასლან აბაშიძის ოჯახის წევრს გამოძიება, ჯერჯერობით, მხოლოდ საჩოგბურთო კლუბ "ბათუმის" მიერ გადასახადების დამალვაში ედავება. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, გაირკვა, რომ ამ პერიოდში კლუბი სახელმწიფოს გადასახადებს უმალავდა. დიანა აბაშიძე კი გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ ეს საკითხები მას არ ეხებოდა.

**"ამჟამად საჩოგბურთო კლუბში საგადასახადო შემოწმება მიმდინარეობს და, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის საბოლოო თანხა, რაც ბიუჯეტის სასარგებლოდ კლუბს დაერიცხება"**, - აცხადებს ფინანსური პოლიციის საგადასახადო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ილია ხონელია.

გუშინ დიანა აბაშიძე მესამედ დაკითხეს. თუკი ორჯერ საგამოძიებო მოქმედება აბაშიძეების საცხოვრებელ სახლში ჩატარდა, გუშინ თავად დიანა აბაშიძე ადვოკატთან ერთად ესტუმრა პოლიციის განყოფილებას, საიდანაც ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ ფარულად გაიყვანეს. ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის თქმით, დიანა აბაშიძე გამოძიებისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარს არ ამბობს, შეკითხვებს პასუხობს, თუმცა, ბრალდებებს არ აღიარებს. დიანა აბაშიძე აცხადებს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო სადავო საკითხები მას არ ეხებოდა.

იმ დროს, როცა დიანა აბაშიძესთან საგამოძიებო მოქმედება - ოთხსაათიანი დაკითხვა - მიმდინარეობდა, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, და-ძმა აბაშიძეების დაცვის დაკავებული წევრების ახლობლების ხალხმრავალი ხმაურიანი აქცია იმართებოდა. აქციის მონაწილეთა დასაშლელად იქ სპეცრაზმის გამოძახება გახდა საჭირო. აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის დავით ღლონტის განცხადებით, "თუკი საპროტესტო აქცია ფარგლებს გასცდება, აქციის მონაწილეების დარბევის ბრძანება არ დააყოვნებს".

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა სამი დღის წინ, გამთენიისას, სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულ, ასლან აბაშიძის ქალ-ვაჟის დაცვის სამ წევრს - იმედა ხოზრევანიძეს, გოგა გოგმაჩაძესა და რუსლან ლემსაძეს. აჭარის პროკურატურა აბაშიძეების დაცვის წევრებს იარაღის უკანონო ტარებაში სდებს ბრალს. თავად დაკავებულები თავს დამნაშავედ არ სცნობენ და აცხადებენ, რომ იარაღი მათ პოლიციამ დაკავებისას ჩაუდო. აქციის მონაწილეები სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებდნენ და დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

შეგახსენებთ, იმედა ხოზრევანიძის, გოგა გოგმაჩიძისა და რუსლან ლემსაძის გარდა, დაკავებულია აბაშიძეების დაცვის კიდევ 11 წევრი, რომელთა ნაწილს იარაღის უკანონო ტარების, ხოლო ნაწილს - ნარკოტიკების შენახვისათვის აქვთ ბრალი წაყენებული. აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გამართულ აქციაზე ბრალდებები ისმოდა სამართალდამცველების მისამართით. დაკავებულთა ახლობლები ირწმუნებოდნენ, რომ ნარკოტიკი და იარაღი დაკავებულებს პოლიციამ ჩაუდო. ხოზრევანიძის, ლემსაძისა და გოგმაჩაძის ადვოკატები ბათუმის საქალაქო სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებენ.

სხვათა შორის, აჭარელ სამართალდამცავებს გუშინ ნებაყოფლობით ჩაბარდა გიორგი აბაშიძის დაცვის წევრი როლანდ ბერიძე, მეტსახელად "ჩაკია", რომელსაც აბაშიძის მმართველობის პერიოდში ოპოზიციური ორგანიზაცია "ჩვენი აჭარის" მშვიდობიანი მიტინგების დარბევებში ადანაშაულებენ. მისი დაკავების მიზნით, აბაშიძეების სახლში სპეცოპერაცია იყო დაგეგმილი. როგორც ამბობენ, დიანა აბაშიძის ბათუმში ჩამოსვლის წუთიდან "ჩაკია" აბაშიძეების სახლში იმალებოდა.

ერთი სიტყვით, ამ დღეებში ბათუმში, სავარაუდოდ, ხმაური და საპროტესტო აქციები გაგრძელდება. წინასწარი დაკავების საკნებში მყოფ, აბაშიძეების გარემოცვის წევრებისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხი სწორედ ამ დღეებში უნდა გადაწყდეს. რაც შეეხება დიანა აბაშიძეს - მასთან საგამოძიებო მოქმედებები კვლავ გაგრძელდება. უპრობლემოდ დატოვებს ის ბათუმს, თუ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, წინასწარ ძნელი სათქმელია.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** წყალტუბოს ტერიტორიაზე არსებულ სათაფლიას გამოქვაბულში გუშინ, ექსკურსიაზე მყოფი უცხოელები გაქურდეს. დინოზავრის ნაკვალევის დათვალიერების დროს, დაუდგენელმა პირებმა თბილისში დროებით მცხოვრები მონა ბერანის კუთვნილი ავტომანქანა "მერსედესიდან", რომელიც არ იყო დაკეტილი, ხელჩანთა და სხვა ნივთები გაიტაცეს. დაზარალებულის თქმით, ხელჩანთაში მას 1200 აშშ დოლარი ჰქონდა. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. წყალტუბოს პოლიციაში აცხადებენ, რომ სტუმრებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის დეპარტამენტის უცხოელთა დაცვის ინსპექტორი ახლდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ თბილისის N1 საპყრობილეში კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი მოინახულა. ომბუდსმენს მოლაშვილთან შეხვედრა მისმა ადვოკატებმა შალვა შავგულიძემ და სოსო ბარათაშვილმა სთხოვეს. შეხვედრისას მოლაშვილმა განაცხადა, რომ იგი არ განიცდის რაიმე ზემოქმედებას და არ აქვს პრეტენზიები ციხის ადმინისტრაციის მიმართ. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ლომსაძის თქმით, მოლაშვილს აღენიშნება ვენების ვარიკოზული გაგანიერება და კენჭოვანი ქოლეცისტიტი. კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საკითხთან დაკავშირებით სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელი ადვოკატებთან ერთად უახლოეს დღეებში გამართავს პრესკონფერენციას. მზადდება რეკომენდაცია, რომელიც გენპროკურატურას გადაეგზავნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ნავთლუღის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე თაღლითობის ბრალდებით 31 წლის ირაკლი ონაშვილი დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, ონაშვილმა თითქოსდა ფულის გადასახურდავებლად 100-დოლარიანი კუპიურა გამოართვა 34 წლის მარინა ოვანესოვას და მას 1-დოლარიანი კუპიურა დაუბრუნა. ონაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორში მცხოვრები, ე.წ. ქურდული ტრადიციების მიმდევარი გიორგი ქანაშვილი გორის პოლიციის თანამშრომლებმა იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულის სახლის ჩხრეკისას ამოღებულია ავტომატი "აკს" ორი მჭიდითა და 72 ვაზნით. ქანაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გორის რაიონულმა სამსახურმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სისხლის სამძებროს თანამშრომლებმა თაღლითობის ბრალდებით დააკავეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონის სამმართველოს ყოფილი უფროსი ილია ალხანიშვილი. შს სამინისტროს ინფორმაციით, ალხანიშვილის მიმართ წარდგენილი ბრალის თანახმად, მან 2003 წლის სექტემბერში, მიწის ყალბი საიჯარო ხელშეკრულება შექმნა დედოფლისწყაროს რაიონის ადმინისტრაციის საზღვრებში არსებულ 500 ჰექტარ მიწის ფართზე და ამის საშუალებით გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის მკვიდრს მუსლიმ მუხრატოვს 3000 ლარი გამოართვა. ალხანიშვილმა დანაშაული აღიარა. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმეს იძიებს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტი. **მედია-ნიუსი**

# საკონსტიტუციო თვითშემოქმედება გრძელდება!

ოთარ მელქაძე
"მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი", იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ასეთი ცალსახა განცხადება საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმებს უკავშირდება, ამჯერად კი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონპროექტსაც, მის კონსტიტუციურ-სამართლებრივ მხარესაც პირდაპირ ეხება.

მოკლედ იმის თაობაზე, თუ როგორ სახელისუფლებო სისტემას გვთავაზობს მოცემული კონსტიტუციური კანონპროექტი, როგორი ურთიერთობა ყალიბდება ავტონომიური რესპუბლიკისა და ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებს შორის, როგორ არის მოაზრებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და წონასწორობის ბალანსი ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ სახელისუფლებო შტოებს შორის.

უნდა ითქვას, რომ უამრავი მუხლობრივი შენიშვნისა და სერიოზული კონცეპტუალური ხარვეზების გამო, საერთო წარმოდგენა კანონპროექტზე ძალიან მძიმეა. ვერაფრით დავეთანხმებით განმარტებით ბარათში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული კანონპროექტის ბაზაზე იქმნება ევროპული მოდელი. თუ აქ, საერთოდ, რაიმე მოდელზე შეიძლება მსჯელობა, იგი ნამდვილად წმინდა ქართული მოდელია, რომელიც იმეორებს უკანასკნელი კონსტიტუციური ცვლილება-დამატებების არსებით ხარვეზებს, რომელთა თაობაზე ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დასკვნა არსებობს. მთელი რიგი შენიშვნა ჩვენც გამოვაქვეყნეთ, ხოლო მუხლობრივი ანალიზი წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტში.

შენიშვნების უმრავლესობა, ამ შემთხვევაშიც, მოდელის კონცეპტუალურ გაუაზრებლობას უკავშირდება. ცხადია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში მხოლოდ მართვის საპარლამენტო ფორმაზე შეიძლება მსჯელობა. ამ დროს, უთუოდ მნიშვნელოვანია საპარლამენტო მოდელის მთელი რიგი პრინციპული თავისებურების გათვალისწინება, რომელთა მეშვეობითაც დაცულია წონასწორობა ხელისუფლების შტოებს შორის, გვარდება წინააღმდეგობები. მაგრამ, განსახილველ პროექტში რატომღაც არ ხდება შესაძლებლობების გამოყენება და პრეზიდენტის ჩარევით, არაკონსტიტუციური და კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში არარსებული ორგანოების მეშვეობით გვინდა მათი მოგვარება. რამდენად ქმედითი იქნება ეს ქართული ნოვაციები, ცალკე პრობლემაა.

საერთოდ, კონსტიტუციონალიზმში პროგრესირებადი მიმართულება სახელისუფლებო სისტემის გამარტივებაა, მისი დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის გააქტიურების გზით. ჩვენ კი, როგორც წარმოდგენილი პროექტიდან ჩანს, რატომღაც საპირისპირო მიმართულება ავირჩიეთ - ქართული კონსტიტუციური სამართალი ხელისუფლების მაქსიმალური ცენტრალიზაციის გზით ვითარდება. უკანასკნელმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, მიუხედავად მოდელის შეცვლისა, სუპერპრეზიდენტის ხელისუფლება სხვა შტოებზე ზემოქმედების ახალი ბერკეტებით გააძლიერა, ახალი კონსტიტუციური კანონპროექტით კი იზრდება სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის ხარისხი და ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, ფაქტობრივად, პრეზიდენტზეა სრულად მიბმული, თანაც ისე, რომ ცალკე მის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს და ცალკე მინისტრთა საბჭოს დამოკლეს მახვილივით აკიდია თავს პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის ახლად გამოგონილი მონაცვლე სტრუქტურების ამოქმედების რეალობა.

დავიწყოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი საქართველოს პრეზიდენტის განსაკუთრებული კომპეტენციით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია:

- დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (მუხლი 17-2) და ამ შემთხვევაში დანიშნოს ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს (მუხლი 17-3), ამ მუხლში მთელი რიგი გაუგებრობა შემოაქვს მე-17-2 მუხლის ქვეპუნქტებს. გაუგებარია, რატომ დაითხოვს საქართველოს პრეზიდენტი აჭარის უმაღლეს საბჭოს, ანუ მის ორივე პალატას, თუ მან სამჯერ არ დაამტკიცა მის მიერ წარდგენილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა, მაშინ, როდესაც ამ პროცესში ჩართულია მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა და არა რესპუბლიკის პალატა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რუსული კონსტიტუციიდან ნასესხები, ყოველგვარ დემოკრატიულობას მოკლებული ეს მექანიზმი მეთოდურად ინერგება ქართულ კონსტიტუციონალიზმში - ჯერ საქართველოს კონსტიტუციაში, ახლა უკვე განსახილველ კონსტიტუციურ კანონში.

აქვე, საკმაოდ ბუნდოვანი მოტივაცია - "ვერ ასრულებს ... მინიჭებულ უფლებამოსილებებს", ისევ ხდება ორივე პალატის დათხოვნის საფუძველი, თუმცა მოცემულ კანონში რესპუბლიკის პალატა მხოლოდ ბლანკეტური ნორმით არის წარმოდგენილი, არ ჩანს, რომელი პალატაა წამყვანი და პასუხისმგებელი მთელი იმ პროცესისათვის, რომელიც "ვერ სრულდება".

ნამდვილად გაუგებარია ამ მუხლის გვირგვინი: "საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს ორგანოს, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს". ასე შემოგვაქვს არალეგიტიმური კანონმდებლობის ინსტიტუტი. არა მგონია, აჭარაში დღეს მოქმედი "საბჭოს" გამოცდილება განზოგადებას იმსახურებდეს. ის კი ნამდვილად ვიცი - ორპალატიანი პარლამენტების ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობაში გამორიცხულია ორივე პალატის დათხოვნა და, მაშასადამე, მსგავსი ვაკუუმის წარმოქმნის შესაძლებლობა. არადა, მიმაჩნდა, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს ორპალატიანობაც სწორედ ამით იყო ნაკარნახევი.

- გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. ამ შემთხვევაში მის უფლებამოსილებებს ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული სახელმწიფოს რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მისი ადმინისტრაცია (მუხლი 18);

როგორც ჩანს, მინისტრთა საბჭო დროებითი მონაცვლე, საქართველოს მთავრობის წინადადებით დანიშნული საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული(?), საქართველოში მოქმედი პრეზიდენტის რწმუნებულთაგან განსხვავებული ინსტიტუტია. მისი შემოღებით, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალურ სქემაში ახალი სახელისუფლებო იერარქიული სტრუქტურა შემოდის, "რომელიც კოორდინაციას უწევს საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ტერიტორიული ორგანოების საქმიანობას" (მუხლი 16). ამგვარად, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმასრულებელი ხელისუფლების თითქოსდა ერთი დონის ორი სტრუქტურა იფუნქციონირებს. კითხვები ჩნდება არა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით - კომპეტენციების რა ფარგლებზე ვრცელდება დროებითი მონაცვლეობა, არამედ იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ ითანამშრომლებენ მინისტრთა საბჭო და დამოუკიდებელი სტრუქტურის დონეზე წარმოდგენილი პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული თავისი "ადმინისტრაციით" (უფრო, ალბათ, აპარატით?) ჩვეულებრივ რეჟიმში, მით უფრო, რომ ისინი მაინც სხვადასხვა დონეზე დგებიან მოცემულ იერარქიაში. კონსტიტუციური კანონი ამ უკანასკნელს საზედამხედველო ფუნქციასაც აკისრებს არა მხოლოდ მინისტრთა საბჭოს მიმართ, როდესაც ადგენს, რომ იგი "ინფორმაციას აწვდის საქართველოს პრეზიდენტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის თაობაზე" (მუხლი 16). ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტთან პირდაპირი საინფორმაციო კავშირი მის სახელმწიფო რწმუნებულს ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო პირამიდის მწვერვალზე უმკვიდრებს ადგილს.

- აჭარის მინისტრთა საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე (მუხლი 12-4). ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ახალი მოდელის პირობებში საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

- საქართველოს პრეზიდენტს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის აქტებზე საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციების შეთვისება ევალება (მუხლები 12-5 და 15-2), რაც, ფაქტობრივად, პრეზიდენტის აპარატის მიერ მინისტრთა საბჭოს გამოცემული აქტებისა და, მაშასადამე, საქმიანობის ყოველდღიური კონტროლის გარეშე განუხორციელებელი ფუნქცია იქნება.

გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის ნორმებიდან, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციას განსაზღვრავენ, განსახილველ კონსტიტუციურ პროექტში "ი" ქვეპუნქტის შინაარსის თავისუფალი წაკითხვაა დაშვებული. ჯერ ერთი, საგანგებო რეჟიმის პირობებში წარმომადგენლობითი ორგანოების დათხოვნის თაობაზე კონსტიტუციური მოტივაცია - თუ მათი "მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას", ცალ-ცალკე შემოდის აჭარის უმაღლესი საბჭოს (მუხლი 17-1) და მინისტრთა საბჭოს (მუხლი 18-1 "ა") მიმართ. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, კონსტიტუციური ნორმის საპირისპიროდ, მოცემული კანონპროექტის ძალით, პირდაპირი საპრეზიდენტო მართვის რეჟიმის განხორციელება ხელისუფლების ცალკეულ შტოზე ხდება და თანაც იგნორირებულია კონსტიტუციური მოთხოვნა - პრეზიდენტის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე - პარლამენტისგან წინასწარი თანხმობის მიღების თაობაზე. ეს სხვა არაფერია, თუ არა პრეზიდენტის უფლებამოსილებების ზრდა პარლამენტის თანხმობის გარეშე, მისთვის პირადი შეხედულებით მოქმედებით გზით და პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებით, უკვე არაკონსტიტუციური ვარიაციით.

მთელი ეს გამოგონება კიდევ ერთი დასტურია საპარლამენტო მოდელის კონცეპტუალური გაუაზრებლობისა. კონსტიტუციაში წარმომადგენლობითი ორგანოებისადმი ყურადღების გამახვილება იმის ხაზგასმაა, რომ მინისტრთა საბჭოს მსგავსი მოქმედება უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელთა პალატის განსჯადია და შეფასების თვალსაზრისით, შეიძლება, უნდობლობის საგანი გახდეს. კონსტიტუციური კანონპროექტის მე-18 მუხლი - მთელი თავისი შინაარსით, მინისტრთა საბჭოსადმი უნდობლობის ფონზე, ერთდროულად, უმაღლესი საბჭოსადმი უნდობლობასაც ადასტურებს. ამდენად, ასეთი ნახევარღონისძიება საქმეს ნამდვილად ვერ უშველის. გამოსავალი პარლამენტის არსენალში უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ამოქმედებაშია. ამ მექანიზმით გამოირიცხება სამთავრობო ვაკუუმი და არც გაუგებარი წარმომავლობის მონაცვლის დანიშვნითი ინსტიტუტის შემოღება იქნება საჭირო.

ახლა, რაც შეეხება თავად ავტონომიური რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების ურთიერთმიმართებას და წონასწორობას მათ შორის. უამრავი კითხვა ჩნდება მთავრობის ფორმირების წესთან დაკავშირებით. რუსული "ტექნოლოგიის" ქართულ "მოდიფიკაციებზე" ზემოთ მოგახსენეთ. კონსტიტუციური კანონპროექტის მე-14 მუხლი მე-17 მუხლთან ერთად იმეორებს საქართველოს მთავრობის ფორმირების არცთუ უნაკლო ნორმებსა და პრინციპებს. დანარჩენიც ჩვენი გამოგონებაა, მ.შ. ნორმატიული ბაზის არითმეტიკული შეუსაბამობების დონეზე.

მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის დამტკიცებისთვის საკმარისია წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა. ეს კი შეიძლება იყოს 6 ხმა, ანუ პალატის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3. ასე რომ, მოცემული პუნქტის დათქმა "... წარმომადგენელთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი", არაფრის მთქმელია - ეს ისეც და ასეც ექვსი ხმაა (მუხლი 14-2). ამ დროს მინისტრთა საბჭოსთვის უნდობლობის გამოცხადებას 14 ხმა სჭირდება, ანუ დამტკიცებისთვის სავალდებულო მინიმუმზე 2 1/3-ით მეტი. წარმომადგენელთა პალატას შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს პრემიერ-მინისტრს, ანუ მინისტრთა საბჭოს მთელ შემადგენლობას, მაგრამ ცალკეული მინისტრები მის წინაშე პასუხისმგებლობისგან დაცული არიან. გამოდის, რომ წარმომადგენელთა პალატას მთავრობის ფორმირების პროცესში მხოლოდ ერთადერთი - მინისტრთა საბჭოს მთელი შემადგენლობის დამტკიცების უფლება აქვს. პირველ შემთხვევაში, ამას ახალარჩეული ქვედა პალატა აკეთებს. ამის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს ყოველ ახალ წევრს - მინისტრს ნიშნავს თავმჯდომარე, "საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების (? ე.ი. სამინისტროს - ო.მ.) ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით". პირდაპირ უნდა ითქვას, ამ გაუაზრებელი ნორმების სისტემამ უხერხულობის ზღვარზე მიიყვანა ორიოდ თვის წინ ფორმირებული საქართველოს მთავრობა. იგივე ელის აჭარასაც, მხოლოდ განსხვავებული მრავალფეროვნებით. გამოდის, რომ აჭარის ზოგიერთი მინისტრის კანდიდატურა ბათუმმა საქართველოს 2 და 3 მინისტრს უნდა შეუთანხმოს (მუხლი 14-3). მთელი ამ პროცესიდან წარმომადგენელთა პალატა გამორიცხულია, ვიდრე მე-14-4 პუნქტის თანახმად, მინისტრთა საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცება არ იქნება საჭირო. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც 6-კაციანი მინისტრთა საბჭოს 5 მინისტრიდან 4-ის შეცვლა მოხდება თბილისთან შეთანხმებით, რაც მთელი შემადგენლობით 2/3-ია, მაშინ, როდესაც, საქართველოს შემთხვევაში იგივე მექანიზმი მთავრობის წევრთა 1/3-ის განახლებისას ამოქმედდება.

ამასთან, მთელი ეს მექანიზმი ვერ გაექცა გარკვეული დაზუსტების საჭიროებასა და წინააღმდეგობებს. მიგვაჩნია, რომ ამავე კონსტიტუციურ კანონში უნდა მოხდეს მინისტრთა საბჭოსადმი უნდობლობის გამოცხადების მოტივების ჩამოთვლა და მათ შორის უდავოდ უნდა გავითვალისწინოთ საგანგებო ვითარების ის გამომწვევი მიზეზები, რომლის გამოც საქართველოს პრეზიდენტის ჩარევით ხდება მინისტრთა საბჭოს გადაყენება.

ასეა თუ ისე, განსახილველი კანონის მე-14 მუხლი, მიუხედავად მთელი რიგი შენიშვნისა, მაინც გასაგებია, რომ არა წინააღმდეგობები მე-19 მუხლის მეოთხე პუნქტთან. ერთი წინააღმდეგობა ის არის, რომ მე-14 მუხლის თანახმად, აბსოლუტურად ფორმალურია წარმომადგენელთა პალატის მონაწილეობა მთავრობის ფორმირების პროცესში და იგი მხოლოდ განახლებული შემადგენლობის დამტკიცებისას ერთვება მასში. მე-19-4-ს თანახმად, უკვე მე-14 მუხლის ფორმულირებების გამოყენებით და "დადგენილი წესით", ცალკეული მინისტრის კანდიდატურის დამტკიცებაზეა საუბარი, ახლა უკვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ და არა წარმომადგენელთა საბჭოს მიერ, როგორც ეს მე-14 მუხლშია. ეს უკვე მეორე წინააღმდეგობაა.

მთლიანობაში კი ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც უმაღლესი საბჭო და წარმომადგენელთა პალატა ერთმანეთში გვერევა. არის კიდევ ერთი მუხლი, რომელიც უმაღლესი საბჭოს პალატების კომპეტენციის გაუმიჯნაობის გამო, დაკონკრეტებას საჭიროებს. "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შიდა ორგანიზაცია, პროცედურები და საქმიანობის წესი განისაზღვრება მის მიერ მიღებული ... რეგლამენტით" (მუხლი 8-2). მოცემული კანონპროექტი უმაღლესი საბჭოს პალატების ერთობლივ სხდომას არ ცნობს. არადა, როგორც მე-11 მუხლის თანახმად არის ნათქვამი, უმაღლესი საბჭოს რესპუბლიკის პალატის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი მოცემული კანონითვე რომ ყოფილიყო განსაზღვრული, ბევრი კითხვაც მოიხსნებოდა. აქვე გამოჩნდებოდა პალატების ურთიერთმიმართება, ისიც, როგორ იქნება ჩაწერილი რესპუბლიკის პალატა საკანონმდებლო და საბიუჯეტო პროცესში, როგორი იქნება მისი მონაწილეობა რეგლამენტის შემუშავების პროცესში და არც უმაღლესი საბჭოს მონაცვლე ინსტიტუტის გამოგონება იქნებოდა საჭირო.

საერთოდ, მოცემულ კანონპროექტში ბევრია ისეთი მუხლი, რომლებიც ქართული პარლამენტარიზმის დაკნინებას გამოიწვევს. ზემოთ აღნიშნულ ზოგიერთ ფაქტორთან ერთად, როგორიცაა მთავრობის შემადგენლობისადმი წარმომადგენელთა პალატის უარყოფითი დამოკიდებულების სამჯერადი გამოვლინების გამო მისი დათხოვნა, მის დროებით მონაცვლედ არალეგიტიმური ორგანოს შექმნა, მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის ფორმირების პროცესიდან მაქსიმალური იზოლირება, ამას ემატება უმაღლეს წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოზე აღმასრულებელი ხელისუფლების აღზევება. მუხლი 9-2, ფაქტობრივად, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის უფლებამოსილებებით აღჭურავს (პრომულგირება, ვეტოს უფლება) მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს: "იგი უფლებამოსილია კანონი შენიშვნებით დაუბრუნოს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო კენჭს უყრის შენიშვნებს, რომელთა მისაღებად საკმარისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებისათვის დადგენილი უმრავლესობა (ასეთი კანონპროექტით დადგენილი არ არის - ო.მ.). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პირვანდელი რედაქციით მიღებისათვის საჭიროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თითოეული პალატის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის მხარდაჭერა". სხვათა შორის, ეს ერთადერთი ნორმაა, რომლის შედეგად რესპუბლიკის საბჭო ჩაერთო საქმეში. სხვა მხრივ, მისი მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში არაფრით დგინდება.

ამგვარად, ინერგება პარლამენტის საქმიანობაზე სამთავრობო კონტროლი, მაშინ როდესაც იგნორირებულია პარლამენტარიზმის იდეები და საპარლამენტო მოდელის პირობებში, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის ფორმები არამოტივირებული, 3/4-იანი მაღალი ნორმის უნდობლობის ვოტუმით და ზემოქმედების დაუდგენელი ფორმით - საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე კონტროლით შემოიფარგლება.

ამ ფონზე ნამდვილად გაუგებარია საქართველოს პარლამენტისათვის აჭარის უმაღლესი საბჭოს ან მისი პალატის მიერ მიღებული აქტების მიმართ საზედამხედველო ფუნქციის მინიჭება, რაც "ზემდგომს" საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციას აკუთვნებს, მათი კონსტიტუციურობაზე შემოწმებისა და გაუქმების უფლებით (მუხლი 8-3).

საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე არსებითი შენიშვნა გამოვთქვათ კონსტიტუციური კანონპროექტის ზოგიერთი ნორმის სრული შეცვლის მიზნით, რომელთაგან ორი შენიშვნა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი და არც შემოთავაზებული კანონპროექტი წყვეტს საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში დასმულ ამოცანას, რომლის თანახმადაც "ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება".

ცენტრალურ და ფედერაციის სუბიექტებს შორის ხელისუფლების გამიჯვნის სანიმუშოდ მოწესრიგებული სისტემით გერმანიის საკონსტიტუციო სამართალი გამოირჩევა. აქ მდიდარი კატალოგის სახით არის წარმოდგენილი ფედერალური ხელისუფლების და ცალკე მიწების განსაკუთრებული კომპეტენციები, მაგრამ მათი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით დადგენილია კონკურენციული საკანონმდებლო კომპეტენციის კატალოგიც, რომლის ფარგლებშიც, მიწებს მაშინ და იმდენად აქვთ კანონმდებლობის უფლება, რამდენადაც და ვიდრე ფედერალური კანონმდებლობა არ დაარეგულირებს, არ მოაწესრიგებს საქმიანობის შესაბამის სფეროსა თუ მიმართულებას.

მოცემული კანონპროექტის ნორმაში (მუხლი 3-2), საკანონმდებლო კომპეტენციის გამიჯვნის სფეროში კონსტიტუციონალიზმში მოქმედი მარეგულირებელი ამ ფორმულის "გადმოპირქვავებული" ვარიანტი არცთუ მოხერხებულად არის გამოყენებული. კანონპროექტი მას, თემატური დანაწევრებით, ავტონომიის სრულ კომპეტენციაზე განავრცობს, როცა ადგენს - "თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ აწესრიგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე საკითხს, მისი მოწესრიგება შეუძლია საქართველოს უმაღლეს ორგანოს თავის კომპეტენციის ფარგლებში". ეს კი ე.წ. ავტონომიური ხელისუფლების საქმიანობაში ყოველდღიურ ჩარევასაც შეიძლება გულისხმობდეს, მით უფრო, რომ არც ერთი მოცემული ფორმულის ლოგიკაში ჯდება, ვინაიდან მისი მოტივაცია "არ მოწესრიგებას" უკავშირდება და არა "ვერ მოწესრიგებას".

კანონპროექტის მე-4 მუხლში ავტონომიის უფლებამოსილებების დელეგირებული კომპეტენციით განვრცობაზეა საუბარი, მაგრამ მხოლოდ დეკლარირების დონეზე. მიზეზი იგივეა, ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების დაუდგენლობა, ფაქტობრივად, რომლის ფარგლებშიც არსებობს უფლებამოსილების დელეგირების ფრონტი. ამ თვალსაზრისით, სწორედ მოცემულ მუხლთან ერთიანობაში უნდა იქნეს გააზრებული მუხლი 21-2 და, ამდენად, 4-2 ნორმა უზრუნველყოფაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა აკრძალვაზე.

მე-6 მუხლთან დაკავშირებით და, საერთოდ, არჩევნების მაჟორიტარული სისტემის მოუგვარებლობის გამო მიზანშეწონილი იქნებოდა ბინადრობის ცენზის შემოღება, თორემ საქართველოს პარლამენტი თბილისელი მაჟორიტარებით შეივსო და ახლა აჭარის უმაღლეს საბჭოსაც იგივე ელის.

მე-19 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ადგენს "ადმინისტრაციული ორგანოს" შექმნის უფლებამოსილებას, რომლის სტრუქტურაზე, უფლებამოსილებაზე და საქმიანობის წესზე არანაირი მინიშნებაც არ არის; გაურკვეველია მისი ქვემდებარეობა "საქართველოს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს (მისი არსებობის შემთხვევაში) სისტემასთან" მიმართებით, როცა დაუზუსტებელია, რას ნიშნავს ტერმინი "შედის", მით უფრო, თუ მსგავსი ადმინისტრაციული ორგანო ცენტრში არ არსებობს? ამ დროს საერთოდ არ რეგულირდება ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ურთიერთმიმართება ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის ორგანოებთან.

და კიდევ, მოცემული კონსტიტუციური კანონპროექტის ორი უცნაურობის თაობაზე. მუხლი 2-1 ადგენს, რომ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არის ავტონომიური ერთეული". მიუხედავად იმისა, რომ "ერთეულობა" არაფერს მატებს "რესპუბლიკას", ამ არაფრის მთქმელი "ტუფტალოგიის" დამსახურება ის არის, რომ კანონპროექტის დასახელების შემდეგ მხოლოდ ეს ერთადერთი ნორმა ადასტურებს აჭარის ავტონომიურობას. მეორე უცნაურობა კი ის არის, რომ მომავალში, უნდობლობის მექანიზმის ამოქმედების მაღალი ნორმის გათვალისწინებით, უნდობლობის საკითხი არათუ უნდა ამოქმედდეს, შეიძლება არც კი დადგეს. ამაზე თავად მექანიზმის გაუაზრებლობა მეტყველებს. საქმე ის არის, რომ საქართველოს კონსტიტუცია მართვის შერეული ფორმის პირობებში ცალკე ადგენს მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის ნორმას - ეს უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს და ცალკე უნდობლობის გამოცხადების ნორმას, რისთვისაც საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ამ დროს, განსახილველ კონსტიტუციურ კანონპროექტში მთელი ეს მექანიზმი ერთგანზომილებიანია: უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლობითი პალატა უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის სამი მეოთხედით უნდობლობა გამოუცხადოს მინისტრთა საბჭოს (მუხლი 10 "გ").

ასე რომ, მოცემულ კანონპროექტს ბევრი და სერიოზული ხარვეზი დაჰყვა. მისი განხილვა-მიღების ტექნოლოგია ძველებურად ცაიტნოტის რეჟიმში მოვაქციეთ. დარჩენილ დღეებში ამ შენიშვნების გათვალისწინება რამდენად მოესწრება, არ ვიცი, რა თქმა უნდა, კონსტიტუციური ანალიზის სხვა სპეციალისტებსაც უთუოდ ექნებათ შენიშვნები. ...მერე ისევ იქნება ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის შენიშვნებით აღსავსე დასკვნა. არც მათ გათვალისწინებას ვიჩქარებთ. არადა, მხოლოდ ის, რაც დღეს, ამ რამდენიმე თვეში, ისედაც არასრულყოფილ კონსტიტუციას დავაყარეთ, ერთ სერიოზულ დასკვნას ითხოვს - დროა სერიოზულ საკონსტიტუციო რეფორმაზე სერიოზულად ვიფიქრო.



**პატარა კოსმოპოლიტენი**



მარიკა თხელიძე:
"ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს".

B2

**ვის რამდენი ერგება**



გთავაზობთ უიმბლდონის ტურნირის საპრიზო ფონდის ცხრილს.

B5

**ნაცნობი "დონ კიხოტი" უცნობი ესპანელების შესრულებით**



B7

ნომრის სტუმარი

# შედეგები გვინდა აქ და ახლავე

მაია ჭალაგანიძე

*თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, ირაკლი ოქრუაშვილის ოპტიმიზმი ბევრისთვის საშიში უნდა იყოს. ასეთი ოპტიმისტი იყო ის შიდა ქართლის გუბერნატორობისას და მერე გენერალურ პროკურატურაში. ხოლო რით დამთავრდა - ვნახეთ, მისი "ოპტიმიზმის მსხვერპლნი" დღესაც დაგისოსებულ ფანჯრებთან სხედან (თუ ზიან?). ასე რომ, როდესაც შს მინისტრი ოქრუაშვილი ძველ, გამოცდილ ყოვლისმცოდნე პოლიციელებს გამოსწორებას სთავაზობს, ისინიც უმალ უნდა გახდნენ ოპტიმისტები. სხვაგვარად არჩევანი ერთია და იქ მოხვედრა პოლიციელთა ჯანმრთელობისთვის მავნებელია.*

*ივნისი ნელ-ნელა იწურება. ახალი პეიზაჟი ასევე ნელ-ნელა გამოდის ნისლიდან. სისტემა, რომელიც დიდ ხანს, მკვიდრად არასახელმწიფოებრივად შენდებოდა, უკვე ინგრევა და ახალი მინისტრის ვარაუდით 6 თვეში სრულად აშენებულს ჩააბარებს სახელმწიფოს. ეს კარგია, რომ მინისტრმა არ თქვა, მინდა სინდისის წინაშე ისეთივე სუფთა დავრჩე, როგორც ამ კაბინეტში შემოსვლამდე ვიყავიო... ან რაღაც ამის მაგვარი. როცა წინა მინისტრები ამას ამბობდნენ, უკვე აწუხებდათ სინდისი...*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პოლიციელმა ერთი რამ უნდა იცოდეს - მის ნებისმიერ ნამუშევარს, რომელსაც დადებითი შედეგი მოჰყვება, სახელმწიფო დაუფასებს.*

**- კორუფციის მაღალი რისკის მეორე ზონაში მუშაობთ (პირველად პროკურატურა იყო). თავს როგორ გრძნობთ?**

- თავს კარგად ვგრძნობ. არასდროს ვყოფილვარ პესიმისტი და მიმაჩნია, რომ ამ სისტემაშიც შეიძლება ბევრი კარგი საქმის გაკეთება.

**- რა შეიცვალა სამინისტროში თქვენი მოსვლის შემდეგ?**

- პირველ რიგში აღდგა ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც ვარდების რევოლუციის მერე იყო, ანუ როდესაც ქრთამს აღარავინ იღებდა, აღარავინ "ცუდ" საქმეს არ აკეთებდა. მიმაჩნია, რომ ამ მდგომარეობის ხელიდან მეორედ გაშვება აბსოლუტური დანაშაულის ტოლფასი იქნება.

**- პირველად როდის გაუშვით?**

- რევოლუციიდან, დაახლოებით, სამი თვის მერე, როდესაც ავტოინსპექტორებმა ისევ მასობრივად დაიწყეს ფულის აღება.

გარდა ამისა, ყველა ძირითად პოსტზე შეიცვალა ხელმძღვანელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ხელმძღვანელის გათავისუფლებით შეიძლება, მაგრამ ადამიანები, რომელთაც ეს მენტალიტეტი და მუშაობის წესები დანერგეს სისტემაში, აღარ უნდა შევინარჩუნოთ. მათ მაგალითზე სხვამაც არ უნდა ააწყოს მუშაობა.

**- დისკრედიტებულ სისტემასთან გაქვთ საქმე, როგორია ის?**

- საქმე გვაქვს სისტემასთან, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში სახელმწიფო სამსახურში არ იდგა. ეს იყო ცალკეული პიროვნების ინტერესებზე მორგებული სისტემა და აქ შესანისნავად მხოლოდ ხელმძღვანელობის დავალებები სრულდებოდა. თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას უფროსების ინტერესი არ იდო, ის საქმე საერთოდ არ კეთდებოდა. ჩვენ ორი ამოსავალი პრინციპი გვაქვს - ეს სისტემა ისეთად უნდა ჩამოყალიბდეს, რომელთანაც საზოგადოებას იმ დოზის პრეტენზიები არ ექნება, რაც აქამდე ჰქონდა და მეორე - პოლიციელს დანიშვნაში გადახდილი ქრთამის უკან ამოღება არ უნდა ჰქონდეს საზრუნავი. პოლიციელს აგენტთან გარიგება და საკუთარი ჯიბიდან მისი დაინტერესება უწევს, ანუ საკუთარი რესურსებით აკეთებს საქმეს და ცხადია, უკუგებასაც ელის. ეს სისტემა უნდა მოიშალოს. პოლიციელმა ერთი რამ უნდა იცოდეს - მის ნებისმიერ ნამუშევარს, რომელსაც დადებითი შედეგი მოჰყვება, სახელმწიფო დაუფასებს.

**- როგორ შეძლებს სისტემა ამ პასუხისმგებლობის თავზე აღებას?**

- ამის გაკეთება ძალიან ადვილია. ბოლო წლების განმავლობაში აქ უამრავი ამორფული სტრუქტურა იყო შექმნილი, რომელიც იმიტომ იქმნებოდა, რომ ადამიანებისთვის სამუშაო ადგილი მოეძებნათ. თავის დროზე ასე ხდებოდა უშიშროების საბჭოში - გათავისუფლებულ მინისტრს მოუძებნიდნენ კაბინეტს, რეგალიებს და სხვა. აქაც დაახლოებით იგივე ხდება. ამგვარი სტრუქტურების მომრავლებამ სისტემა კოლაფსამდე მიიყვანა. შსს-ში არსებობს 4-5 სტრუქტურა, რომელსაც ერთი და იგივე ფუნქციები აქვს და საბოლოო ჯამში ეს ან კორუფციაში იზრდება, ან სისტემის პარალიზებას იწვევს.

აქ კონცეპტუალურად გლობალური რეფორმების ჩატარება უნდა დავიწყოთ. სიტუაცია მარტივია - ეს სტრუქტურები ხელის ერთი დაკვრით უნდა მოიშალოს. (პირობითად) 15 000 პოლიციელის გათავისუფლება, დაახლოებით 10-15 მილიონის ეკონომიას მოგვცემს, რასაც დარჩენილი თანამშრომლების ხელფასების გაზრდისკენ მივმართავთ.

შეიქმნება ახალი სამსახური, საპატრულო პოლიცია, რომელიც ყველაზე სანიმუშო სტრუქტურა გახდება, რადგანაც სწორედ მას მოუწევს ურთიერთობა საზოგადოების ფართო ფენებთან. სამძებროს თანამშრომელს მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტთან უწევს შეხება. საგზაო პოლიციას კი 90 პროცენტთან. ამ უნივერსალური სტრუქტურის თანამშრომელს უნდა ჰქონდეს სამძებროს, საგზაოს, ეკოპოლიციელის, მეხანძრის თვისებები და ის ქვეყნის სახე უნდა იყოს. მას არ უნდა ეშლებოდეს არც სამართლის ნორმები, არც ზრდილობა, არც ეტიკეტი და სხვა... ამ სტრუქტურის შექმნა უტოპია არ არის და არც სამომავლო გეგმაა. ის მუშაობას 15 ივლისიდან დაიწყებს.

ამ სამსახურში მოსახვედრად კონკურსი გამოვაცხადეთ. სამწუხაროდ, ცოტა ადამიანი მოდის. ეს ერთი ფაქტორით არის გამოწვეული - ამ სისტემაში ფულის გარეშე არასდროს არავინ დანიშნულა. თანამშრომლის აღდგენაშიც კი ფულს იღებდნენ. შეიძლება, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში პესიმიზმია, მაგრამ გარწმუნებთ, თუ ვინმეს კონკურსში მონაწილეობის სურვილი გაუჩნდება, მათ ამ სამსახურში საკუთარი უნარ-ჩვევების გამოვლენის იოლი საშუალება ექნებათ. 15 აგვისტოს უკვე გვეყოლება დასავლური სტანდარტებით ეკიპირებული პოლიციელები, ეყოლებათ მაღალი კლასის ავტომობილები. დაახლოებით 130 მანქანა უკვე შეკვეთილია.

დავძლევთ თუ არა ტექნიკურ სირთულეებს, სამი თვის მერე, გვეყოლება 911 სისტემის სამსახური. სადაც საზოგადოება დარეკავს პოლიციის გამოძახებაზეც, სასწრაფოზეც, სახანძროზეც და სხვა.

**- საზოგადოებას სამძებროს თანამშრომლებთანაც აქვს შეხება, მათი იმიჯი კი გაცილებით შელახულია, ვიდრე ნებისმიერი საგზაო პოლიციელისა...**

- ქვეყანაში სამძებროს თანამშრომლისთვის საჭირო თვისებების მქონე ადამიანების რესურსი ცოტაა. მაგრამ ის, რაც არსებობს, მთლიანად გახრწნილია. ჩვენ აქ პატარა ექსპერიმენტის ჩატარება შეგვიძლია - თუ თანამშრომელს რეალურად კარგი გამოვლინებები ექნება, ის მატერიალურ წახალისებას მიიღებს. თუ ამან არ იმუშავა, ერთი გამოსავალია - ფორსირებული ტემპით ახალი კადრების გაზრდაზე უნდა გადავიდეთ, რასაც დაახლოებით 1,5 წელი დასჭირდება. თუმცა, არსებული რესურსის გაცხრილვას უახლოეს მომავალში დავიწყებთ.

**- გახრწნილ სისტემას გაცხრილვა უშველის?**

- მარტივი პრინციპით მივუდგებით - აქვს თუ არა სამძებროს თანამშრომელს მიდრეკილება ძალადობისკენ. თუ ეს მიდრეკილება არსებობს, ბუნებრივია, ასეთმა თანამშრომელმა სისტემა უნდა დატოვოს.

**- წარმატებული საკადრო ცვლილებების მიუხედავად ხელმძღვანელ თანამდებობებზე შელახული ავტორიტეტის პოლიციელები რჩებიან. ალბათ, საჭირო არ არის გვარების ჩამოთვლა...**

- ჯობს, ჩამოთვალოთ.

**- ენდელაძე, ჩინჩალაძე, კეკუა, ანჯაფარიძე, მჭედლიშვილი, რომელზეც რუსთავში საარჩევნო ყუთის გატაცების საქმეში სისხლის სამართლის საქმეც კი იყო აღძრული. შეიძლება, ასეთები უმცირესობაში არიან, მაგრამ ეს დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს საზოგადოებასა და პოლიციელებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენაზე. არ მეთანხმებით?**

- სისტემის კარდინალურად შეცვლის უფლება რომ მქონდეს, ამას დაუფიქრებლად გავაკეთებდი, მაგრამ თუ სადმე რაიმე კომპრომისზე წავედით, ეს ერთადერთი მიზეზის გამო მოხდა - შემცვლელი კადრი არ არის და არ არის რესურსი.

რამდენიმე რაიონში პრაქტიკულად ექსპერიმენტს ვატარებთ - ერთგან მოვიყვანეთ კადრები, რომელთაც შეხება არ ჰქონიათ წინა სისტემასთან, არ გააჩნიათ გამოცდილება, მათი თვისებები გარკვეულწილად უახლოვდება პოლიციელის თვისებებს. მეორეგან დავნიშნეთ ძველი კადრები, ვინც ნარკოტიკების, იარაღის ჩადებაში იყვნენ შემჩნეულნი. იკითხავთ, ალბათ, რა დროს ექსპერიმენტია, თუკი თავის დროზე დანაშაულის ჩადენაში ადამიანს პირდაპირ შეგვიძლია დავდოთ ბრალი. ასეთ ადამიანებს წინასწარ განვუცხადეთ - თუ იგივე სტილით მუშაობა გააგრძელეთ, ერთი არჩევანი გექნებათ - ციხე. მეორე არჩევანით ის სამსახურში რჩება და სერიოზულ მატერიალურ ანაზღაურებას იღებს. რამდენიმე პოლიციის უფროსს რეალური შედეგის მიღწევაში უზარმაზარ პრემიას დავპირდი...

**- ხომ არ გაამხელთ, ვინ არიან ეს იღბლიანები?**

- ჯერჯერობით, თავს შევიკავებ. ამ "იღბლიანებს," შეიძლება განთავისუფლება მოუწიოთ...

**- გამოდის, რაც უფრო ცუდი პოლიციელი იყავი, გამოსწორების მით უფრო მეტ შანსს გაძლევენ.**

- არა. ის, ვინც ასე ცუდი იყო, სისტემაში აღარ არის.

**- გასაგებია, რომ პოლიციის რიგების შემცირება საზოგადოებრივი საჭიროებაა. დაახლოებით 15 ათასი განაწყენებული, ინფორმირებული, იარაღს მიჩვეული ადამიანი არის თუ არა საზოგადოებრივი საშიშროება, მით უფრო, რომ ისინი სოციალურად დაუცველები ხდებიან?**

- საზოგადოების უსაფრთხოების კუთხით საშიშროება ნამდვილად არ არსებობს. მათი სოციალური პრობლემები კი ნამდვილად არის საშიშროება.

ადგილების გამოთავისუფლებას არაოპერატიული სამსახურებიდან ვაპირებთ, რადგან ოპერატიული სამსახურების კარდინალური შემცირება ქვეყანას გაცილებით უარყოფით შედეგებს მოუტანს. ადმინისტრაციული სფერო თითქმის 1/3-მდე უნდა დავიყვანოთ.

თბილისში ათასამდე მეხანძრეა. ბავშმაც კი იცის, რომ ქალაქს მეხანძრეთა ეს რაოდენობა არ სჭირდება. ეკოპოლიციის ცენტრალურ აპარატში 100 კაცი მუშაობს. შსს-ს ცენტრალურ აპარატში 6000 კაცი, მთლიანად სასაზღვრო დეპარტამენტში 8000 კაცია, ამდენი მესაზღვრე საქართველოს სჭირდება?

**- მესაზღრეები ჩივიან, ისეთივე უხელფასო და შიშვლები ვართ, როგორც ადრეო. რა სიკეთე მოუტანა მათ შს სისტემაში გადმოსვლამ?**

- აბსოლუტურად არაფერი მოუტანია საზღვრისთვის და არაფერი მოუტანია შს სამინისტროსთვის.

**- ეს იყო შეცდომა?**

- არა, ეს სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ როდესაც ვამბობ, რომ კარგი არავისთვის მოუტანია, ერთ რამეს ვგულისხმობ - მთავრობამ თქვა, რომ საზღვრის დაცვის ბიუჯეტის ხარჯზე შსს-ს ბიუჯეტი გაეზარდა. რეალურად კი ამით არც ერთმა სტრუქტურამ არ იხეირა. პირიქით, მესაზღვრეებს კარგ პირობებში მისაღები დაფინანსების მესამედიც კი არ აქვთ. სვანეთში ვნახე მესაზღვრეების კომენდატურა... როდესაც ადამიანს 24 საათის განმავლობაში ტყე-ღრეში და ტალახში სასიარულოდ უშვებ და ისე გყავს მიტოვებული, რომ 6 თვის განმავლობაში მასთან საკვებიც არ აგაქვს, შვებულებაში გასასვლელად აქ რომ ჩამოვა, მაშინ მაინც უნდა მისცე ნორმალური ანაზღაურება. მესაზღვრეთა უმეტესობა ასეთ დღეშია, საზღვრის დაცვის მთელი სისტემა ამერიკულ დახმარებაზეა დამოკიდებული. ეს დეპარტამენტი, დაახლოებით, 2000 ადამიანით შემცირდება...

**- აქაც ისეა, როგორც უშიშროებაში - ძველი კადრების გარეშე?**

- თითქმის ერთსა და იმავე პრობლემასთან გვაქვს საქმე. გამოცდილი კადრები იმ ეპოქისთვის იყვნენ გამოცდილები. დღეს ქვეყანაშიც და მსოფლიოშიც სულ სხვა რეალობაა, სულ სხვა ტექნოლოგიებთან და გარემოებებთან გვიწევს შეხება. ძველმა კადრებმა თავისი პროფესიონალიზმი იმ ჩარჩოებში შეინარჩუნეს, რაც მაშინ იყო საჭირო, მოვლენათა შემდგომ განვითარებას კი ფეხი ვეღარ აუწყვეს. დღეს შესაძლებელია, კადრების რეზერვის არარსებობის გამო მათი საჭიროება იყოს, მაგრამ სისტემაში მათი ყოფნა-არყოფნა ბევრს არაფერს წყვეტს. თუ მათი უარყოფითი გამოცდილებითაც კი დავტოვებთ იმ გათვლით, რომ სისტემა თავზე არ დაგვენგრეს, უფრო მეტად დავზარალდებით. ახალი კადრების მოზიდვას და კადრების გაზრდას მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ. არ შეიძლება ერთ სტრუქტურაში 25 წელი მუშაობდე და პენსიაში გასვლა რომ არ გსურს, კაბინეტში ავტომატით და ულტიმატუმებით გამაგრდე...

**- თქვენზე ამბობენ, ისე გაუშვა ხალხი, კრინტიც ვერ დაძრესო...**

- ჩემს შემთხვევაში ასეთი რამ არ მოხდება.

**- ბობოლების დაჭერაში გავერთეთ. სამაგიეროდ იმრავლეს ჯიბის ქურდებმა და იმ წვრილმანმა დამნაშავეებმა, რომლებიც პოლიციასთან არიან შეკრულნი. კრიმინალური ვითარების ტენდენციები დღეს მზარდია?**

- საკმაოდ მზარდია და ამას ორი მიზეზი აქვს - დამნაშავეობას რეალურად ჯერ კიდევ ვერ ვებრძვით და მეორე - სისტემა არამდგრადია. ხალხის გაშვებამ ის გამოიწვია, რომ თითქმის არ დარჩა საქმის გამკეთებელი. ის, ვინც დარჩა, არ იცის, ხვალ რა ბედი ეწევა. 15 ივლისისთვის სტრუქტურულ რეფორმას, შტატების შემცირებას და ახალი კადრების დანიშვნას დავამთავრებთ. ამის მერე, დაახლოებით 2 კვირაში გვეცოდინება, ეფექტურად მუშაობს თუ არა ახალი სისტემა.

უფრო მთავარი - სისტემაში მაინც რჩება კრიმინალთან შეკრული ბევრი პოლიციელი. მათ ხელ-ფეხი დღეს უფრო აქვთ გახსნილი, ვიდრე გუშინ. ეს იმიტომ ხდება, რომ იციან, სისტემაში არ დარჩებიან და სარგებლობის მიღების ბოლო შანსს ხელიდან არ უშვებენ. უფრო რთული პრობლემა საზოგადოების პასიურობაა. ჩვენს მენტალიტეტში ახლა იწყებს ფეხის მოკიდებას ე.წ. "დასმენის" ინსტრუმენტი. სახელმწიფოსთვის ეს ეფექტის მომტანია. ბევრი ამ სისტემას აძაგებს, მაგრამ მე ასე ცუდად არ შევხედავდი. დიდუბის ბაზრობაზე ორი დღის წინ 6 ჯიბის ქურდი დააკავეს. მთელი დღის განმავლობაში ვეძებდით მათგან დაზარალებულ ადამიანებს, მაგრამ ეს ძალიან გაგვიჭირდა... თუმცა, ამ პასიურობის ობიექტური მიზეზიც არსებობს - როცა მოქალაქეს ჯიბიდან საფულეს აცლიდნენ, პოლციელი კი ჯიბგირს ფაქტზე დააკავებდა, განყოფილებაში წაიყვანდა, ფულს აიღებდა და ნახევარ საათში უშვებდა.

**- როდესაც შიდა ქართლის გუბერნატორი იყავით, თავად ატარებდით სპეცოპერაციებს. მაშინ ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ იქაურ პოლიციას არ ენდობოდით. ახლა როგორ თანამშრომლობთ რეგიონებთან?**

- სამეგრელოს რეგიონში სრული კატასტროფაა. იქ არსებულ პოლიციელთა შემადგენლობის დაახლოებით 2/3 ჩართულია კონტრაბანდაში, კრიმინალებთან ურთიერთობაში, იარაღით ვაჭრობაში და ა.შ. ასევე რთული ვითარებაა ქვემო ქართლში, ოღონდ ნარკოტიკების კუთხით. შიდა ქართლში ვითარება მეტ-ნაკლებად გამოსწორდა. კახეთშიც მძიმე სურათია...

ჩვენ წინაშე ორი საკითხი დგება - რა ვუყოთ იმ ხალხს, ვინც იქ მუშაობს? ჩვენ ხომ არ გვაქვს ახალი კადრებით შევსების ფუფუნება? არ მინდა, მათ ისე გაიგონ, თითქოს შეუცვლელები არიან - თუ საჭირო გახდა, ყველას ერთ დღეში გავყრი. მეორე საკითხი - როგორ უნდა დავაინტერესოთ პოლიციელი კარგი მუშაობისთვის? ისევ იქამდე მივდივარ - პოლიციას არ აქვს ფუფუნების ბიუჯეტი და, ალბათ, კიდევ დიდხანს არ ექნება. სისტემაში გარკვეული რგოლების ჩაჭრა და შემცირება ჩემი თვითმიზანი არ არის, ეს აუცილებლობაა. ქვეყანას 50 ლარიანი ამდენი პოლიციელი არ სჭირდება.

**- რაც დრო გადის, შექმნილი კატასტროფული ვითარება ღრმავდება, როგორ აჯობებთ დროს?**

- ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ცენტრალური აპარატის მაქსიმალური წმენდაა. ეს აპარატი კონკრეტული ღონისძიებების მიხედვით რეგიონებშიც იმუშავებს. სვანეთში არსებულ კრიმინალებს იქაური პოლიცია ვერ მიხედავს, ეს ყველასთვის ცხადია. იქ პრობლემის მოგვარება აქედან გადასროლილ რესურსებს შეუძლიათ.

**- პოლიციის დეცენტრალიზების პროცესი გადაიდო?**

- ხვალვე, ერთი ხელის დაკვრით შემიძლია გავაკეთო სისტემის დეცენტრალიზაცია, მაგრამ ერთი პრობლემაა - არიან კი მზად ადგილობრივი ბიუჯეტები პოლიციელების ნორმალური ხელფასებით უზრუნველყოფისთვის?! ბევრი ადგილობრივი ბიუჯეტი მზადაა, ბევრი - არა. ნაბიჯ-ნაბიჯ ამის გაკეთება კი არ შეიძლება, ეს ან ერთიანად უნდა გაკეთდეს, ან საერთოდ არ უნდა გაკეთდეს. არც იმის ლოდინი შეიძლება, როდის გაუმჯობესდება, ვთქვათ, წალკის რაიონის ბიუჯეტი ისე, რომ თავისი პოლიცია შეინახოს.

მაგალითისთვის სახანძრო სამსახური ავიღოთ - ცენტრალური ბიუჯეტი აფინანსებს და მეხანძრის საშუალო ხელფასი 80 ლარია. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფთა ხელფასი კი საშუალოდ 25 ლარი. მზად ვარ, სახანძრო მთლიანად მოვიცილო, ეს ამ სისტემაში არ უნდა იყოს. ადგილობრივი გამგეობის ამოცანა უნდა იყოს, რომ ჰყავდეს მობილური და ეფექტური სახანძრო რაზმი, მაგრამ არის კი ის ამისთვის მზად? ძალიან ბევრი პრობლემაა.

**- თავიდან მითხარით, კარგად ვარო. ამ პრობლემებში კარგად როგორ ხართ?**

- ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. იმიტომ, რომ ამის გაკეთება ერთ თვეში შეიძლება.

**- იზოლატორი ისევ ამ შენობაშია?**

- დიახ, მაგრამ ბარამიძის დროს ის იუსტიციის სამინისტროს გადაეცა.

**- მისი გაუქმება ხომ არ იქნება ტესტი იმისთვის, რომ გაირკვეს, მართლა იცვლება პოლიცია თუ არა?**

- შეიძლება, ამ პრინციპით მუშაობა ვინმეს იდეაფიქსი იყოს, მაგრამ სამინისტროს ამ იზოლატორთან შეხება არა აქვს. ჩვენი ოპერატიული თანამშრომლები იზოლატორში ვერ შედიან, თუ არ აქვთ პროკურორის თანხმობა და იუსტიციის სამინისტროს ნებართვა.

**- რომ არა ბარამიძე, უფრო მძიმე მემკვიდრეობა დაგხვდებოდათ?**

- ალბათ, კი, მაგრამ გარღვევა მაშინ, თავიდანვე უფრო ადვილად იყო შესაძლებელი. რევოლუციის შემდგომი პერიოდი დადებითი ეფექტებისთვის უცბად მისაღწევად საუკეთესო დრო იყო.

**- ამ შანსის ხელიდან გაშვებას გამოუცდელობით ხსნით?**

- ალბათ, არასწორი ხედვის ბრალი იყო. თავიდანვე ამით დავიწყე - არ უნდა ჩავერთოთ სისტემის რეფორმის ისეთ კონცეფციაში, რომელიც შედეგებს 10 წლის მერე მოგვცემს. შედეგები გვინდა აქ და ახლავე.

> საპატრულო პოლიციაში მოსახვედრად კონკურსი გამოვაცხადეთ. სამწუხაროდ, ცოტა ადამიანი მოდის. ეს ერთი ფაქტორით არის გამოწვეული - ამ სისტემაში ფულის გარეშე არასდროს არავინ დანიშნულა. გარწმუნებთ, თუ ვინმეს კონკურსში მონაწილეობის სურვილი გაუჩნდება, მათ ამ სამსახურში საკუთარი უნარ-ჩვევების გამოვლენის იოლი საშუალება ექნებათ.

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ანკეტა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა




## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ნეოკლასიკური ბალეტის საღამო
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ქვრივთა ნუგეშისმცემელი"
რეჟისორი: გოგი თოდაძე
დას: 19:00 სთ.

**"გლობუსი"**
სანდრო მრევლიშვილი
"მარტორქები ორკესტრში"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 18:00 სთ.

"ცივი მთა"
დას: 20:00 სთ.

**"ამირანი"**
"სკუბიდუ 2"

## გამოფენები

**"კოპალა"**
სერგი ცქიტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**"ორიენტი"**
ცნობილი და მივიწყებული სახელები

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლადო გრიგოლიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
"საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა"

**"ჰობი"**
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# პატარა კოსმოპოლიტენი

### მარიკა თხელიძე: "ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს"

ვერა ნეფარიძე

*ვიქტორ დოლიძე, იეთიმ გურჯი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, პერგოლეზი, ინოლა გურგულია, დათო ევგენიძე, და კიდევ: რუსუდან ბახტაძე, მიშა მდინარაძე, ნიკა წერეთელი, თორნიკე თურმანიძე, - რას გაიფიქრებთ პირველად, როდესაც შეიტყობთ, რომ ყველა მათგანის შემოქმედება ვიღაცამ ერთ მუსიკალურ პროგრამაში გააერთიანა? - და არც შეცდებით. თქვენ რომ გუშინწინ "აჭარა მიუზიქ ჰოლში" ყოფილიყავით, პირადად დარწმუნდებოდით ამაში.*



*თანამედროვე ქართულ სიმღერაში ახალი ტენდენციები გაჩნდა. არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელთა გაუთვალისწინებლად მიაჩნიათ, რომ ვერ იქნებიან "ახალი დროის" დაფასებული მუსიკოს-შემსრულებლები*

თანამედროვე ქართულ სიმღერაში ახალი ტენდენციები გაჩნდა. არსებობს რამდენიმე დეტალი, რომელთა გაუთვალისწინებლად მიაჩნიათ, რომ ვერ იქნებიან "ახალი დროის" დაფასებული მუსიკოს-შემსრულებლები. ასე მაგალითად, რადგანაც უსახური ქართული ტექსტები ვერანაირ კრიტიკას ველარ უძლებს, ურჩევნიათ კლასიკოსებს მიმართონ; იმისათვის, რომ რეპერტუარი თანამედროვე მუსიკის სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, აუცილებლად უნდა გამოიყენონ ელექტრონული მუსიკა; მაგრამ, პარალელურად არ უნდა დავივიწყოთ საკუთარი მემკვიდრეობა, აუცილებლად უნდა ისმოდეს ქართული ხალხური სიმღერა. და თუკი ეს ყველაფერი ერთმანეთს ძალიან არ მოუხდა, მაინც მიიჩნევა, რომ პატივს ვცემთ როგორც საკუთარ მუსიკალურ მემკვიდრეობას, ისე დროის მოტანილ ახალ-ახალ ფორმებს.

ძველისა და ახლის, განსხვავებული სტილებისა თუ ფორმების შეხამება (ზოგადად და არა მხოლოდ მუსიკაში) გემოვნების საკითხია და ყველას არ ძალუძს. თუკი ვოკალური შესაძლებლობები გაქვს, სულაც არ ნიშნავს შეგეძლოს კარგი პლაგიატის გაკეთება (გულწრფელად მჯერა, რომ კარგად გაკეთებული პლაგიატიც არსებობს). ნამდვილად საშიში ტენდენციაა, უფრო კი არასასიამოვნო ეს ყველაფერი მაშინაა, როდესაც საქმე ეხება პატარა შემსრულებელს (მით უმეტეს, აშკარად ნიჭიერსა და უბრალოდ, ბავშვს).

მარიკა თხელიძის ახალი პროექტის – "კოსმოპოლიტენის" შესახებ ფართო საზოგადოებამ კონცერტამდე გარკვეული ხნით ადრე შეიტყო. პროექტი "აჭარა მიუზიქ ჰოლის" თანაორგანიზატორობით განხორციელდა. "კოსმოპოლიტენმა" არც ისე ცოტა ადამიანი გააერთიანა. მათ შორის: პროექტის იდეის ავტორი და მუსიკალური ხელმძღვანელი რუსიკო ბახტაძე; მიშა მდინარაძე (მუსიკალური პროგრამის ძირითადი ნაწილის ავტორი); დიზაინერი - ბაკურ ბაკურაძე; ქალთა და ბიჭუნათა გუნდები; კამერული ორკესტრი, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი შეიძლებოდა დახარჯულიყო ამ პროექტზე. მაგრამ, მთავარი – დარბაზი მაინც ვერ შეირჩა ოპტიმალური. ვერაფრით ვერ ვიგებ, რატომ მართავენ სერიოზულ კონცერტებს "მიუზიქ ჰოლში"? არადა, კონცერტს რომ სერიოზულობაზე ჰქონდა პრეტენზია, ამაში მგონი არავინ შემედავება, ამაზე მეტყველებდა თუნდაც კონცერტის მეტად მუსიკალური საზოგადოება.

მარიკა თხელიძეს უდავოდ შეუძლია სიმღერა. ნიჭიერი ბავშვია და არ უნდა დაენანოთ (მით უმეტეს, თუკი საშუალება არსებობს) მის შემოქმედებით პროექტებში ფინანსების ჩადება. ამაში არაა საქმე. მთავარია, დახარჯული ენერგია (ფულთან ერთად) წყალში არ ჩაიყაროს. კარგია "კოსმოპოლიტენობის" იდეა, მაგრამ ხელოვნებაში (ისევე როგორც ცხოვრებაში) ყველაფერი კარგი გულიდან მოდის. პოზა არაფერს უხდება, მით უმეტეს, 16 წლის ნიჭიერ, იდეაში პერსპექტიულ შემსრულებელს. მეტად უარყოფითი შედეგი შეიძლება ჰქონდეს ყალბ აპლოდისმენტებსაც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თუკი კონცერტს აპლოდისმენტების სიუხვით განვიხილავთ, თავისუფლად შეიძლება ითქვას - "კოსმოპოლიტენი" წარმატებული გამოვიდა.

რა იმსახურებდა ამ აპლოდისმენტებს, ანუ რა ხდებოდა სცენაზე? კონცერტი მეარღნემ გახსნა (პირველი საკონცერტო ნომერი - "ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს"; მუსიკა: ვიქტორ დოლიძე, ლექსი – იეთიმ გურჯი, ვერსია – რუსუდან ბახტაძე); ჩაირთო ფონოგრამა; ეკრანზე ვიდეოინსტალაცია გამოჩნდა; სცენაზე ბაკურ ბაკურაძის გადაწყვეტილებით თეთრებში გამოწყობილი მომღერალი (რომელიც იმ საღამოს ყველაზე მეტად არ ჰგავდა 16 წლისას) გამოვიდა; იქვე იყო კამერული ორკესტრი; სიმღერაში - "ფერხული" ჩოხოსნებიც ჩაებნენ; გალაკტიონის "ლურჯა ცხენებისას" "კოსმოპოლიტენის" ერთ-ერთი მუსიკალური ავტორი მიშა მდინარაძე ეგზოტიკური პირის საკრავით (რომელიც ნამდვილად უადგილო იყო) გამოჩნდა; დაახლოებით ერთსაათიან პროგრამაში ყველაზე ცოცხალი ბოლოს წინა კომპოზიცია "ხორუმი" აღმოჩნდა, დანარჩენი ძილის მოსაგვრელად თუ გამოდგებოდა. მაგრამ, მაგარი უდარდელი უნდა ყოფილიყავი, დაგეძინა, როდესაც შიგადაშიგ გალაკტიონისა თუ გრანელის პოეტურ სტრიქონებს მოჰკრავდი ყურს... პროგრამა არც ისე ხანგრძლივი – სულ რაღაც, ერთსაათიანი იყო. ასე რომ, ძალაში რჩება ჩვენი კეთილი სურვილები თუ რჩევები: დაინდეთ ჩვენი კლასიკოსები, მართლა დასაფასებელი მუსიკალური მემკვიდრეობა და ბავშვები. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი.

# საზაფხულო რომანი ქართულ-ფრანგულად

ნანა ბასილაშვილი

*კიდევ ერთი ნინოს, კიდევ ერთი სიყვარულის ისტორია, ამჯერად მისი ავტორი საქართველოში მცხოვრები ფრანგი მწერალი მიურატების პრინცესა ვერონიკა დე შაბოტრამკურია. "ნინო, ანუ ამბავი ერთი სიყვარულისა", ეს არის წიგნი, რომელშიც აღწერილია ისტორიული მოვლენები ერთი ქართული ოჯახისა და სიყვარულის ფონზე, რაც გასაბჭოების დროს საქართველოში დატრიალდა.*



იური ლობოდინის ფოტო

*"წერა ჩემი გატაცებაა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მე უკვე 5 წიგნი მაქვს დაწერილი", - ამბობს ვერონიკა დე შაბოტრამკურია*

"წერა ჩემი გატაცებაა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მე უკვე 5 წიგნი მაქვს დაწერილი. მე გახლავართ სორბონის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი. ამდენად ჩემი პირველი წიგნი ნამდვილი ისტორიული ნაშრომი იყო; "ტრამკურთა ოჯახის გამოუქვეყნებელი არქივები", შემდეგ იყო "ჩრდილოეთ პა დე კალეს სამზარეულო რეცეპტები", "კონსტანტ დე შაბო 1779-1863" და ა.შ.", - ასე გაგვეცნო მიურატების პრინცესა ქართული მასმედიის წარმომადგენლებს. პრინცესა ვერონიკამ ხუთი ისტორიულ-დოკუმენტური წიგნის შემდეგ, პირველი მხატვრულ-ისტორიული რომანი დაწერა. "მე ყოველთვის რეალურ ისტორიაზე ვწერდი, ახლა გადავწყვიტე მეამბნა ცნობილი ქართული ოჯახის, თავადთა ისტორია, რომელზეც თავისი ქვეყნის ისტორიაც აისახა", - ამბობს პრინცესა ვერონიკა.

თავად ავტორმა "ნინოს, ანუ ერთი სიყვარულის ისტორიას" საზაფხულო რომანი უწოდა. ამბავი, რომელიც პრინცესა ვერონიკამ წიგნად აქცია, ბაკურიანში მოგზაურობისას მოისმინა. ეს ისტორია 90 წლის უხუცესი ქალბატონის ანასა და მისი ძმის (რომელიც კაბადოკიაში ბერადაა აღკვეცილი) ნაამბობია (რომანის მთავარი გმირი, ნინო - ანას დედაა). მათი მონათხრობიდან მწერალმა საქართველოს ისტორიისა და ძველი ქართველი თავადის ოჯახის ინტეგრაცია მოახდინა, პრინცესა ვერონიკამ მხატვრულ-ისტორიულ რომანში, მხოლოდ დიალოგი გამოიგონა, სხვა ყველაფერი რეალურია.

"ნინო, ანუ ამბავი ერთი სიყვარულისა" ავტორმა ქართულ-ფრანგულ ენაზე გამოსცა. მისი განმარტებით, ეს ორ ქვეყანას შორის ხიდის გადების მცდელობაა.

მიურატების პრინცესა ოჯახთან ერთად საქართველოში, კერძოდ ზუგდიდში 1997 წელს ჩამოვიდა. "ზუგდიდში მქონდა ლუი XV-ის და ლუი XVI-ის ხელნაწერები, ამას გარდა საკამოდ დიდი ისტორიულ-დოკუმენტალური არქივი, შემდეგ ეს ყველაფერი ჩემს სახლთან ერთად დაიწვა. ორი წელი ვტიროდი ამის გამო. ბოლოს გადავწყვიტე, რომ გამეგრძელებინა წერა მხოლოდ მხატვრულ-ისტორიულ და არა დოკუმენტალურ ჟანრში", - თუმცა პრინცესამ პირველი მხატვრული წიგნი, მაინც ნამდვილ ამბავზე ააგო.

ამჯერად მიურატების პრინცესა ოჯახთან ერთად თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე ცხოვრობს. იგი ამავე დროს ზუგდიდსა და პერიოდულად პარიზშიც მოღვაწეობს. მშობლიურისა და რამდენიმე საერთაშორისო ენასთან ერთად, ფლობს ცოტა ქართულს და შიგადაშიგ მეგრულადაც საუბრობს.

სამომავლოდ მიურატების პრინცესას უკვე მზად აქვს კიდევ ერთი რეალური ნაამბობი, კვლავ საქართველოს შესახებ. "ძალიან მიყვარს მოგზაურობა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი შემოვლილი მაქვს. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ძალიან მიყვარს, როდესაც ადამიანებს ვაყოლებ თავის ისტორიას. მზად მაქვს უკვე მიზანმიმართულად რამდენიმე ისტორია. მაგრამ, ეს უფრო თანამედროვე ამბავი იქნება, ვიდრე წარსული", - დეტალები მომდევნო წიგნის შესახებ ქართველ მკითხველს პრინცესა ვერონიკამ სიურპრიზად შემოუნახა.

"ნინო, ანუ ამბავი ერთი სიყვარულისა" პრინცესას თქმით, შემოდგომაზე საფრანგეთშიც გამოვა.

# ნიკ ქეივის გეგმები



*ქეივის ქართველ თაყვანისმცემლებს უჯობთ მოემზადონ სექტემბერში მოსკოვში გასამგზავრებლად.*

ნიკ ქეივისა და მისი ჯგუფის The Bad Seeds-ის მორიგი ალბომი დღის შუქს სექტემბერში იხილავს. "ბილბორდის" ინფორმაციით, ალბომი ორმაგი იქნება და ერქმევა Abattoir Blues / The Lyre Of Orpheus. ჩანაწერი The Bad Seeds-ის დისკოგრაფიაში რიგით მეცამეტე, ხოლო ბარგელდის გარეშე ჩაწერილი პირველი ალბომია. ფირფიტა გაზაფხულზე პარიზის სტუდიაში ჩაიწერა.

ვერ ვიტყვით, რომ ქეივის ფანები მუსიკოსის პროდუქტიულობას უნდა უჩიოდნენ. პირიქით, უკანასკნელ პერიოდში მუსიკოსი საკმაოდ აქტიურობდა: წინა ალბომი - Nocturama გასული წლის დასაწყისში გამოვიდა, ახლახანს კი ჯგუფმა საკუთარი ვიდეოგრაფია შეავსო ციფრული ვიდეოჩანაწერით - The Videos. ამას გარდა, 2005 წლის თებერვლისთვის დაგეგმილია ნიკ ქეივისა და The Bad Seeds-ის იშვიათი ჩანაწერების კომპილაცია. ჯგუფის გარდა, ქეივი კვლავინდებურად აგრძელებს სოლო კარიერას. რამდენიმე ხნის წინათ მუსიკოსმა მონაწილეობა მიიღო ლეგენდარული მერიენ ფეიტფულის ალბომის ჩაწერაში; ნიკ ქეივი ალბომში შესული სამი კომპოზიციის ავტორიცაა. ალბომში შესული სიმღერების სხვა ცნობილ თანაავტორებთან ერთადაა პი ჯეი ჰარვიც. ამას გარდა, ქეივის სიმღერა People Ain't No Good შევიდა პოპულარული მულტფილმის "შრეკი 2"-ის საუნდთრეკში. საინტერესოა, რამდენად შეუწყობს ეს გარემოება მოზარდებში ამ მუსიკოსის პოპულარობის გაზრდას.

დაბოლოს, საინტერესო ცნობა ქეივის ჩვენებურ ფანებს: სექტემბერში ავსტრალიელი მუსიკოსი მოსკოვში მეორედ გამართავს კონცერტებს. როგორც იცით, მუსიკოსი მოსკოვს პირველად 1998 წელს სტუმრობდა და ის კონცერტები ქალაქის საუკეთესო მუსიკალური ღონისძიებების ისტორიაში დარჩა. ქეივი და მისი ჯგუფი ამჯერად რუსეთის დედაქალაქს ახალი ალბომის Abattoir Blues / The Lyre Of Orpheus-ის მხარდასაჭერი საკონცერტო ტურნეს ფარგლებში ეწვევიან. სავარაუდოდ, ეს კონცერტები 23-24 სექტემბერს გაიმართება. ასე რომ, ქეივის ქართველ თაყვანისმცემლებს უჯობთ მოემზადონ სექტემბერში ჩრდილოეთში გასამგზავრებლად.

# გონიოს ციხეში დაწერილი მოთხრობები

### Pen-მარათონი-2004 დასრულდა

თამარ სუხიშვილი

*"და ბათომის პირისპირ, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე, არს გონიო, მცირე ქალაქი და ციხე..." – ვახუშტი ბაგრატიონი*

გონიო, იგივე აფსარუნტი, იგივე აფსაროსი, იგივე აკამფსია – უძველესი ცნობა ამ ისტორიული ციხე-სიმაგრის შესახებ პირველი საუკუნის რომაელ ავტორს, პლინიუს სეკუნდუსს ეკუთვნის. გონიოს ციხედ მე-12 საუკუნის შემდგომ პერიოდში მოიხსენიება, სახელწოდება აფსარუნტი (აფსაროსი) მითიური მედეას ძმის აფსირტეს სახელთანაა დაკავშირებული. როგორც ლეგენდა გვეუბნება, სწორედ აფსირტეს სახელზე აუგიათ ამ ადგილას თეატრი და იპოდრომი. უკვე მე-6 საუკუნეში ამ ნაგებობათა მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ამბობენ, რომ აქ თავის დროზე თეატრალური სანახაობა-შეჯიბრებები იმართებოდა...

აქ გამართულ ლიტერატურულ შეჯიბრებებზე ისტორია არაფერს გვეუბნება.

2004 წელი. გონიო. ლიტერატურული შეჯიბრი Pen-მარათონი.

დღეს დილის 12 საათზე გონიოს ციხეში ლიტერატურული კონკურსი Pen-მარათონი დასრულდა (შეგახსენებთ, რომ Pen-მარათონი, რომლის ორგანიზატორები არიან გამომცემლობა "დიოგენე", "ღვინო ძველი თბილისი" და კომპანია "ჯორჯია ონლაინი", წლეულს უკვე მესამედ ტარდება). გონიოს ციხეში "დროებით პატიმრობაში მყოფმა" მწერლებმა "ზედამხედველებს" დაშიფრული კონვერტები – 24 საათში შექმნილი ნამუშევრები გადასცეს და ციხის ტერიტორია დატოვეს.

ისე, მართალია, კონკურსის მონაწილენი ხარობდნენ, წელს გემზე აღარ მოგვიწევს ლაყლაყი, ხმელეთზე გონიოს ციხის ზღუდეს შეფარებულებს ზღვის ავადმყოფობა მაინც აღარ შეგვაწუხებსო, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს – ამინდის პროგნოზი. თუმცა, ასე თუ გაფუჭდებოდა ამინდი, ვინ იფიქრებდა. ესეც კონკურსის ექსტრემალური პირობები. ეს კიდევ თემა, რომელსაც ჩვენი მწერლები შეეჭიდნენ:

"მე მინდა სახლი, რომ იქიდან გავიქცე სადმე, ერთიც მაგიდა, არაფერი რომ აღარ ვწერო".

წელს Pen-მარათონზე 26 კონკურსანტია. 23+3 – ეს სამი შარშანდელი კონკურსის გამარჯვებულებია: ვანო ჩხიკვაძე, ნუგზარ შატაიძე და ბესო სოლომანაშვილი.

დღის მეორე ნახევარში გონიოდან თბილისისკენ დავიძვრებით.

ვერ გეტყვით, როგორ ჩაიწერება მსოფლიო ლიტერატურის რუკაზე გონიო, მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია - თანამედროვე ქართულ ლიტერატურას შეემატება კრებული – გონიოს ციხეში დაწერილი მოთხრობები. ექსტრემალურ სიტუაციაში შექმნილი მოთხრობების ღირებულებას ჯერ ჟიური, მერე კი მკითხველი განსჯის.

# "თიხიანი ხელებით"

თეა პაიჭაძე

სიცხე - თბილისური, გაუსაძლისი, სითბო - გულების, ერთად ყოფნის, სიყვარული - ერთმანეთის, მასწავლებლების, საქმის, ხელოვნების და, რაც მთავარია, თიხის სითბო, თიხის სიყვარული, ტრიალებდა ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის მესამე სართულზე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დარბაზში, რომელიც სავსე იყო ბავშვებით, მათი მხიარული ხმებით, ამაყი დედებით, მამებითაც და რასაკვირველია - ბებიებით, აგრეთვე ვიდეოკამერებით, ფოტოაპარატებით, ნაირფერადი ყვავილებით...

ამ დარბაზში უკვე მეექვსედ გაიხსნა მაკა მზარეულიშვილის, გიგიშა პაჭკორიას და თინათინ რაზმაძის შემოქმედებითი სტუდიის მოსწავლეთა კერამიკული ნამუშევრების გამოფენა. სიმართლე ითქვას, გამოფენაზე შემთხვევით მოვხვდი და სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. ყოველთვის გასახარია, როცა იგებ, რომ ბავშვებს უჩნდებათ სურვილი, რაიმეს დაეუფლონ და მით უფრო - თუ ეს ხელოვნებაა, რადგან ხელოვნებასთან თუნდაც ზედაპირული შეხება ყოველთვის და განსაკუთრებით მცირე ასაკში, ხვეწს გემოვნებას, სულს აფაქიზებს და არც თუ იოლ ცხოვრებაში ლამაზის, მშვენიერის, ამაღლებულის ძებნის სურვილს აღვივებს, რომლის დანახვისა თუ შეგრძნებისას თითქოს სასიცოცხლო ძალები გემატება, ახალის ქმნის იმპულსს იძენ. გამოფენაზე კმაყოფილების გრძნობა მხოლოდ იმის გამო როდი გამიჩნდა, რომ ბავშვების ხელით შექმნილს ვათვალიერებდი; აქ მართლაც მშვენიერი ნამუშევრებია წარმოდგენილი. მოზარდთა გემოვნებაზე, მხატვრულ ალღოზე ლაპარაკი თამამად შეიძლება, ზოგ შემთხვევაში კი ოსტატობასა და მხატვრულ ღირსებებზეც კი.

სტუდია ცხრა წელია არსებობს და უკვე რამდენიმე თაობა გაზარდა. მის მოწაფეთაგან რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს ძერწვის ხელოვნების შესწავლას. კონტაქტს კი, შემოქმედებით სახელოსნოსთან "თიხიანი ხელები" დღემდე არ წყვეტენ. ადამიანური სითბო, სიყვარული, ურთიერთგაგებაზე, ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები მთავარია, რომელსაც აქ ხელოვნების სიყვარულსა და ძერწვის ხელოვნებასთან ერთად ასწავლიან პატარებს. სახელოსნოს პედაგოგები ამაზეც საუბრობენ: მოწაფეთა მხრიდან ისეთი დიდია ნდობა, ყოფილა შემთხვევა, როცა ავად გამხდარ ბავშვს ექიმის ნაცვლად ძერწვის პედაგოგი უნატრია, "მაკა მასწავლებელს უკეთ ეცოდინება, რა მჭირდებაო."

შემოქმედებითი სახელოსნოს კარი ასაკის მიუხედავად, ნებისმიერი მსურველისთვისაა ღია, მაგრამ უმეტესად აქ პატარები მოდიან და როგორც გამოცდილი პედაგოგები აღნიშნავენ, ასე ჯობს კიდეც. თიხის (მიწის) სიყვარული, მასთან ურთიერთობის ლტოლვა ნებიესმიერ ადამიანს აქვს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად. ხელით ქმნის, ძერწვის სურვილიც გაჩნია, რაც თუნდაც იმაში ვლინდება, რომ ხშირად პურის გულს ხელში ისე ვსრესთ, ვცდილობთ რისიმე ფორმა მივცეთ. ფსიქოლოგები თიხასთან მუშაობის თერაპიულ მნიშვნელობაზეც ფართოდ საუბრობენ და ფსიქომოტორული დარღვევის გამოსასწორებლადაც "ნიშნავენ". აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნებასთან და ზოგადად, მშვენიერთან ზიარება ყოველთვის სასურველია, მოწაფეთა ასაკს აქ მკაცრად არ განსაზღვრავენ. მით უფრო, რომ სტუდიაში მხოლოდ უშუალოდ ძერწვას როდი ასწავლიან, არამედ ყოველ გაკვეთილზე საკმაო დროს ხელოვნების ისტორიასა და თეორიაზე საუბარსაც უთმობენ. უბრალოდ, რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო თავისუფალია, ლაღია, მდიდარი წარმოსახვა აქვს და ფანტაზიას თამამად აძლევს გაქანებას. დაკვირვებული პედაგოგები იმასაც აღნიშავენ, რომ უფროსი ასაკის ბავშვი ზოგჯერ უფრთხის თემას, ან შიშობს, ისე არ გამოუვა, როგორც ჩაიფიქრა. მაგრამ "უფროსების" თემატიკა გაცილებით მრავალფეროვანია, რაც ბუნებრივიცაა - ჩანს მსოფლიო ხალხთა კულტურის საკმაოდ ღრმა ცოდნაც, გაცილებით დაოსტატებულნიც არიან და უკეთ ფლობენ ტექნოლოგიას. მაგრამ შედეგის მისაღებად მთავარი მაინც სხვა რამეა: თიხა სათუთი, როგორც ქ-მა მაკამ აღნიშნა, სულისმიერი მასაალაა, მისტიკურიც კი, მას რუდუნებით უნდა მოეპყრა, უნდა მოეფერო. როგორი განწყობითაც მუშაობ მასზე, ნამუშევარიც ისეთი გამოდის. ქმნის პროცესში თურმე არ უნდა ილაპარაკო, სხვა რამეზე ფიქრზე ლაპარაკიც ზედმეტია. თავად თიხას ესაუბრო - სასურველია, ჩურჩულით, საიდუმლოდ, შენი გაანდო, ყური მიუგდო, თავად რას გეტყვის, დაუჯერო...



*სტუდია ცხრა წელია არსებობს და უკვე რამდენიმე თაობა გაზარდა.*

პატარათა შემოქმედების განხილვისას მხატვრულ ღირსებებზე საუბარი, შესაძლოა, ნაადრევი იყოს, მაგრამ ნამდვილად მაღალმხატვრული შედეგის მისაღებად მთავარი მარცვალი რომ ჩადებულია, აშკარაა. ხელოვნების საერათაშორისო ცენტრის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი უკლებლივ ყველა ნამუშევარი საოცარ დადებით ენერგიას ასხივებს და ეს ენერგია დამთვალიერებელზეც გადმოდის. იმ თბილმა, სიცოცხლით სავსე, მხიარულმა, ფერადმა, ხმაურიანმა ატმოსფერომ, რომელიც სტუდიაში წლიდან წლამდე სუფევს (და რომლის არარსებობას ზაფხულის არდადეგების პერიოდში სახელოსნოს მესვეურებთან სტუმრად მისული მეგობრები თურმე უჩივიან კიდეც), ახლა ისტორიის მუზეუმში გადმოინაცვლა. აჩვენეთ თქვენს პატარებს, თქვენც დაათვალიერეთ გამოფენა და მიიღეთ ეს დადებითი, სინათლის, სილაღის, გულუბრყვილობისაც და, რაც მთავარია, სიყვარულის მუხტი მომქანცველი ზაფხულის მომაბეზრებელ ერთფეროვნებაში - გულით გირჩევთ.

# ქვის ვარდების რევოლუცია

## მუსიკალური ასეული, როგორც საინტერესო წიგნის სარჩევი

საუკეთესო ბრიტანული ალბომების ასეული – სიტყვათშეთანხმება, რომელიც წლებია, მელომანებს აღელვებს.

ყოველ წელს ყოველი პერიოდული გამოცემა თავის "საუკეთესოებს" ირჩევს, უფრო ზუსტად კი, განსხვავებულ ნომრებად გადანაწილებულ ერთი და იმავე შემსრულებლებს, მაგრამ მკითხველი სხვადასხვა ლანგრით მორთმეულ ერთი და იმავე კერძს მაინც მადიანად მიირთმევს. ეცნობა ნუსხას, ადარებს თავის რჩეულებს, იხსენებს ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, რომლებიც ასოციაციურად უშუალოდ ამ სიმღერებს უკავშირდება, აპროტესტებს ან, პირიქით, ეთანხმება ამა თუ იმ პერიოდული გამოცემის არჩევანს და ელოდება მორიგ "ცხელ ასეულს".

ამჯერად მელომანების ყურადღების მიპყრობა ბრიტანულმა "ობზერვერმა" და მისმა ყოველთვიურმა მუსიკალურმა დამატებამ მოახერხა. რედაქტორატმა შეკრიბა ასი ექსპერტი – შოუბიზნესმენები, პოპ-ვარსკვლავები, ჟურნალისტები, მწერლები და თითოეულ მათგანს ყველა დროის ათი საუკეთესო ალბომი აარჩევინა. შეზღუდვა ასეთი იყო – არავითარი კომპილაციები და მხოლოდ ბრიტანული ჩანაწერები. თუმცა, ბევრმა მათგანმა ბოლო წესი ვერაფრით დაიცვა. ერთ-ერთმა კი სულაც ათიდან ექვსი არაბრიტანული ალბომი აირჩია. ჟიურის წევრები თავიდანვე გააფრთხილეს, რომ აერჩიათ არა მათი საყვარელი ალბომები, არამედ ის ჩანაწერები, რომლებიც, მათი აზრით, მართლაც დიდი იყო. ასე თუ ისე, გამოკითხვა მაინც შედგა და ასი საუკეთესო ბრიტანული ალბომის ნუსხაც დაკომპლექტდა.

აი, როგორ გამოიყურება პირველი ოცეული:

The Stone Roses, "სთოუნ როუზის"
Revolver, "ბითლზი"
London Calling, "ქლეში",
Astral Weeks, ვენ მორისონი
Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band, "ბითლზი"
The Beatles, "ბითლზი"
Sticky Fingers, "როლინგ სთოუნზი"
Exile on Main St, "როლინგ სთოუნზი"
Blue Lines, "მასივ ეთექ"
Metal Box, PiL
The Rise & Fall Of Ziggy Stardust & The Spiders From Mars, დევიდ ბოუი
Beggars Banquet, "როლინგ სთოუნზი"
The Clash, "ქლეში"
Never Mind The Bollocks, "სექს ფისთოლზი"
Club Classics Vol 1, "სოულ II სოულ"
Five Leaves Left, ნიკ დრეიქი
The Specials "სფეშიალზი"
Closer, "ჯოი დივიჟნ"
Definitely Maybe, "ოაზისი"
Loveless, "მაი ბლადი ვალენთაინ"

რაც შეეხება "ობზერვერის" პრესტიჟულ ჟიურის, მასში შედიოდნენ: ოზი ოსბორნი, მორისი, ბრაიან მეი, ჯასტინ ჰაუქინსი ("დარქნესი"), ჰარი კუნზრუ (მწერალი), პოლ მორლი (ცნობლი მიმომხილველი და მწერალი), მიკი ქუინი ("სუფერგრასი"), რობ სტრინგერი ("სონი მიუზიქ"), რიკ ვეიკმენი ("იეს"), უილ იანგი, ჯეიმს დინ ბრედფილდი ("მენიქ სთრით ფრიჩერზ"), მაიკ ჯონსი ("ქლეში") და სხვები.

ცხადია, საბოლოო შედეგი ჟიურის თითოეული მონაწილისთვისაც სიურპრიზი იყო. მათ ხომ სრულიად განსხვავებული რჩეულები ჰყავდათ. მაგალითად, მაიკ ჯონსისთვის პირველი ბრიტანული ალბომი "ქინქსის" Sunny Afternoon იყო, რომელიც ასეულში საერთოდ ვერ მოხვდა; ოზი ოსბორნისთვის – "ბითლზის" Revolver, ბრაიან მეისთვის – "ბითლზის" Abbey Road, რიკ ვეიკმენისთვის – "დიფ ფარფლის" Shades of Deep Purple, მორისისთვის კი – "როქსი მიუზიქის" For Your Pleasure. მეტიც, მუსიკოსისთვის ეს ერთადერთი საუკეთესო ბრიტანული ალბომია, მას დანარჩენი ცხრა, უბრალოდ, არ ჰყავს.

ერთი სიტყვით, მუსიკალურმა სამყარომ კიდევ ერთხელ გამოუშვა ორთქლი და კიდევ ერთხელ დიდხანს იკამათა ასეულში მოხვედრილი ღირსეულებისა და უღირსების შესახებ.

თავად "ობზერვერი" კი ამტკიცებს, რომ დღემდე ჩატარებული გამოკითხვებიდან მათი ასეული ყველაზე ამომწურავი და სანდო გახლავთ. თუმცა, ცხადია, როდესაც ვსაუბრობთ გემოვნებაზე, იქ სანდოობის მომენტი თავისთავად გამოირიცხება ხოლმე, აი ამოწურვისა და გავლენიანობის თვალსაზრისით კი "ობზერვერის" მუსიკალური პროექტი მართლაც მასშტაბურია. ყველა მელომანს უთუოდ მოუნდება ამ საკვირაო გამოცემის შეძენა. ასეული ორმოცდაათ გვერდზეა გავრცობილი. გამოცემის კრიტიკოსები წარმოგვიდგენენ თითოეულ მათგანს და თან ილუსტრაციებსაც უხვად ურთავენ. "გარდიანის" საკვირაო გამოცემაში კი ზემოთ ხსენებული ცნობილი მიმომხილველი პოლ მორლი მსგავსი ასეულების რეალურ მნიშვნელობაზე საუბრობს. აი, რას ამბობს იგი:

**"ნუსხა. პირდაპირ ნუ შეიზიზღებთ მას. ნურც პირდაპირ გააღმერთებთ.**

**და მაინც თქვენ ის გძულთ იმიტომ, რომ ნუსხა ყოველთვის მცდარია, არაობიექტურია, შემთხვევითია; ყოველთვის არასწორი ნუმერაციით დალაგებულია; ყოველთვის ცდილობს, გალიაში ჩაკეტოს მუსიკალური ფრინველები, რომლებიც, წესით, თავისუფლად უნდა დაფარფატებდნენ ჩვენს წარმოსახვებში, ყოველგვარი ნუმერაციისა და რეიტინგის გარეშე.**

**თუმცა, თქვენ ის გიყვართ კიდეც იმიტომ, რომ გიყვართ გაოცების გრძნობა, რასაც თითოეული ნუსხა იწვევს და ისიც კარგად გესმით, რომ მათ გარეშე ბევრი მუსიკალური სახელი დაიკარგებოდა.**

**ნუსხა. ის არ გვიხატავს მუსიკის სრულყოფილ რუქას. პირიქით, ნუსხა უფრო რუქის კიდეა; ერთი უზარმაზარი და კომპლექსური სამყაროს ზღურბლია, სადაც, საბოლოო ჯამში, გზა თავად უნდა გაიგნოთ. თუმცა, ნუსხა დაწყებას გიადვილებთ. ის წიგნი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ სარჩევია...**

**ერთი სიტყვით, რომ არ გადახედოთ ნუსხას, უბრალოდ, არ შეგიძლიათ. ნუსხაში მუსიკა ლაგდება გარკვეული ლოგიკის მიხედვით, მაგრამ მას მაინც აკლია სტატისტიკური, ისტორიული და ესთეტიკური სრულყოფა.**

**ნუსხა უფრო "პოლაროიდის" ფოტოა, რომელიც გამოკითხული ადამიანების გემოვნებით იქმნება. მაგრამ ის მაინც შეიცავს სიმართლის მარცვალს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება რეალურად ესა თუ ის "საგანი" (ამ შემთხვევაში, მუსიკა). მაგალითად, ფაქტია, რომ "ბითლზი" და "როლინგსთოუნზი" კვლავაც რჩებიან ახალი თაობის რჩეულების პარალელურად... მეოთხე ადგილზე კი ლიდერობს ვენ მორისონის Astral Weeks. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ Astral Weeks-ია სინამდვილეში ის, რასაც ადამიანები ნორა ჯონსების, "ქორს"-ების და ჯოს სთოუნზების შეძენისას ეძებენ.**

**და ჩვენც ვადგენთ ნუსხებს არა იმიტომ, რომ ასე უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს, ანდა რაღაც ახალი ოთახის თამაში მოვიგონეთ, ჩვენ ვადგენთ ნუსხებს იმიტომ, რომ გავიხსენოთ დიდი ალბომები.**

**რიგში კლავაც ბევრი ჩანაწერი დგას. ასე რომ, არაფერი გვეშველება, გვიყვარს თუ – არა, ნუსხა არასდროს ამოწურავს თავის თავს".**

ეს გახლდათ პოლ მორლი, რომელიც ხატოვნად ამართლებდა "ობზერვერის" წამოწყებას და გვართობდა ირონიანარევი მსჯელობით მუსიკალური ნუსხის რაობაზე.

ახლა რაც შეეხება ყველა დროის საუკეთესო ბრიტანული ალბომების ასეულის პირველ ნომერს – "სთოუნ როუზისს". ჩვენთან საქართველოში 80-იანი წლების ამ მანჩესტერელ ოთხეულს მხოლოდ ერთეულები თუ იცნობენ. დანარჩენემა კი ნამდვილად არ ვიცოდით, რომ ჯგუფს, რომელსაც სულ მხოლოდ ორი-სამი ალბომი აქვს ჩაწერილი გამოჩენისთანავე კლასიკად აღიარეს. ბრიტანეთში "სთოუნ როუზის" ახსოვთ დღემდე იმიტომ, რომ ბიჭებმა ძალიან მოინდომეს, რომ პირველივე ალბომითვე დაემარცხებინათ დრო. ასეც მოხდა. "სთოუნ როუზის" ჩანაწერი პირველად 1989 წლის მაისში გამოჩნდა. და მაშინვე კლასიკად იქცა. ეს ჯგუფის წევრებს არ გაჰკვირვებიათ. მეტიც, როდესაც ჩაწერის პროცესი დასრულდა და პროდიუსერმა მათ უწინასწარმეტყველა, რომ ალბომი კარგად წავიდოდა, ბიჭებმა მხოლოდ მხრები აიჩეჩეს – მათ ეს ისედაც იცოდნენ. მათ ისიც იცოდნენ, რომ შეეძლოთ, ყოფილიყვნენ "ბითლზზე" უკეთესი და ამას ხმამაღლაც ამბობდნენ. კრიტიკოსები კი დღეს წერენ, რომ ეს დაახლოებით ისეთივე იდიოსინკრატული მანჩესტერული "მარიაჟობაა", როგორითაც მანამდე ჯგუფი "ჰეფი მანდეიზ"გამოირჩეოდა, მერე კი – "ოაზისი".



*ჯგუფის ლიდერი იან ბრაუნი*



*ყველაზე პოპულარული ბრიტანული ჩანაწერის ავტორი, ჯგუფი "სთოუნ როუზის"*

ასე რომ, "სთოუნ როუზისმა" მართალია ხანმოკლე, მაგრამ მასშტაბური ქვების რევოლუცია მაინც მოახდინა. "ობზერვერმაც" დამსახურება არ დაუკარგა და მიუხედავად ერთი ჟურნალისტის ენამწარე შენიშვნისა – თუ "ბითლზის" Revolver მეორეზეა, მაშინ პირველზე ვინ არისო – "სთოუნ როუზის" მაინც საუკეთესოთა შორის საუკეთესო გახდა.

ახლა კი ვნახოთ, რომელი შემსრულებელი მოხვდა ყველაზე მეტად ასეულში.

ეს პატივი დევიდ ბოუის ერგო. ის ასეულში ექვსჯერ ფიგურირებს: მე-11 ადგილი – The Rise & Fall Of Ziggy Stardust; 39 – Low; 64 – Aladdin Sane; 80 – Station to Station; 85 – Hunky Dory; 88 – Young Americans.

ასეულში ხუთჯერ ვხვდებით "ბითლზს". მათგან სამჯერ – ოცეულში (იხ. ნუსხა); 28 – Abbey Road; 32 – Rubber Soul.

ოთხჯერ – "როლინგ სთოუნზს": მათგან სამი პირველ ოცეულში შედის; 78 – Let it Bleed.

ოთხჯერ ფიგურირებს "სმითსიც". შემდეგ მოდის "ლედ ზეპელინი" – სამი ადგილით: 40 – Led Zeppelin II; 48 – Led Zeppelin IV; 91 – Physical Graffiti.

დაბოლოს, ასეულში ორ-ორჯერ მოხვდნენ:

ვენ მორისონი: 4 – Astral Weeks; 67 – Moondance.

"ოაზისი": 19 – Definitely Maybe; 70 – (What's The Story) Morning Glory.

"რეიდიოჰედი": 24 – OK Computer; 41 – The Bends.

"ქინქსი": 57 – Village Green Preservation Society; 66 – Something Else.

"ჰუ": 74 – Quadrophenia; 83 – My Generation.

"დექსიზ მიდნაით რანერს": 54 – Searching For The Young Soul Rebels; 86 – Don't Stand Me Down.



EURO 2004

# მეოთხედფინალები:

## ჩეხეთი – დანია
## შვედეთი – ჰოლანდია

### ლატვია 0:3 ჰოლანდია

გოლები: 0:1 ვან ნისტელროი (27, პენ'), 0:2 ვან ნისტელროი (35'), 0:3 მაკაი (84')
გაფრთხილება: ლობანოვსი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)




| ლატვია | | ჰოლანდია |
|---|---|---|
| 2 | დარტყმა კარში | 16 |
| 6 | დარტყმა | 28 |
| 17 | ჯარიმა | 13 |
| 3 | კუთხური | 9 |
| 31% | ბურთის ფლობა | 69% |

შეცვლები: პახარსი - ვერპაკოვსკისი, ლაიზანსი - პროხორენკოვსი, შტოლცერსი - ბლეიდელისი.

შეცვლები: ოვერმარსი - ვან დერ მეიდე, მაკაი - ვან ნისტელროი, სნეიდერი - დავიდსი.



REUTERS

### გერმანია 1:2 ჩეხეთი

გოლები: 1:0 ბალაკი (21'), 1:1 ჰაინცი (30'), 1:2 ბაროში (77')
გაფრთხილება: ნოვოტნი, ტიცე, ლამი, ვიორნსი

მსაჯი: ტერიე ჰოგე (ნორვეგია)




| გერმანია | | ჩეხეთი |
|---|---|---|
| 10 | დარტყმა კარში | 6 |
| 17 | დარტყმა | 8 |
| 18 | ჯარიმა | 16 |
| 9 | კუთხური | 1 |
| 58% | ბურთის ფლობა | 42% |

შეცვლები: პოდოლსკი - ფრინგსი, კლოზე - ჰამანი, იერემისი - შვაინშტაიგერი.

შეცვლები: ჰიუბშმანი - გალასეკი, ბაროში - ლოკვენცი, პობორსკი - პლაშილი.



REUTERS

## TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 24 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: რიკ ბერი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. ფინალი. "INDIANA PACERS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-4 მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. “ბოკა ხუნიორსი” (არგენტინა) – “ონსე კალდასი” (კოლუმბია). პირველი მატჩი
15:00 ბრაზილიის თასი. ფინალი. “სანტო ანდრე” – “ფლამენგო”. პირველი მატჩი
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. “ანდერლეხტი” – “დინამო” (უკრაინა)
18:45 “FUTBOL MUNDIAL”
19:15 “ფეხბურთი ანიდან ჰაემდე”
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ლიბერტადორესის თასი. ფინალი. “ბოკა ხუნიორსი” (არგენტინა) – “ონსე კალდასი” (კოლუმბია). პირველი მატჩი
21:50 ბრაზილიის თასი. ფინალი. “სანტო ანდრე” – “ფლამენგო”. პირველი მატჩი
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. “პარმა” - “რომა”
01:20 “დარტყმა გოლისთვის”
01:35 “ფეხბურთი ანიდან ჰაემდე”
02:05 “FUTBOL MUNDIAL”
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV – NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV - NBA-ს დრაფტი - 2004

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:10, 19:00, 22:00 პრესცენტრი
11:20, 22:15 “ოლიმპის შვილები”
11:25, 14:15 “ფორმულის ჰარმონია”
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი
14:35 “ათენის გზაზე”
15:35 სუპერმოტოკროსი. რუსეთის თასი. მე-2 ეტაპი
16:35 პროგრამა – “ვლადისლავ ტრეტიაკის ორი სიცოცხლე”
17:25 “ჩქაროსნული სამყარო”. ტელეჟურნალი
17:55 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. დუეტი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა. NBA – სეზონის შედეგები
23:00 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
23:30 “რუსეთის საუკეთესო ჰოკეის გუნდები”. გადაცემა მე-4
00:00 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:15 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. დუეტი

**EUROSPORT**
10:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
11:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
12:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი ჰოლანდიაში
13:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
13:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
14:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები
15:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
15:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
15:45 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
16:15 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
17:00 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
18:15 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
19:15 მულტისპორტი
19:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
20:00 სნუკერი
22:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
23:00 ფეხბურთის სიახლენი
23:15 კრივი
01:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
02:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
02:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
04:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
04:30 ახალი ამბები

## მარო მაჩხაანელის კუთხე



# საფეხბურთო პორტრეტი ინტერიერში

დილაადრიან, სანამ ჯერ კიდევ გრილა, უბანში პატარა საფეხბურთო “რაზბორკა” ეწყობა. ზუსტად ისე, როგორც თბილისის სხვა უბნებში, ზუსტად ისე, როგორც ჩვენი ტელეარხების საღამოს ეთერში. ხალხია სხვადასხვა, თორემ სხვა მხრივ, თემა იქნება, დონე, დასკვნები თუ “ქართული ფეხბურთის” კრიზისიდან გამოყვანის გზები, ერთია. უბნის ბირჟებზე ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობით მართლა შეწუხებული გულშემატკივრები იფხანენ გულს, ტელეარხებზე კი, როგორც ერთმა თქვა, მძიმე არტილერია გამოდის. ამათ წუხილისა არაფერი ეტყობათ და განსხვავებაც ძირითადად ეს არის. ჰო, კიდევ ის არის განსხვავება, რომ ეს “სპეციალისტები” საქმეში, ესე იგი ფეხბურთში ერთთავად ფულის ჩადებას ითხოვენ.

ინგლის-ხორვატიის მატჩის დროს რამდენჯერმე აჩვენეს ერიქსონი. მერე კარგა ხანს ჩვენს “მძიმე არტილერიას” ვუსმენდი და ვაკვირდებოდი. დორიან გრეის პორტრეტიც სწორედ ამ დაკვირვებამ გამახსენა. ეგრეა, ძვირფასებო, კაცს თავისი საქმიანობა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აღებეჭდება სახეზე.

მწვრთნელობა, პადაგოგობა, მასწავლებლობაა ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთ სფეროში. რაღა მაინცდამაინც ფეხბურთის მწვრთნელებს დაეტაკეო, მეტყვის ვიღაცა და მართალიც იქნება. ჰო, არც სხვები აკლებენ, მაგრამ ახლა ფეხბურთის ტალღაზე ვართ მომართული და, გინდა-არ გინდა, ამ თემას უტრიალებს ნაგვიანევი ივნისის მზით უკვე კარგა გვარიანად დასიცხული ხალხი.

სხვათა შორის, ძალიან კარგად იქცევა დიმა ობოლაძე. ა, ძმებო, რაც არის, ეს არის ქართულ ფეხბურთზე მოფიქრალი ხალხიო. ისე, ერიქსონის მერე – ნეტა რას გადავეკიდე ამ კაცს! – სიტყვა “მოფიქრალი” ცოტა ხმამაღლა ნათქვამად მეჩვენება, მაგრამ, დიმასი არ იყოს, რაც არის, ეს არის.

რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ და იკამათონ ამ თემაზე, არაფერი გამოვა. არაფერი გამოვა, ძმებო, სანამ არ აღიარებენ ჩვენი “სპეცები”, რომ კარგა ხანია წავიდა ცარიელი ენთუზიაზმის, თანდაყოლილი ნიჭის, მინდორზე შეძენილი გამოცდილების დრო, კარგა ხანია, სერიოზული ხალხი სერიოზულად ჩაება ამ საქმეში, მეცნიერები მოვიდნენ, მეცნიერება მოვიდა სპორტში. ძალიან მარტივად რომ ვთქვა, დროა, წიგნი აიღონ ხელში ჩვენმა სპეცებმა.

ამას წინათ “ელექტრიკი” გამოვიძახეთ. კარგა ხანს უჩხიკინა და, რომ შევატყვე, მთელ ამ ამბავს მაინცდამაინც კარგი პირი არ უჩანდა, უფრო სწორად, კარგით არაფრით დასრულდებოდა ეს ამბავი, შევთავაზე, მეზობელი მყავს ფიზიკოსი, იქნებ ერთი-ორი სიტყვა შეგვაწიოს-მეთქი. გაოფლიანებული სახე ჩემკენ მოატრიალა და ისე აიქნია ხელი, შენც თქვი რა კაციო...

აი, ეგრეა ჩვენი საქმე.

ნაკლული ნაწილით არ გამოსულხართ პროფილაქტიკიდან? ვითომ თქვენთვის კი არ უთქვამს ხელოსანს, ეს შაიბა, ან ეს მეორე გაიკა არ არის საჭიროო? ჰო, სწორედ გერმანელებისა და იაპონელების მიერ უადგილოდ მიმაგრებულ თუ მორგებულ “ზედმეტ ნაწილებზე” გელაპარაკებით. ნახევარ სახელმწიფოს ვერა, მაგრამ კაი მაზიანს ვკისრულობ, თუ ვინმე მომიყვანს კაცს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰყავს ნანახი ხელოსანი ან თუნდაც ფეხბურთის მწვრთნელი, ოღონდ აუცილებლად წიგნით ხელში!

ხომ უბრალო რამეა კაცი წიგნით ხელში, თანაც, ნაძლევიც როგორია – ათი ერთთან! მაგრამ წინასწარ ვიცი, მსურველი არ გამოჩნდება. ის ურჩევნია, გამოიცნოს კუთხურების მეტობა იქნება თუ ნაკლებობა.

ეგეთია საზოგადოების შეკვეთა – პოლიტიკური ჭორები, კროსვორდები და იდიოტური ნაძლევები. დაახლოებით ასეთი – თამაშს ჩეხები დაიწყებენ თუ ჰოლანდიელები. ათი წელიწადი მაინც იქნება, უბანში ფეხბურთს აღარ თამაშობენ. სამაგიეროდ ხან რა შემოვა მოდაში, ხან – რა. ახლა ლამის ყოველი სახლის კუთხეში წააწყდებით ჩაცუცქულ რამდენიმე ბიჭუნას ნახატებიანი მუყაოებით ხელში და ენერგიულ ჯე-ი-რა-ნი! პარალელურად ჩვენი საფეხბურთო ინდუსტრია მხოლოდ ერთი რამის გარშემო ტრიალებს. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. ეს ყველაფერი აღმოსავლურ ბაზარს მაგონებს, სადაც ყველაფერთან ერთად ადამიანებითაც ვაჭრობენ. კბილებს უსინჯავენ, კუნთებს უსინჯავენ, ზუსტად ისე, როგორც ჩვენს ფეხბურთში – რაც შეიძლება იაფად ვიყიდო და რაც შეიძლება სარფიანად გავყიდო. თუმცა, მთელ ამ პროცესს ერთი სიკეთე მაინც აქვს. აქედან არავინ არ ხვდება არც ჰარამხანაში და არც “გალერაზე”. ევროპაში მიჰყავთ. იქ აჭმევენ და მოუვლიან. შეიძლება ცოტა ფეხბურთიც ასწავლონ. თანაც, იქ უკეთეს სახეებს აჩვენებენ ტელევიზიით. მაგრამ ეს ტელევიზიის დამსახურება სულაც არ არის. უბრალოდ, ეგეთი თვისება აქვს წიგნს – რაც უფრო ხშირად გიჭირავს ხელში, მით მეტად გეცვლება სახე.

ოღონდ არსად თქვათ, მარო მაჩხაანელის აზრიაო.

უბრალოდ, ეგრეა.

*ჩოგბურთი*

# ვის რამდენი ერგება



*უიმბლდონის კორტები*

სანდრო ნავერიანი

"უიმბლდონი", თავისი ყველა ტრადიციისა და ღირსშესანიშნაობის გარდა, საჩოგბურთო სამყაროში ყველაზე მაღალი საპრიზო ფონდითაც გამოირჩევა. წლიდან წლამდე მისი საპრიზო ფონდი იზრდება და იზრდება. ბრიტანეთის სპორტის დეპარტამენტში თვლიან, რომ მათაც უნდა შეიტანონ წვლილი ტურნირის საპრიზო ფონდის გაზრდაში, რასაც ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ კიდეც. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი საპრიზო ფონდებია დიდი სლემის ტურნირებზე და თან ყოველწლიურად იზრდება. ამიტომ ბრიტანეთის სპორის დეპარტამენტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა: "საუკუნეზე მეტია, რაც "უიმბლდონის" ტურნირი ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირად ითვლება და არ გვინდა, მისი რეპუტაცია თუ პოპულარობა რამემ შელახოს. ჩვენ ყოველთვის ვზრუნავდით ტურნირში მონაწილე ჩოგბურთელებზე და ყოველთვის ვითვალისწინებთ იმას, რომ რაც შეიძლება კარგად დავუფასოთ შრომა - დიდი საპრიზო ფონდი, მართლაც, უფრო პრესტიჟულს და პოპულარულს ხდის ტურნირს, თუმცა, ვფიქრობ, "უიმბლდონს" პოპულარობა არ აკლია".

ურიგო არ იქნება, გავეცნოთ იმ ცვლილებებს, რომელიც შარშანდელი გათამაშების შემდეგ განიცადა "უიმბლდონის" საპრიზო ფონდმა. გთავაზობთ ტურნირის საპრიზო ფონდის ცხრილს.

**საპრიზო ფონდი**

| 2003 მოთამაშე | თანხა J | | | 2004 მოთამაშე | თანხა J |
|---|---|---|---|---|---|
| **კაცები ერთეულთა თანრიგი** | | | | | |
